სარბიელი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 ოქტომბერი პარასკევი 2011

№254 (13551) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



თემურ ქეცბაია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# თემურ ქეცბაია ნაკრებს მოლდოვისთვის ამზადებს

**გუშინ** საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა თემურ ქეცბაიამ ის შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც 11 ნოემბერს მოლდოვასთან გასამართი საშინაო ამხანაგური მატჩისთვის მოამზადებს.

მეკარეები: **ნუკრი რევიშვილი** („ანჟი", რუსეთი), **გიორგი ლორია** („დინამო", თბილისი), **კონსტანტინე სეფიაშვილი** („გაგრა");

მცველები: **ზურაბ ხიზანიშვილი** („ქაისერისპორი", თურქეთი), **უჩა ლობჟანიძე** („კრივბასი", უკრაინა), **ალექსანდრე ამისულაშვილი** („კრასნოდარი", რუსეთი), **გურამ კაშია** („ვიტესი", ჰოლანდია), **გია გრიგალავა** („ვოლგა", რუსეთი), **ალექსანდრე კვახაძე** („მეტალურგი"), **აკაკი ხუბუტია** („სამსუნსპორი", თურქეთი), **კახაბერ ალადაშვილი** („ზესტაფონი");

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი** („ზესტაფონი"), **ალექსანდრე გურული** („კარპატი", უკრაინა), **ირაკლი მაისურაძე** („მეტალურგი"), **შოთა გრიგალაშვილი** („ზესტაფონი"), **დავით კვირკველია** („პანიონიოსი", საბერძნეთი), **გიორგი განუგრავა** („ლომბარდ პაპა", უნგრეთი), **თორნიკე გორგიაშვილი** („ზესტაფონი"), **ჯანო ანანიძე** („სპარტაკი" მოსკოვი, რუსეთი);

თავდამსხმელები: **ვლადიმერ დვალიშვილი** („მაქაბი" ჰაიფა, ისრაელი), **ოთარ მარცვალაძე** („კრასნოდარი", რუსეთი), **ლევან მჭედლიძე** („ემპოლი", იტალია), **ნიკოლოზ გელაშვილი** („ზესტაფონი"), **დიმიტრი ტატანაშვილი** („მეტალურგი", რუსთავი).

თვალშისაცემი, უპირველესად, ნაკრების რამდენიმე სტაჟიანი წევრის არყოფნაა. როგორც ჩანს, ქეცბაიამ დასვენების საშუალება მისცა **კახა კალაძეს, ლევან კობიაშვილსა** და **ალექსანდრე იაშვილს**, ხოლო ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთაგან ტრავმირებულები არიან **დავით თარგამაძე** და **ჯაბა კანკავა.**

გიორგი განუგრავამ, კახა ალადაშვილმა და დიმიტრი ტატანაშვილმა ბოლო სანაკრებო მატჩები დიდი ხნის წინ ჩაატარეს, ირაკლი მაისურაძეს ეროვნულ გუნდში დებიუტი ჯერ არ ჰქონია, თუმცა ქეცბაია შეკრებაზე პირველად არ იძახებს, თორნიკე გორგიაშვილი კი ნაკრებში პირველად მიიწვიეს.

საქართველოს ნაკრები საწვრთნელ შეკრებას 7 ნოემბერს დაიწყებს სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე".

**ლევან ჯანეზაშვილი**

# რაცა ვართ, ესა ვართ...



# საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბი აუცილებლად შეიცვლება

ინტერვიუ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ გიორგი ნიჟარაძესთან

13



# ინგლისს იმედი მიეცა

# შესაძლოა, რუნი შეიწყალონ

5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ნაკრებთა გეგმები

# მოდი, ვნახოთ რეზერვი

## დევდარიანი თურქეთში, შეყილაძე ბელგიაში

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები **გიორგი დევდარიანის** ხელმძღვანელობით ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპისთვის მზადება-შეკრებას 31 ოქტომბერს დაიწყებს.

შესარჩევი ტურნირი 11 ნოემბერს დაიწყება თურქეთში, იქ ჩვენი გუნდი 7 ნოემბერს გაემგზავრება.

**მატჩების განრიგი ასეთია:**

| |
|---|
| **11 ნოემბერი** |
| **საქართველო - პოლონეთი** |
| **13 ნოემბერი** |
| **საქართველო - თურქეთი** |
| **16 ნოემბერი** |
| **საქართველო - ლუქსემბურგი** |

**გელა შეყილაძე** კი 30 ოქტომბერს 16-წლამდელთა ნაკრებს ბელგიაში წაიყვანს, სადაც მისი შეგირდები 1 და 3 ნოემბერს ბელგიელ თანატოლებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

ორივე შეხვედრა ლიერსში გაიმართება, სადაც შეყილაძე წლების წინ თამაშობდა.



გიორგი დევდარიანი



გელა შეყილაძე

● უცნობი ქართველი



**რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში ნალჩიკის "სპარტაკის" შემადგენლობაში დავით სირაძესთან ერთად რუსული პასპორტის მქონე 24 წლის ნახევარმცველმა გუჯა რუხაიამაც ძირითადში ითამაშა.**

*"გუჯა რუხაიას საქართველოში კარგად არ იცნობენ. ის ბათუმელი ბიჭია, საქართველოს ნაკრებში თამაში სურს და მიმაჩნია, რომ თავს არ შეირცხვენს. შემტევი მარჯვენა ნახევარმცველია, სწრაფია, ბურთი იცის და თან ძალიან შრომისმოყვარეა. ახალ მწვრთნელი ენდობა და ძირითადშიც ათამაშებს. ცოტა ხნის წინ იური კრასნოჟანმა რუსეთის მეორე ნაკრებში გამოიძახა და მე დამეკითხა, რა ვქნაო, თუ საქართველოდან შემეხმიანენ, ხომ კარგი თუ არა და... აი, ამ "თუ არა და"-ზე უკვე "იჭედება", არ იცის, რა ქნას", - გვითხრა თანაგუნდელზე სირაძემ, რომლის დახმარებითაც გუჯა რუხაიას დაველაპარაკეთ.*

# მეტყობა, რომ ქართული და საქართველო დამავიწყდა?

## გუჯა რუხაია იმედის უფლებას იტოვებს

**- რუსეთის მეორე ნაკრების კანდიდატი ყოფილხარ.**

- კრასნოჟანმა რომ გამომიძახა, ბათუმში საქმე მაქვს-მეთქი, მოვიმიზეზე და შეკრებას თავი ავარიდე. ეს დაახლოებით ერთი თვის წინ მოხდა, რუსეთის მეორე ნაკრები ბელარუსს ხვდებოდა.

**- რუსეთის ნაკრებზე უარი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრებში მოხვედრას იმედოვნებ.**

- ცხადია, იმედიც მაქვს და სურვილიც. ქართველი ვარ და, თუ ნაკრებში ვითამაშებ, მსურს, ეს ჩემი ქვეყნის გუნდი იყოს. თუმცა, არც ვიცი, ჩემით დაინტერესდებიან თუ არა. ისე არ გამიგოთ, თითქოს ნაკრებს ჩემს კანდიდატურას თავს ვახვევდე. მაგრამ იმედის უფლებას მაინც ვიტოვებ.

**- რუსეთში როგორ მოხვდი?**

- ვარჯიში მშობლიურ ბათუმში დავიწყე. მერე თბილისში ჩამოვედი და რეგიონული ლიგის "ყაზბეგში" ვთამაშობდი. 2004 წელს რუსეთში წავედი, ჯერ მეორე ლიგის ვლადიკავკაზის "ავტოდორში" ჩავირიცხე, შემდეგ კი ნოვოროსიისკის "ჩერნომორეცსა" და სტავროპოლის "დინამოში", საიდანაც სოჭის "ჟემჩუჟინაში" მიმიწვიეს. სწორედ ამ გუნდში შემნიშნა ნალჩიკის "სპარტაკის" სელექციონერმა და წლეულს გუნდში ამიყვანეს.

**- საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში თუ გითამაშია?**

- არც საქართველოსა და არც რუსეთის ნაკრებებში ერთხელაც არ მივუწვევივართ. ალბათ, იმიტომაც, რომ კარგად არც ჩვენში მიცნობდნენ და არც რუსეთში.

**- რუსეთის პრემიერლიგაში მოთამაშე ქართველი ჩვენი ნაკრებისთვის საინტერესო უნდა იყოს.**

- ჯერჯერობით ჩემით არ დაინტერესებულან, ან არ ვიცი, რომ ინტერესი აქვთ. რადგან რუსეთის პასპორტი მაქვს, შესაძლოა, ფიქრობენ, რომ აქ გაზრდილი ვარ და საქართველო არ მაინტერესებს. ასე ბევრი ქართველია და მათ ენაც დაავიწყდათ. ისე, მე მეტყობა, რომ ქართული დავივიწყე? ჩვეულებრივად ვლაპარაკობ.

**- ქართველი გვერდში გყავს და რა დაგავიწყებდა.**

- ნალჩიკამდე დათოს არ ვიცნობდი, ახლა კი მიხარია, ასეთ ადამიანს რომ შევხვდი. საერთოდ, გუნდში მისვლის პერიოდი ძნელია, სანამ ხალხს გაიცნობ, შეეჩვევი და ადაპტაციას გაივლი, დრო გჭირდება. მე ეს პროცესი სირაძემ გამიადვილა, "სპარტაკში" ავტორიტეტი აქვს და გვერდში ძმასავით დამიდგა. ეს კი ჩემთვის ბევრს ნიშნავდა.

**- შენი მაგალითიდანაც ჩანს, რომ რუსეთში ბევრი უცნობი ქართველი თამაშობს.**

- ალბათ, ასეცაა, ბოლო წლებში ხომ ბევრი ქართველი წამოვიდა, მაგრამ მე პირადად ბევრს არ ვიცნობ.

● იყო და არა იყო რა...

# სულთათანა ასეთ თანას...

## აღარ იციან, სად წაიღონ და რა უქნან



"თანამეგობრობის თასი" ფორმატს იცვლის და ახლებურად ჩატარდება. ინფორმაცია "მოსკოვსკიე ნოვოსტის" ვებგვერდმა გაავრცელა.

გაზეთის ცნობით, ამიერიდან ტურნირზე მიიწვევენ არა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩემპიონებს, არამედ მათ ახალგაზრდულ ნაკრებებს. შესაბამისი მიწვევები უკვე დაეგზავნათ ამ ქვეყნების ფედერაციებს.

ტურნირის მონაწილეთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, ეს მხოლოდ მომავალ კვირას გაირკვევა, როდესაც "თანამეგობრობის თასის" საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა ჩატარდება.

წინასწარი მონაცემებით, ტურნირში 16 ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებები იასპარეზებენ, თუმცა ისიც ითქვა, სავალდებულო არ არის, მონაწილენი მაინცდამაინც პოსტსაბჭოეთის ქვეყნებს წარმოადგენდნენო.

მიიღეს თუ არა საქართველოში "თანამეგობრობის თასზე" მიწვევა? ამ კითხვით ნაკრები გუნდების ტექნიკურ დირექტორ **ნიკა ჩხეიძეს** მივმართეთ, რომლის თქმითაც, ფეხბურთის ფედერაციაში მოსკოვიდან ასეთი შეტყობინება არ მოსულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო "საბჭოური ფეხბურთის ბაზრობაზე" ამჯერადაც არ იქნება წარმოდგენილი.

შეგხსენებთ, რომ 2008 წლის რუსული აგრესიის შემდეგ ქართულმა კლუბებმა "თანამეგობრობის თასის" გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს.

● ლეგიონერი

# მძიმე თემა დავით სირაძისთვის

## მოდი, ნაკრებზე ნუ ვილაპარაკებთ

**ახლახან რუსული მედია წერდა, დავით სირაძეს ნალჩიკის "სპარტაკთან" კონტრაქტი უმთავრდება და გუნდიდან მიდისო. თუმცა მალევე კლუბის პრესსამსახურთან ინტერვიუში 30 წლის ქართველმა თავდამსხმელმა ინფორმაცია არ დაადასტურა, მეტიც, მისი თქმით, ახალი ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.**

*"არ ვიცი, ეს ინფორმაცია საიდან მოიტანეს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ტყუილია. თანაც, ეს ცნობა მას შემდეგ გავრცელდა, რაც კლუბმა ხელშეკრულების გახანგრძლივება შემომთავაზა და მე დავთანხმდი. ნალჩიკში ჩემთვის ყველაფერი მისაღებია. ახალი კონტრაქტი ორწლიანია და იმედი მაქვს, რომ ამ პერიოდს ნალჩიკის "სპარტაკში" გავატარებ. ამჟამად გუნდის სატურნირო მდგომარეობა არასახარბიელოა, მაგრამ რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ, რათა პრემიერლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ"* – თქვა მაშინ სირაძემ.

გუშინ დათოს ნალჩიკში დავუკავშირდით.

**- სარისკო არ იყო კონტრაქტის გაფორმება კლუბთან, რომელსაც გასავარდნად აქვს საქმე?**

- ასე არ მგონია. პრემიერლიგა მაისში დასრულდება, მანამდე კი დიდი დროა და ვითარების გამოსწორების შანსი გვაქვს.

**- სხვა ვარიანტები არ გქონდა?**



დავით სირაძე

- იყო წინადადებები, მაგრამ ნალჩიკში ოთხი წელია, ვთამაშობ, პატივს მცემენ, მენდობიან და სამ ფეხბურთელს - მე, კონცედალოვსა და ჯუდოვიჩს დარჩენა შემოგვთავაზეს. დავილაპარაკეთ და შევთანხმდით.

სიმართლე გითხრათ, გავარდნაზე ფიქრიც არ მინდა, კიდევ 17 თამაში დაგვრჩა და ბრძოლა შეიძლება. ისეთი განსხვავებაც არ არის, რომ კონკურენტებს ვერ დავეწიოთ. კალენდარიც ხელს გვიწყობს, შედარებით სუსტ გუნდებს ვხვდებით და დარჩენა შესაძლებელია.

მაგრამ ვამჩნევ, ნალჩიკის გუნდი პრემიერლიგაში არ უნდათ, ბოლო ტურში მოსკოვის "ლოკომოტივს" გადავუარეთ, მაგრამ 1:2 წავაგეთ. დასანანი ის იყო, რაც მსაჯებმა დაგვმართეს – ამას საშინელება ჰქვია. არადა, რუსული მედია ამაზე დუმს, მსაჯებზე წერენ მხოლოდ მაშინ, თუ მოსკოვის გუნდებს ჩაგრავენ. ასეთი რამ საქართველოში რომ გაეკეთებინათ, მსაჯს მოკლავდნენ.

**- 11 ნოემბრის საქართველო-მოლდოვას ამხანაგური მატჩის შეკრებაც უშენოდ ჩაივლის...**

- ადრეც გითხარით, რომ საბერძნეთთან თამაშისთვის გამოუძახებლობამ გული მატკინა. ახლა შოთა არველაძის ინტერვიუ ვნახე და მისმა სიტყვებმა კიდევ უფრო დამწყვიტა გული. ვინ არ დააყენა ქეცბაიამ ნაკრებში, მაგრამ ვერავინ გაამართლაო და ჩემი გვარიც ახსენა. მაინტერესებს, სადაც და როდესაც დამაყენეს, ან არ გავიტანე, ან საგოლე გადაცემა მაინც არ გავაკეთე? ასეთი სიტყვები ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებს. ასეთი უსამართლო ლაპარაკი მწყინს, თორემ შოთასგან კრიტიკასაც მივიღებ და რჩევასაც, რადგან გამოცდილი კაცია. მე ნაკრებზე არაერთხელ დამწყდა გული, თორემ, კარგად ვიცი, დრო რომ მოვა, ჩემზე ახალგაზრდებმა უნდა ითამაშონ, ამას მტკიცება რად უნდა...

საერთოდ კი, ნაკრებზე ლაპარაკიც აღარ მინდა და, მოდი, ეს თემა დავხუროთ...

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს საფეხბურთო კლუბ „გაგრას" ვიცე-პრეზიდენტს, გოდერძი ჩიხრაძეს მამის გარდაცვალების გამო.

საფეხბურთო კლუბი „გაგრა" თანაგრძნობას უცხადებს ამავე კლუბის ვიცე-პრეზიდენტს, გოდერძი ჩიხრაძეს მამის გარდაცვალების გამო.

*გამოსვენება: 29 ოქტომბერს ქ. ლომთათიძის, 51.*

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com**

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. მოთამაშეთა მონაცემები ბოლო შესარჩევში

# 900-წუთიანიდან 0-წუთიანამდე

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მორიგი საკვალიფიკაციო ტურნირი დაასრულა წარუმატებლად და ისევ დაიწყო იმის აქტიური განხილვა, აქვს თუ არა ჩვენი ქვეყნის მთავარ საფეხბურთო გუნდს რაიმე პროგრესი, შესაცვლელია თუ არა მთავარი მწვრთნელი და სხვა. ამის თაობაზე მსჯელობა კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება, დღეს კი თქვენს ყურადღებას იმ თემაზე შევაჩერებთ, რომელზე კამათიც, უბრალოდ, შეუძლებელია – ყველაზე ზუსტი და თვალსაჩინო მაჩვენებელი, რაშიც კორექტივებს ვერავინ შეიტანს და ვერც ფაქტების ინტერპრეტაციას მოახდენს, სტატისტიკაა. ასე რომ, გადავხედოთ, ვინ რა წვლილი შეიტანა ქართველი გულშემატკივრების რამდენჯერმე გახარებასა და უფრო მეტ იმედგაცრუებაში.


ნუკრი რევიშვილი (№1) და კახა კალაძე

ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** გუნდის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც ევრო 2012-ის შესარჩევი ციკლის ათივე მატჩი შეუცვლელად ჩაატარა. თუკი ტრავმიანობისა ან გაფრთხილებათა ჭარბი რაოდენობის გამო წინა შესარჩევებში კალაძე ნაკრებს არცთუ იშვიათად აკლდებოდა, ამჟამად იგი მუდმივად მწყობრში იყო და დაცვის ლიდერადაც ძველებურად გვევლინებოდა.

ასევე ათივე მატჩში ითამაშა კიდევ ერთმა ვეტერანმა **ალექსანდრე იაშვილმა**, თუმცა სრულად ერთი შეხვედრაც კი არ ჩაუტარებია. შეგახსენებთ, განვლილი ციკლის პირველი ქართული გოლი სწორედ მის ანგარიშზეა – იაშვილმა საქართველოს ნაკრები საბერძნეთში დააწინაურა, მაგრამ მასპინძლებმა ქულა მაინც გადაარჩინეს.

კალაძის მაჩვენებელს აუცილებლად გაიმეორებდა და ნაკრებს ერთი წუთითაც კი არ დააკლდებოდა **ლევან კობიაშვილი**, რომ არა თელ ავივში მიღებული ყვითელი ბარათი, რომელმაც ხორვატიაში თამაშის უფლება არ მისცა. თუმცა, ამის მიუხედავად, კობიმ მესხე სანაკრებო მატჩის გამართვა წლეულსვე მოასწრო.

ზუსტად კობიაშვილის მდგომარეობაში აღმოჩნდა **ზურაბ ხიზანიშვილი** – ერთი შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, დანარჩენი 9 კი შეუცვლელად ჩაატარა.

კალაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი – ეს ის სამეულია, რომელსაც ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მთელი შესარჩევის განმავლობაში მყარად ჰქონდა ადგილი დამკვიდრებული. ხაზგასმითაა სათქმელი, რომ სამივე "ძველი გვარდიიდანაა".

ამ სამეულისა და იაშვილის გარდა, სასტარტო თერთმეტეულის ხშირ წევრებად უნდა დავასახელოთ **ალექსანდრე ამისულაშვილი** და **ნუკრი რევიშვილი.**

როგორ არ გავიხსენოთ **მალხაზ ასათიანი**, რომელიც საწყის ოთხ მატჩში შეუცვლელი და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ მერე უკლუბოდ და, შესაბამისად, უნაკრებოდ დარჩა. სამწუხაროდ, დღესაც კი არ გვაქვს იმის თქმის თუნდაც მცირე საფუძველი, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ უნიჭიერეს ქართველ ფეხბურთელს ნაკრებში მალე ვიხილავთ. უარესიც, ჩვენი ინფორმაციით, მალხაზს ფეხბურთის თამაშის სურვილი გაუქრა და კარიერის გაგრძელებაზე აღარც ფიქრობს...

რევიშვილი ვახსენეთ და აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი დამაჯერებელი და სტაბილური თამაშის წყალობით გასული შესარჩევი ციკლი ევრო 96-ის საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ, ფაქტობრივად, პირველია, რომელშიც საქართველოს ნაკრებს მეკარის პრობლემა არ ჰქონია. უდავოა, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს **აკაკი დევაძის** შემდეგ ასეთი საიმედო კიპერი არ ჰყოლია. მოკლედ, პრობლემა, რომელიც საქართველოს ნაკრების საკადრო პრობლემებს შორის ყოველთვის ერთ-ერთი უპირველესი იყო, მოგვარებულია.

ლოგიკურია, რომ ქართულ ინტერნეტსივრცეში საქართველოს ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვებში რევიშვილი დიდი უპირატესობით ლიდერობს.

ბუნებრივია, არც ქართული დაცვის წვლილის დავიწყება შეიძლება. **თემურ ქეცბაიას** გუნდმა 10 შესარჩევ მატჩში 9 ბურთი გაუშვა, რაც, ბუნებრივია, უპირველესად, უკანა ხაზის დამსახურებაა.

საქართველოს ნაკრების წევრთაგან განვლილ ციკლში არავინ გაუძევებიათ და ამიტომაც ეს გრაფა სტატისტიკაში საერთოდ არ შევიტანეთ.

ჩვენი გუნდის შემადგენლობიდან განვლილ შესარჩევში 2 გოლზე მეტი არავის გაუტანია. ორ-ორი ბურთია **დავით სირაძისა** და **ჯაბა კანკავას** ანგარიშზე, თითო გოლი კი ალექსანდრე იაშვილმა, ლევან კობიაშვილმა და **დავით თარგამაძემ** გაიტანეს. ეს უკანასკნელი, იმის მიუხედავად, რომ მხოლოდ ბოლო 3 შესარჩევი შეხვედრა ჩაატარა, ნაკრებისთვის ნამდვილ აღმოჩენად იქცა.

ყველაზე მეტჯერ, 5-ჯერ, შეცვლაზე სირაძე შევიდა, იაშვილი კი 8-ჯერ მოხვდა ძირითადში და 8-ჯერვე შეცვალეს. სათადარიგოთა სკამზე ყველაზე დიდი დრო მეკარე **გიორგი ლორიამ** გაატარა. ასევე 7-ჯერ იყო თადარიგში სირაძე, მაგრამ სკამზე ბოლომდე მხოლოდ 2-ჯერ დარჩა.

განვლილ ციკლში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 30-მა ფეხბურთელმა ითამაშა, კიდევ 3 კი მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე ჯდომას დასჯერდა, თუმცა ცხრილში მათი გვარებიც შევიტანეთ. ამ სამიდან **კახა ალადაშვილსა** და **ჯაბა ლიპარტიას** ნაკრების ღირსება ძველ ციკლებშიც დაუცავთ და ამხანაგურ მატჩებშიც უთამაშიათ, **როინ კვასხვაძეს** კი, რომელსაც ნაკრებში **კლაუს ტოპმიოლერი** და **ჰექტორ კუპერიც** კი იწვევდნენ, ეროვნულ გუნდში დებიუტი ჯერ არ ჰქონია.

ბოლო შესარჩევში საქართველოს ნაკრების ყველაზე უფროსი წევრი ლევან კობიაშვილი იყო, ყველაზე უმცროსი კი – **ჯანო ანანიძე.** მათ შორის ასაკში სხვაობა 15 წელია.

ზემოთ ნახსენები 33 ფეხბურთელიდან ამ მომენტისთვის ლეგიონერია 25, ქართულ კლუბებს წარმოადგენს 7 მოთამაშე, ხოლო ასათიანი მოქმედ ფეხბურთელებში აღარ ფიგურირებს. **მურთაზ დაუშვილი**, რომელიც ახალი წლიდან უკრაინულ "კარპატიში" ითამაშებს, ლეგიონერთა რიცხვს მივაკუთვნეთ. სწორედ დაუშვილი იყო საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ნაკრებში სტაბილურად ასპარეზობდა – ბუნებრივია, მის ტრანსფერთან დაკავშირებულ გახმაურებულ სკანდალამდე.

შესარჩევი ტურნირი საბერძნეთთან გასვლითი მატჩით დავიწყეთ და მასთან საშინაო შეხვედრით დავასრულეთ. იმ 11 ფეხბურთელიდან, რომლებმაც ათენური მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყეს, ბოლო შეხვედრის სასტარტოში მხოლოდ 5 იყო.

| | ასაკი | ამპლუა | წუთი | მატჩი | ძირითადში | შეცვლაზე | შეცვალეს | სათად. | გოლი | გაფრთ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნუკრი რევიშვილი | 24 | მეკ | 720 | 8 | 8 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| გიორგი ლორია | 25 | მეკ | 180 | 2 | 2 | 0 | 0 | 7 | 0 | 0 |
| როინ კვასხვაძე | 22 | მეკ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 30 | მცვ | 810 | 9 | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| კახა კალაძე | 33 | მცვ | 900 | 10 | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ალექს. ამისულაშვილი | 29 | მცვ | 701 | 8 | 8 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 |
| მალხაზ ასათიანი | 30 | მცვ | 360 | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | მცვ | 371 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 |
| დავით კვირკველია | 31 | მცვ | 293 | 4 | 3 | 1 | 1 | 6 | 0 | 0 |
| გია გრიგალავა | 22 | მცვ | 180 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| აკაკი ხუბუტია | 25 | მცვ | 270 | 3 | 3 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| გურამ კაშია | 24 | მცვ | 350 | 4 | 4 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | 28 | მცვ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| უჩა ლობჯანიძე | 24 | მცვ | 318 | 4 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 |
| ლევან კობიაშვილი | 34 | ნახ | 810 | 9 | 9 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 |
| გოგიტა გოგუა | 28 | ნახ | 290 | 5 | 3 | 2 | 2 | 2 | 0 | 1 |
| სანდრო კობახიძე | 24 | ნახ | 13 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ჯაბა კანკავა | 25 | ნახ | 492 | 6 | 6 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 |
| გიორგი მერებაშვილი | 25 | ნახ | 76 | 3 | 1 | 2 | 1 | 3 | 0 | 0 |
| მურთაზ დაუშვილი | 22 | ნახ | 254 | 5 | 3 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 |
| დავით თარგამაძე | 22 | ნახ | 270 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| შოთა გრიგალაშვილი | 22 | ნახ | 111 | 3 | 1 | 2 | 1 | 2 | 0 | 0 |
| თორნიკე აფციაური | 31 | ნახ | 15 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ალექსანდრე კოშკაძე | 29 | ნახ | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ჯანო ანანიძე | 19 | ნახ | 419 | 7 | 5 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 |
| ალექსანდრე იაშვილი | 34 | თავ | 573 | 10 | 8 | 2 | 8 | 2 | 1 | 1 |
| დავით სირაძე | 30 | თავ | 330 | 7 | 2 | 5 | 1 | 7 | 2 | 1 |
| ლევან მჭედლიძე | 21 | თავ | 65 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ვლადიმერ დვალიშვილი | 25 | თავ | 324 | 8 | 4 | 4 | 4 | 6 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 26 | თავ | 30 | 1 | 0 | 1 | 0 | 5 | 0 | 0 |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | თავ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ალექსანდრე გურული | 25 | თავ | 25 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 |
| ოთარ მარცვალაძე | 27 | თავ | 347 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 0 | 2 |

ტრავმა


როინ კვასხვაძე

# თითი, თითი...

## ზესტაფონს როინ კვასხვაძე გამოაკლდა

რამდენიმე დღის წინ თბილისში "სპარტაკთან" მატჩისას **როინ კვასხვაძემ** ხელი დაიზიანა და შესაცვლელი შეიქნა. ერთი შეხედვით, "ზესტაფონის" მეკარის ტრავმა არცთუ საშიში იყო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, კვასხვაძეს ხელის თითი აქვს მოტეხილი და ეროვნული ჩემპიონატის უახლოესი ტურები გაუცდება. მოედანს იგი, სავარაუდოდ, ნოემბრის შუაში დაუბრუნდება.

შესაბამისად, 22 წლის კვასხვაძე ვერც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოცხადდება მოლდოვასთან ამხანაგური მატჩისთვის შეკრებაზე.

მის არყოფნაში "ზესტაფონის" კარს გუნდის კაპიტანი **ზურაბ მამალაძე** დაიცავს.

U15

# კარგი მეზობელიო...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, 4 ნოემბერს თბილისს აზერბაიჯანის 15-წლამდელთა ნაკრები ეწვევა და აქ საწვრთნელ შეკრებას გაივლის.

შეკრების პარალელურად სტუმრები ქართველ თანატოლებთან ორ ამხანაგურ მატჩსაც ჩაატარებენ. პირველი შეხვედრა 6 ნოემბერს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება, მეორე შეხვედრაში კი **ნოდარ აკობიას** გუნდი აზერბაიჯანელებს რუსთავში, „ფოლადზე" უმასპინძლებს.

აზერბაიჯანელი 15-წლამდელები ქართულ შეკრებას 10 ნოემბერს დაასრულებენ.

შეგახსენებთ, საქართველოსა და აზერბაიჯანის ასაკობრივი ნაკრებები შეკრებებისა და სპარინგებისთვის ერთმანეთს ხშირად სტუმრობენ და ეს სამეზობლო ურთიერთობა შემდგომშიც გაგრძელდება.

ფუტსალი

# პორტუგალიაში პორტუგალიელებით ვამთავრებთ

სანამ უეფა მოლდოველთა პროტესტს განიხილავს და საქართველოს ეროვნული ნაკრების ბედი გაირკვევა, საკლუბო ფუტსალზე ვთქვათ, მით უფრო, რომ საამისოდ კარგი მიზეზი გვაქვს – სულ ცოტა ხნის წინ ხომ საქართველოს ჩემპიონმა "იბერია სტარმა" წარმატებით გადალახა ევროპის ფუტსალის თასის პირველი ჯგუფური ეტაპი და ელიტრაუნდისთვის ემზადება.

ჩვენების მეტოქეები კი ვიცოდით, მაგრამ დასადგენი იყო ჯგუფის კალენდარი და ესეც გაირკვა.

**16 ნოემბერი**

იბერია სტარი-დიორი (უნგრეთი)
სპორტინგი (პორტ.)-ტარგუ მურეში (რუმ.)

**17 ნოემბერი**

ტარგუ მურეში-იბერია სტარი
სპორტინგი-დიორი

**19 ნოემბერი**

დიორი-ტარგუ მურეში
იბერია სტარი-სპორტინგი

ჯგუფს პორტუგალია უმასპინძლებს, ფინალურ ოთხგუნდიან ეტაპზე კი მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ.

გვერდი მოამზადა **ლევან ჯანეზაშვილმა**


იბერია სტარი

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში"
E-mail:hr@kvirispalitra.com

# საშუალედო პრიორიტეტები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 11 | 8 | 2 | 1 | 25 | 13 | 26 |
| 2 | ტორპედო | 11 | 7 | 1 | 3 | 14 | 7 | 22 |
| 3 | დინამო | 11 | 7 | 1 | 3 | 23 | 12 | 22 |
| 4 | მეტალურგი | 11 | 6 | 3 | 2 | 16 | 10 | 21 |
| 5 | ბაია | 11 | 6 | 1 | 4 | 15 | 8 | 19 |
| 6 | მერანი | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 12 | 17 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 11 | 4 | 2 | 5 | 10 | 14 | 14 |
| 8 | გაგრა | 11 | 4 | 1 | 6 | 12 | 16 | 13 |
| 9 | დილა | 11 | 3 | 1 | 7 | 15 | 18 | 10 |
| 10 | სპარტაკი | 11 | 2 | 4 | 5 | 8 | 16 | 10 |
| 11 | კოლხეთი | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 17 | 9 |
| 12 | სიონი | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 22 | 3 |

**გასული** ტურით ჩემპიონატის პირველი წრე დამთავრდა და გარკვეული დასკვნის გაკეთებაც შეიძლება. უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ვთქვათ, რომ ფეხბურთის გულშემატკივართა უმრავლესობის ვარაუდი გამართლდა: ცხრილის ზედა ნაწილში სწორედ ის ოთხი გუნდი („ზესტაფონი", „ტორპედო", „დინამო", „მეტალურგი") იმყოფება, ჩემპიონატის დაწყებამდე ფავორიტებად რომ მიიჩნეოდნენ. ამასთან, წარმოუდგენლადაც გვეჩვენება მოვლენების ისეთი განვითარება, პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ ეს ოთხეული საუკეთესო რვა გუნდში რომ ვერ მოხვდეს. კიდევ ერთხელ გვინდა გულშემატკივარს შევახსენოთ, რომ ეს სეზონი განსხვავებული ფორმატით ტარდება: მეორე ეტაპიდან საუკეთესო რვა გუნდი ასპარეზობას ერთმანეთში მოპოვებული ქულებით გააგრძელებს, დანარჩენი ოთხი გუნდი კი პირველი ლიგის ოთხ საუკეთესო გუნდთან ახალ ტურნირში ჩაებმება და უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის იბრძოლებს (ოღონდ, ამ შემთხვევაში ეს რვავე გუნდი გათამაშებას ნული ქულით დაიწყებს). მოკლედ, მეორე წრე მართლაც დიდ ინტრიგას გვპირდება, მით უფრო, რომ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა ზემოთ ნახსენები ოთხი ფავორიტის გარდა ჯერჯერობით გარანტირებული არავის აქვს; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ბაიასა" და „მერანს" ბევრად უკეთესი შანსები აქვთ, ვიდრე დანარჩენებს; ამას გარდა, „ვიტ ჯორჯიასა" და „გაგრას" პოზიციებიც ამ ეტაპისათვის მყარი არ არის და მეორე წრეში, შესაძლოა, გარკვეული გადაადგილებებიც მოხდეს. ამ ეტაპისათვის კი საუკეთესო რვა გუნდის ცხრილში ყველაზე კომფორტული პოზიცია მოქმედ ჩემპიონს უკავია: „ზესტაფონი" დღესდღეობით 9 (!) ქულით უსწრებს „დინამოსა" და „ტორპედოს", ოთხით კი — „მეტალურგს". თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, რომ მეორე წრეში კიდევ ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, მანამდე კი „საუკეთესო რვაგუნდიანი ტურნირის" სადღეისო ცხრილი გვინდა შემოგთავაზოთ. აქვე, ბარემ ისიც განვმარტოთ, რომ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრილ გუნდებს ქვედა ოთხეულთან მოპოვებული ქულები მეორე ეტაპზე არ გადაჰყვებათ; მაგალითად, იმავე „ზესტაფონმა" რომ წააგო „დილასთან" და ფრედ ითამაშა „კოლხეთთან", ეს დაკარგული 5 ქულა მოქმედი ჩემპიონის სატურნირო მდგომარეობაზე უარყოფითად ნამდვილად არ აისახება. მოკლედ, ისეთი სიტუაციაც შეიძლება შეიქმნეს (და, ალბათ, ასეც იქნება), რომ ესა თუ ის ფავორიტი გარკვეული „არჩევანის" წინაშეც დადგება: რომელი გუნდი „შეიყვანოს" რვა საუკეთესოში და რომელი — არა!

### I წრის მიხედვით საუკეთესო რვა გუნდის ცხრილი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 7 | 6 | 1 | 0 | 17 | 6 | 19 |
| 2 | მეტალურგი | 7 | 5 | 0 | 2 | 11 | 7 | 15 |
| 3 | ტორპედო | 7 | 3 | 1 | 3 | 5 | 7 | 10 |
| 4 | დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 13 | 10 | 10 |
| 5 | ბაია | 7 | 2 | 1 | 4 | 6 | 7 | 7 |
| 6 | მერანი | 7 | 2 | 1 | 4 | 5 | 10 | 7 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 7 | 2 | 1 | 4 | 2 | 7 | 7 |
| 8 | გაგრა | 7 | 2 | 0 | 5 | 6 | 12 | 6 |

## სერიალი გრძელდება: უხვგოლიანობა და უკომპრომისობა

ზედიზედ მესამე ტურია, ჩვენ ფეხბურთელებს შედეგიანობა არ დაეწუნებათ და ამჟამადაც ჩინებული მაჩვენებელი დააფიქსირეს: ერთ მატჩში, საშუალოდ, სამი ბურთი! არადა, მეტისმეტად შემჭიდროვებული კალენდარის „გადამკიდე", ცოტა არ იყოს, ძნელად წარმოსადგენიც იყო „აღებული ტემპის" შენარჩუნება: ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენი ჩემპიონატის ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის ორ-ორი სრულფასოვანი შემადგენლობით (გნებავთ, „გრძელი სათადარიგოთა სკამით"); თუმცა, ოფიციალური მატჩების ყოველ მესამე-მეოთხე დღეს ჩატარების მიუხედავად, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდები შედეგიან ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას და ეს ფაქტიც, არ შეიძლება რომ პოზიტიურ მომენტად არ მივიჩნიოთ. ისე როგორც... ფრეების ნაკლებობა: გასულ ტურში ერთადერთი მატჩი დასრულდა საყაიმო ანგარიშით; თანაც, ქვემოქართლურ „დერბიში" მართლაც „არამშვიდობიანი" ფრე დაფიქსირდაო რომ ვთქვათ, აშკარად რბილად ნათქვამი იქნება, რამეთუ წვიმიან და სუსხიან ამინდში ჩატარებულ ბოლნისურ მატჩში რა აღარ ვნახეთ: თამაშის მოულოდნელი სცენარი, მასპინძელთა კარში დანიშნული ორი პენალტი, უამრავი ყვითელი ბარათი, ერთი გაძევება მოედნიდან და ერთიც სათადარიგოთა სკამიდან, მინდორზე უცხო პირის შემოვარდნა, ადგილობრივ ქომაგთა აღშფოთება, ფეხბურთელებს შორის გაწევ-გამოწევა თუ საქმეების გარჩევა და ა.შ. სხვათა შორის, პირველი წრის ბოლო ტურში სწორედ ეს შეხვედრა დამთავრდა მეტ-ნაკლებად არაპროგნოზირებადი შედეგით...

## სამხელისუფლებიანობა და სხვადასხვა სერია

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საუკეთესო ბომბარდირობისათვის დავა ერთობ საინტერესოდ უნდა წარიმართოს: პირველი წრის შემდეგ გოლიადორთა „დაუსწრებელ" პაექრობაში ერთდროულად სამი ფეხბურთელი ლიდერობს! 31 წლის **ჩისკომ** („დინამო"), 28 წლის **დიმიტრი ტატანაშვილმა** („მეტალურგი") და 26 წლის **ჯაბა დვალმა** („ზესტაფონი") პირველი წრე 8-8 გოლით დაასრულეს და სხვა კონკურენტებიც მეტ-ნაკლებად საკმარისი „დისტანციით" ჩამოიტოვეს. გასულ ტურში ჩისკომ „დუბლი" შეასრულა, დვალმაც ერთი ბურთი მიუმატა თავის აქტივს, აი, ტატანაშვილმა კი რეალური შანსი გაუშვა ხელიდან, ბომბარდირთა დავაში აბსოლუტური ლიდერი რომ გამხდარიყო: „სიონთან" მატჩში ერთი (უფრო ზუსტად, ერთადერთი) ხელსაყრელი მომენტიც ვერ გამოიყენა და რაც მთავარია, პენალტიც ვერ გაიტანა (ბოლნისელთა 21 წლის მეკარეს **ვახტანგ ლობჟანიძეს** ვერ აჯობა)! ისე, ჩისკომ ამ სეზონში უკვე მესამე „დუბლი" შეასრულა, თუმცა, შეგახსენებთ, რომ ამ მხრივ პირველობას არავის უთმობს დიმიტრი ტატანაშვილი, რომელმაც ოთხ შეხვედრაში შეძლო ორ-ორი გოლის გატანა. გასულ ტურში კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოირჩა „დუბლით": ქუთაისის „ტორპედოს" 30 წლის ცენტრფორვარდმა **რევაზ გოცირიძემ** გოლის „გემო" გაიხსენა და ბოლო ორ შეხვედრაში სამი ბურთი გაიტანა. სხვათა შორის, გოცირიძის მსგავსად ამ ტურში სხვა ფეხბურთელებმაც გააგრძელეს საგოლე სერია და ზედიზედ მეორე მატჩია მოედანს უგოლოდ არ ტოვებენ: 25 წლის **ზვიად მეტრეველსა** („სპარტაკი") და 25 წლის **გიორგი ქუცურუას** („სიონი") ვგულისხმობთ; თანაც, ზედიზედ ორი მატჩია ქუცურუას ერთიმეორეზე ეფექტური გოლები გააქვს „სტანდარტულებიდან".

ახლა კი კონკრეტული გუნდების სერიებზეც ვთქვათ და ჯერ, რა თქმა უნდა, წარმატებულზე უნდა ვისაუბროთ. ოთხი მატჩი და ოთხი გამარჯვება (პლუს, არც ერთი გაშვებული ბურთი), — აი, ასე შთამბეჭდავად დაიწყო თავის ახალ გუნდში მოღვაწეობა **გია გეგუჩაძემ**! ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული ქართველი მწვრთნელი ამჟამად „ტორპედოს" თავკაცობს და ახალ გუნდს თავის „ხელი" უმალ დაატყო. ცნობისათვის: უკანასკნელად „ტორპედოს" წარმატებული სერია 2004-05 წლების სეზონში ჰქონდა, როცა **ოთარ გაბელიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე ქუთათურებმა ზედიზედ 6 მატჩი მოიგეს. არანაკლებ შთამბეჭდავი თუ წარმატებულია მეორე იმერული კლუბის სერიაც: ახალგაზრდა სპეციალისტის, **გიორგი ჭიაბრიშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ზესტაფონმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო და სრულიად დამსახურებულადაც იმყოფება ცხრილის სათავეში. თუმცა, „ზესტაფონისგან" ასეთი სერიები გასაკვირი არავისთვის უნდა იყოს: 2007-08 წლების სეზონის სტარტზე **თემურ მახარაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ზედიზედ 11 შეხვედრა მოიგო!

**გია ტუხაშვილი**

### XI ტურის სიმბოლური ნაკრები






დინამო-გაგრა 3:0

ფოტო: www.fcdinamo.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მანჩესტერ სიტი

# შეიხი განრისხდა



„მანჩესტერ სიტის“ მეპატრონემ, შეიხმა **მანსურმა** მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** შეუთვალა, თუკი **კარლოს ტევესი** სასამართლოში გიჩივლებს, პროცესთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს პირადად მე გადაგიხდიო. მოგეხსენებათ, რაზეც არის ლაპარაკი: „სიტიმ“ და მისმა 27 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა, **კარლოს ტევესმა** დავაში ძალიან შორს შეტოპეს. საქმე სექტემბრის ბოლოს მომხდარ ამბავს ეხება: მანჩესტერული კლუბი ამტკიცებს, რომ მიუნხენის „ალიანს არენაზე“, „ბაიერნთან“ შეხვედრის დროს, ტევესმა მანჩინის მოედანზე შესვლაზე უარი განუცხადა. შესაბამისად, კლუბმა ფეხბურთელი ოთხი კვირის ხელფასის დაქვითვით დასაჯა, ეს კი, დაახლოებით მილიონი ფუნტი გახლავთ. ფეხბურთელმა გადაწყვიტა ისტლენდელებს თავი არ წაუხაროს და სასამართლოში იჩივლოს. ის ამტკიცებს, რომ მანჩინისთვის მოედანზე შესვლაზე უარი არ უთქვამს.

ფეხბურთელის ქცევამ ძალიან გააღიზიანა პრემიერლიგის კლუბის არაბი მეპატრონე, შეიხი მანსური, რომელიც მზად არის ბოლომდე მიყვეს საქმეს და თუ საჭიროა, მანჩინის საკუთარი ჯიბიდან მისცეს ფული ტევესისთვის ჭკუის სასწავლებლად. ამასთან, „მანჩესტერ სიტიში“ ვარაუდობენ, რომ არგენტინელი ფორვარდი მწვრთნელის წინააღმდეგ სასამართლოში წასვლას ვერ გაბედავს, რადგან ასეთი ნაბიჯის გადადგმა მისი კარიერისთვის წამგებიანი იქნება.

ცნობილია, რომ მანჩინი ტელეფონით ელაპარაკა „მანჩესტერ სიტის“ თავმჯდომარე **ხალდუნ ალ მუბარაქს** და მუბარაქმა სწორედ ამ საუბრის დროს უთხრა მას, რომ შეიხი ყველაფერზე წავა, ოღონდ კი გათავხედებული ტევესი ბოლომდე დაისაჯოს.

სხვა სიტყვებით, ეს იმას ნიშნავს, რომ არაბები არგენტინელ თავდამსხმელს იანვარში კი არ გაყიდიან, არამედ კონტრაქტით გათვალისწინებული ორი წლის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე დასვამენ, რათა მან კვალიფიკაცია სრულიად დაკარგოს და ფეხბურთელად ვეღარ ივარგოს - ასეთი იქნება შურისძიება. რასაკვირველია, კლუბის მხრიდან ეს დიდძალი ფულის დაკარგვასთან იქნება დაკავშირებული თუ ტევესი იანვარში მაინც გაიყიდება, ფასს 40 მილიონი ფუნტიდან ანუ 64 მილიონი დოლარიდან ერთი ცენტიც არ დააკლდება.

# მანჩინი ჯონსონისგან მეტს ელის

მიუხედავად იმისა, რომ 24 წლის ნახევარმცველმა, **ადამ ჯონსონმა** „ქარლინგის თასის“ შეხვედრაში, „ვულვერჰემპტონის“ წინააღმდეგ, შესანიშნავად ითამაშა და 5:2 გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა, „მანჩესტერ სიტის“ თავკაცი, **რობერტო მანჩინი** მისგან კიდევ უფრო მეტს ელის. „მოლინოს“ სტადიონზე ჯონსონმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი **სამირ ნასრის** გაუწია ასისტენტობა, თუმცა **ჯეიმი ო'ჰარას** გოლი მისი ბრალიც იყო. საბოლოოდ, ისტლენდელთათვის მაინც ყველაფერი კარგად დამთავრდა. მათ 27-წუთიან მონაკვეთში ხუთი გოლი გაიტანეს და მეოთხედფინალში გავიდნენ, მანჩინიმ კი თქვა:

*„ჯონსონი ხანდახან ასე ფიქრობს: გოლი გავიტანე და საგოლე პასიც გადავაწოდე. ესე იგი, დღეს მეტი აღარაფერი მომეთხოვება. ასეთი დამოკიდებულება არ ვარგა. ადამი ახალგაზრდაა და შეუძლია, როგორც ფეხბურთელი ძალიან გაიზარდოს. ამისათვის, მან სხვანაირად უნდა დაიწყოს ფიქრი. მისი მიდგომა ასეთი უნდა გახდეს: მართალია, გოლი გავიტანე და საგოლე პასიც გადავაწოდე, მაგრამ დღეს მე კიდევ ერთი უნდა შევაგდო და ერთი საგოლე პასიც გადავაწოდო, მერე კი დაცვაში გავიქცე და მოწინააღმდეგეს შევუშალო ხელი“.*

შემდეგ მანჩინიმ დასძინა: *„წარმოუდგენელს არაფერს ვამბობ. მას შეუძლია ასეთი დამოკიდებულება გამოიმუშაოს. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ჯონსონი ერთ-ერთი უძლიერესი ჰაფბეკთაგანი უნდა გახდეს. როგორც გითხარით, ის ჯერ ახალგაზრდაა და პრემიერლიგაში მხოლოდ მესამე შეხვედრას ატარებს. როდესაც ვატყობ, რომ ის მოედანზე მთელ გულსა და სულს არ ტოვებს, ძალიან უკმაყოფილო ვრჩები ხოლმე. თუ გნებავთ, დღევანდელი შეხვედრის მაგალითზე ვნახოთ: მან თითქოსდა შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ იმ ეპიზოდში, როდესაც „ვულვზმა“ მეორე გოლი გაგვიტანა, მოწინააღმდეგეს არ გამოეკიდა.*

*ადამის პოზიციაზე ჩვენ გუნდში სხვა ფეხბურთელი არ გვყავს. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ყოველ შეხვედრაში ვათამაშებ, მაგრამ, თუ მოინადინებს და ამ დიდ უპირატესობას გამოიყენებს, საკმაოდ ხშირად იქნება მოედანზე. მოკლედ, პრაქტიკა ნამდვილად არ მოაკლდება“.*

„ვულვერჰემპტონისა“ და „მანჩესტერ სიტის“ შეხვედრაში შერეკილი **მარიო ბალოტელი** სკამზე იჯდა. ხალხს მოეჩვენა, რომ უქმად მჯდომმა თამაშის დამთავრების შემდეგ თავისივე კლუბის ერთ-ერთ თანამშრომელს ჩხუბი დაუწყო. როდესაც პრესკონფერენციაზე შესულ მანჩინის ეს უთხრეს, მან გაიცინა:

*„ვინ? მარიომ? არა, მსგავსი არაფერი მომხდარა“.*

პრესკონფერენციის დაწყების წინ ჟურნალისტები გააფრთხილეს, რომ **კარლოს ტევესის** დასჯასთან დაკავშირებით მანჩინისთვის კითხვები არ დაესვათ.



● რასიზმი



# ვის რა მოეჩვენა და ვინ რა გაიგო

„ჩელსის“ 30 წლის კაპიტანი, **ჯონ ტერი** შარში რომ არის გახვეული, საქვეყნოდ ცნობილი ამბავი გახლავთ. მას „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ თამაშის დროს მეტოქე გუნდის ფეხბურთელის, 26 წლის **ანტონ ფერდინანდის** რასისტულად შეურაცხყოფაში სდებენ ბრალს. „რეინჯერსმა“ იჩივლა და საქმე ახლა ფეხბურთის ასოციაციამ უნდა გაარჩიოს.

ამ დაპირისპირებასთან დაკავშირებით რამდენიმე სიახლეა. ერთი ის გახლავთ, რომ „ჩელსის“ მცველი **ეშლი კოული** სადაც ჯერ არს იმის თქმას აპირებს, რომ მას არაფერი გაუგია. „ქუინზ პარკის“ რამდენიმე ფეხბურთელი კი ფერდინანდის სასარგებლო ჩვენების მიცემას აპირებს. კერძოდ, **კლინტ ჰილმა, პედი კენიმ** და **შონ დერიმ** ტერის პოზიცია ცოტა შარყიეს. კერძოდ, მოგეხსენებათ, ტერი არ უარყოფს, რომ ის, რაც ვიდეოჩანაწერზე ჩანს, მართალია — მან მართლა თქვა რასისტული და შეურაცხმყოფელი ფრაზები, მაგრამ ეს მისი ვერსიით აგრესია კი არა, თავის დაცვა იყო. „ჩელსის“ და ინგლისის ნაკრების კაპიტანი ამტკიცებს, რომ მან ფერდინანდს უპასუხა, მე შენთვის ესა და ეს არ მითქვამსო და სწორედ ამ დროს წარმოსთქვა ის სიტყვები, რის გამოც ედავებიან. როგორც ჩანს, ჰილის, კენისა და დერის ჩვენებიდან ახალი კითხვა იბადება: საიდან მოვიდა ეს სიტყვები საერთოდ? რატომ დასჭირდა ტერის ამ კონკრეტული სიტყვების გამეორება თუნდაც უარყოფისთვის?

ცნობილია, რომ „ჩელსის“ ვარსკვლავმა საქმის არაოფიციალურად მოგვარება სცადა და უნდოდა დაკავშირებოდა როგორც ანტონ ფერდინანდს, ასევე მის უფროს ძმას, **რიოს**, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობს, მაგრამ ძმებმა არ უპასუხეს.

ვითარება დაძაბულია ფეხბურთის ასოციაციაშიც. 5 ნოემბერს ინგლისის ნაკრების თავკაცმა, **ფაბიო კაპელომ** იმ ფეხბურთელების სია უნდა გამოაქვეყნოს, რომლებსაც ესპანეთსა და შვედეთთან ამხანაგურ შეხვედრებში ათამაშებს. როგორ მოიქცეს კაპელო, თუკი მანამდე ასოციაცია მტყუან-მართალს ვერ გაარჩევს? თუმცა, ინგლისის ნაკრების ბანაკიდან ერთი ხმა უკვე გამოვიდა: სანამ ფედერაცია ყველაფერს არ გამოიკვლევს, კაპელო ტერის კაპიტნის სამკლავურს არ ჩამოართმევს.

დავუბრუნდეთ კოულს, რომელიც ტერის მთავარ მოწმედ მოჰყავდა — კოული დაადასტურებს, უდანაშაულო რომ ვარო. ვიდეოჩანაწერზე ჩანს, ფერდინანდისა და ტერის შელაპარაკების დროს წყვილის გვერდით სწორედ კოულმა ჩაიარა, თუმცა, ტაბლოიდებმა შეიტყეს, რომ კოული ბევრს ვერაფერს მოუყვება. ის ვერ იტყვის, ასე და ასე იყო და ამიტომ ჩემი თანაგუნდელი მართალიაო. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კოული სიტუაციიდან მარტივად აპირებს გამოსვლას, იტყვის არაფერი გამიგიაო. იქნებ, მართლაც არ გაუგია და წყალწაღებული ტერი ხავსს ეჭიდება?

● სადისციპლინო საკითხი



# ნუთუ რუნის შეიწყნარებენ?

უეფას ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისთვის წერილობით უნდა შეეტყობინებინა, რატომ მიუსაჯა 26 წლის **უეინ რუნის** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია, მაგრამ ამის გაკეთება სულ მცირე, ერთი კვირით გადადო და... ინგლისელებს იმედი ჩაუსახა. შეგახსენებთ რუნის დასჯის მიზეზს: ჩერნოგორიასთან შეხვედრაში მან **მიროდრაგ ძუდოევიჩს** უკნიდან ფეხი გამოსდო. უეფას გამოცხადებული ჰქონდა, რომ თავის მკაცრ ვერდიქტს ახსნა-განმარტებასაც მოაყოლებდა და თარიღიც ჰქონდა დათქმული — ეს სამშაბათს უნდა გაეკეთებინა. მაგრამ ასე არ მოხდა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კი გაავრცელა განცხადება, რომელშიც წერია:

*„უეფასგან მოვიდა ოფიციალური შეტყობინება, რომ ჩვენ რუნის საქმესთან დაკავშირებულ წერილს დაახლოებით ერთი კვირის ან უფრო მეტი ხნის შემდეგ მივიღებთ. დისკვალიფიკაციის მიზეზების განმარტების შემდეგ კი ფეხბურთის ასოციაცია ფაბიო კაპელოსა და უეინ რუნისთან კონსულტაციებზე დაყრდნობით აპელაციას შეიტანს“.*

კანონის თანახმად, განმარტებების მიღების შემდეგ ასოციაციას საჩივრის შესატანად ექნება სამი დღე, რის შემდეგაც ექვსი დღის მანძილზე მან თავისი სიმართლე უნდა დაამტკიცოს. ინგლისური ფეხბურთის მმართველი ორგანო აპელაციას რასაკვირველია შეიტანს, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია იმას ნიშნავს, რომ ის ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფური ეტაპის შეხვედრებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. შეგახსენებთ, რომ **ფაბიო კაპელომ** გასულ კვირაში გადაკვრით თქვა, სადისციპლინო გარჩევის ნებისმიერი შედეგით დამთავრების შემთხვევაში რუნის ევროპის ჩემპიონატზე წავიყვანო. საგულისხმოა, რომ მას მერე, რაც უეფამ „იუნაიტედის“ ვარსკვლავს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, იტალიელ მწვრთნელს რუნი საერთოდ აღარ უხსენებია, თუმცა ზემოთ აღნიშნულ ინტერვიუში ბრძანა, რომ გუნდში ახალგაზრდებისა და ვეტერანების დასაბალანსებლად მას ასეთი ფეხბურთელი დასჭირდება და ამიტომ, მთელი სეზონის განმავლობაში დააკვირდება.

კერძოდ, კაპელომ თქვა: *„ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს, რომელთაც ძალიან უნდათ ნაკრებში თამაში. გუნდისთვის ასევე აუცილებელია ვეტერანების გამოცდილება. ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ დაგვჭირდება ლიდერები, რომელთაც რთულ სიტუაციებში მოქცევის გამოცდილება აქვთ. ვთქვათ, ჯეკ უილშირი შესანიშნავი ახალგაზრდა ფეხბურთელია, მაგრამ მის ახალგაზრდულ ენერგიასთან ერთად ჩვენ ძალიან დაგვჭირდება ჯონ ტერის, რიო ფერდინანდისა და სკოტ პარკერის სიბრძნე. ერთი სიტყვით, ამ ყაიდის ფეხბურთელების გარეშე არაფერი გამოვა. პლუს, მე უეინ რუნის იმედიც მაქვს“.*

ასე დასრულდება რუნის ამბავი თუ ისე, ცნობილია, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია „ევრო 2012“-ის დღეებში გუნდის პოლონეთის ქალაქ კრაკოვში დაბინავებას აპირებს. ამბობენ, რომ ნაკრების შეფებმა გაითვალისწინეს მსოფლიოს 2010 წლის უარყოფითი გამოცდილება და გადაწყვიტეს, ფეხბურთელები ხალხისგან მოშორებულ ადგილას აღარ გამოკეტონ. გეგმავენ სხვადასხვა ღონისძიებას, მაგალითად ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის დათვალიერებას. კიდევ, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები შეხვდებიან ადგილობრივ მოსახლეობას, ხოლო კრაკოველ ბავშვებს ფეხბურთის გაკვეთილებს ჩაუტარებენ.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

ინტერვიუ. იოახიმ ლიოვი

# ერთი შეცდომა და...

**გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა რუსულ "სპორტ ექსპრესს" საინტერესო ინტერვიუ მისცა, სადაც 2012 წლის ევროპის ჩემპიონატსა და მის ფავორიტებზე ილაპარაკა.**

**- ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების წინ გერმანიის ნაკრები მუდმივად სახელდება უმთავრეს ფავორიტთა შორის. შესარჩევ ციკლში 10-დან 10 მატჩის მოგების შემდეგ ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ თქვენი გუნდისთვის ნებისმიერი სხვა შედეგი, გარდა ჩემპიონობისა, იმედგაცრუება იქნება?**

- ჩვენი უმთავრესი მიზანი იქნება, ვითამაშოთ ისე, როგორც სამხრეთ აფრიკაში, ლამაზად, ოცნება კი გვექნება, პირველად 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ისევ მოვიგოთ ტიტული. თუმცა ჩვენ საკმაოდ რეალურად ვუყურებთ ყველაფერს და გვესმის, ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება, რადგან ყოველ დიდ ტურნირზე გამარჯვებისთვის რამდენიმე გუნდი იბრძვის.

**- კონკრეტულად ვინ?**

- დავასახელებდი არამხოლოდ ესპანეთსა და ჰოლანდიას, ასევე ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას. ამ გუნდებს მსოფლიოს ჩემპიონატზე იმედი გაუცრუვდათ და ევროპაზე ალბათ დიდი ამბიციებით გაემგზავრებიან.

**- და ვინ გახდება გამარჯვებული?**

- რატომ ვიმკითხაოთ? იმისთვის, რომ ტიტული დაისაკუთრო, იღბალიც საჭიროა და ზოგადად ბევრი ფაქტორი უნდა დაემთხვეს. უპირველესად გუნდის თამაში უნდა შეესაბამებოდეს უმაღლეს ამბიციებს. ამას გარდა კიდევ ბევრი რამაა, რომლის გამოცნობა და წინასწარმეტყველება შეუძლებელია. ერთი სტანდარტული სიტუაცია, მსაჯის ერთი საეჭვო გადაწყვეტილება ან წამყვანი ფეხბურთელის ტრავმა და ტურნირიდან გამოვარდები. ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა.

**- 1992 წელს დანია და 2004-ში საბერძნეთი ყველასთვის მოულოდნელად გახდნენ ევროპის ჩემპიონები. შეძლებენ რუსეთი ან, ვთქვათ, უკრაინა რამე ამის მსგავსის გაკეთებას მომავალ ზაფხულს?**

- საერთოდ ვფიქრობ, რომ ტიტულს უმთავრეს ფავორიტთაგან რომელიმე მოიგებს. თუმცა არ შეიძლება სხვების დაუფასებლობა, მაგალითად რუსეთის ან პორტუგალიის, რომელსაც პლეი ოფის მატჩები ჯერ კიდევ წინ აქვს. ეს ეხება უკრაინასაც. ჩემპიონატის მასპინძლების მოტივაცია განსაკუთრებული იქნება.

**- 11 ნოემბერს გერმანია კიევში უკრაინას ეთამაშება. რამდენად მნიშვნელოვანი იქნება თქვენთვის ეს მატჩი?**

- კიევში თამაში საინტერესო ტესტი იქნება. წმინდა სპორტული ასპექტის გარდა მნიშვნელოვანი იქნება ჩემპიონატის დაწყებამდე უკრაინაში ვიზიტი და იქაურ პირობებთან, იმ სტადიონზე შექმნილ ატმოსფეროსთან გაცნობა, სადაც 1 ივლისს ფინალური მატჩი უნდა გაიმართოს. ერთი სიტყვით, მნიშვნელოვან პრაქტიკას გავივლით.

**- უკვე წლებია ბუნდესმწვრთნელად მუშაობთ, ნაკრებში 50 ახალწვეული გამოიძახეთ, შანსი უამრავ ტალანტს მიეცით. რამდენად რთული იქნება თქვენთვის ფეხბურთელებისთვის იმის თქმა, რომ ევროპის ჩემპიონატის საბოლოო განაცხადში ვერ მოხვდნენ?**

- ჩვენ მართლა ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს და არჩევანიც ფართოა. მათთვის იმის თქმა, რომ გუნდში არ ამყავს, ყველაზე სასიამოვნო მომენტი ნამდვილად არ არის, მაგრამ რას ვიზამთ? ეს მწვრთნელის საქმიანობის ნაწილია.

**- ანდრეას ბეკს თუ აქვს ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების შანსი?**

- ანდრეასი შედიოდა გერმანიის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ. სწორედ ის იყო უკანასკნელი, ვისი განაცხადს მიღმა დატოვებაც მომიხდა. სპორტული და ადამიანური თვალსაზრისით მას დიდად ვაფასებ. ახლა მან "ჰოფენჰაიმთან" კონტრაქტი 2014 წლამდე გააგრძელა. ის კაპიტანია და გუნდში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ვაგრძელებთ მასზე დაკვირვებას. თუმცა თავად ხვდებით, რომ ყველაფერი მხოლოდ იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ ფორმაში იქნება ზაფხულზე.

**- ევრო 2008-ის ფინალში და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის 1/2-ფინალში თქვენმა გუნდმა ესპანეთთან წააგო. ზაფხულზე მათი დამარცხების რა შანსი გექნებათ?**

- მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონები საერთაშორისო ფეხბურთში, შეიძლება ითქვას, მოდას კარნახობენ. თუმცა უკანასკნელ წლებში ჩვენ განუხრელად ვვითარდებით ტაქტიკურადაც და თამაშის მხრივაც. ჩვენს რიგებში ახლა ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია დიდი პერსპექტივით. ამჟამად განსხვავება მათსა და ესპანელებს შორის ალბათ უფრო მცირეა, ვიდრე იყო. ასე რომ, გერმანიის შანსები გაიზარდა. თუმცა როცა ევრო 2012-ზე ვფიქრობთ, მხოლოდ ესპანეთზე აქცენტის გაკეთება შეცდომა იქნება. შეიძლება ამ ტურნირზე მათ არც შევხვდეთ. უახლოეს თვეებში აუცილებლად მიზანმიმართულად უნდა ვიმუშაოთ, გავაძლიეროთ თამაში და პროგრესი განვიცადოთ. ფეხბურთელები არ უნდა დაბრმავდნენ შესარჩევ ციკლში ათი მოგების გამო. არა, ეს მართლა მშვენიერი იყო, მაგრამ პოლონეთსა და უკრაინაში ამ სერიას არავინ გაიხსენებს.


იოახიმ ლიოვი მხოლოდ ესპანეთს არ უფრთხის

პარი სენ-ჟერმენი

# ყველა ბექჰემის წინააღმდეგ

ამ დღეებში ფრანგული პრესა წერდა, "პარი სენ-ჟერმენი" იანვარში „ლილს" **ედენ აზარში** 50 მილიონს გადაუხდის და ფეხბურთელს "წაართმევსო". აღნიშნულთან დაკავშირებით დედაქალაქური კლუბის ადმინისტრაციიდან განცხადება არავის გაუკეთებია, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ რომ არ ჩნდება, ეს მშვენივრად მოგეხსენებათ. სამაგიეროდ ინფორმაცია ღიმილს ჰგვრის "ძაღლების" 47 წლის თავკაც **რუდი გარსიას**. "ეკიპის" ჟურნალისტმა მას კომენტარი სთხოვა და აი, რა მიიღო პასუხად: *"იქნებ ლუშენში "ლილის" საწვრთნელი ცენტრის მთლიანად ყიდვასაც აპირებენ, რათა თავიანთი "კამ ლე ლოჟის" ბაზა შეცვალონ? ამას გარდა, იმედია შეისწავლიან ლა მანშის სრუტის ქვეშ გამავალი გვირაბის პარიზამდე გათხრის იდეასაც".* ამ კომენტარის შემდეგ სულაც არ არის ძნელი მიხვდეთ, რას ფიქრობს გარსია ლიდერთან გამოთხოვებაზე.

ორიოდე დღის წინ შემოგთავაზეთ **მიშელ პლატინის** კომენტარი პსჟ-ში **დევიდ ბექჰემის** ტრანსფერის შესახებ, სადაც უეფას პრეზიდენტი ამბობდა, ინგლისელის გადაბირება უფრო მეტად მარკეტინგული სვლაა, ვიდრე საფეხბურთოო. ანალოგიურად ფიქრობს კიდევ ერთი ლეგენდარული ფრანგი **ლორან ბლანიც**. *"პარი სენ-ჟერმენში" აზარის გადასვლა მართლა კარგი ინფორმაცია იქნება,* - განუცხადა საფრანგეთის ნაკრების დამრიგებელმა "ფრანს ფუტბოლს". - *რაც შეეხება ბექჰემს, ყველასთვის ცხადია, რომ ეს გარიგება მხოლოდ კომერციული ხასიათის არის. სპორტულ კუთხეზე აქ სალაპარაკოც კი არაფერია. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ბექზის მაისურები მშვენივრად გაიყიდება. პარიზში ძლიერი გუნდი ყალიბდება და მთავარი მწვრთნელისთვის ალბათ ძნელი იქნება კლუბის ხელმძღვანელობის სურვილისთვის წინააღმდეგობის გაწევა, გუნდში ახალი და ახალი ფეხბურთელები მოიყვანონ".*

რახან ლაპარაკი ბექჰემსა და მაისურებზე ჩამოვარდა, ბარემ აქვე მოკლედ გეტყვით, რომ "პარი სენ-ჟერმენის" ალბათ მომავალი ფეხბურთელის მეუღლემ, ყოფილმა მომღერალმა და მოქმედმა დიზაინერმა **ვიქტორია ადამსმა** 2011 წლის განმავლობაში საკუთარი სამოდელო სახლის წყალობით 95,5 მილიონი დოლარის შემოსავალი მიიღო. განსაკუთრებით მომგებიანი გახდა კომპანია ვიქტორიას მიერ საშუალოფასიანი ხაზის გაშვების შემდეგ, სადაც ტანსაცმლის ღირებულება 550-დან 900 დოლარამდე მერყეობს. როგორც ამბობენ, შარშანდელთან შედარებით ვიქტორიას შემოსავალმა 70%-ით მოიმატა. ამას დაუმატეთ დევიდის შემოსავლებიც და შესაბამისად არ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ "ფორბსის" მონაცემებით ისინი ყველაზე შემოსავლიან წყვილთა შორის მსოფლიოში მე-4 ადგილზე გავიდნენ.


დევიდ და ვიქტორია ბექჰემები მსოფლიოში ყველაზე წარმატებულ წყვილებს შორის შედიან

ამბები

### კიდევ ერთი ვარიანტი

ცსკა-ს 27 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელის **ვაგნერ ლავის** სატრანსფერო ამბებზე ყოველდღიურად იმდენი იწერება, ალბათ თავად ფეხბურთელსა და მის აგენტსაც თავგზა აქვთ არეული. **ევანდრო ფერეირას** განცხადებით, ამჟამად მას ორი რეალური ვარიანტი აქვს, ლაპარაკია "იუვენტუსისა" და "ლიონის" წინადადებებზე, თუმცა თავად თავდამსხმელს კარიერის გაგრძელება ყველაზე მეტად სამშობლოში სურს. არმიელები მას 13 მილიონ ევროდ აფასებენ. ფეხბურთელის კონტრაქტს ვადა 2014 წლის ივნისში ეწურება. ვაგნერი მიმდინარე სეზონში ცსკა-ს შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესოა, მან 28 შეხვედრაში 8 გოლი გაიტანა და 9 საგოლე გადაცემა მიითვალა.

### ისევ ტრავმა და ისევ კანთან

"ოსერისა" და მალის ნაკრების 31 წლის ცენტრალური მცველი **ადამა კულიბალი** საფრანგეთის ლიგის თასზე "კანთან" შეხვედრაში დაშავდა. წინასწარი მონაცემებით ფეხბურთელს ფეხი აქვს მოტეხილი. რამდენად სერიოზულია მოტეხილობა, ამის თქმა ამ ეტაპზე ძნელია. ზუსტი დიაგნოზი ამ დღეებში გახდება ცნობილი. სავარაუდოდ, ლიგა 1-ის პირველ წრეში ის თამაშს უკვე ველარ შეძლებს. ბედის ირონიაა ალბათ, რომ კულიბალიმ მე-6 ტურშიც მიიღო ტრავმა და მაშინაც "კანთან", რის გამოც მთელი თვე გამოტოვა.

### ბორდო ჟიილს ენდობა

"ბორდოს" ხელმძღვანელობა **ფრანსის ჟიილს** ენდობა და საშინელი სტარტის მიუხედავად, მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მის გათავისუფლებას არ აპირებს. 11 ტურის შემდეგ გუნდი გასავარდნ ზონაში, მე-18 ადგილზე დაეშვა. *"მთავარი მწვრთნელი გამბედავი ადამიანია. თავის საქმეს ის მშვენივრად უძღვება, ასე რომ, რაც უნდა მოხდეს, გუნდთან სწორედ ის იმუშავებს. მწვრთნელის გათავისუფლებას იშვიათად მოაქვს სასურველი შედეგი. კლუბის ხელმძღვანელობა და აქციონერები მას ბოლომდე ენდობიან. ამჟამად ვერ გეტყვით, რა თანხას გამოვყოფთ იანვარში შემადგენლობის გასაძლიერებლად. მთავარია, რომ როგორმე იქამდეც მოვახერხოთ სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესება,"* - განუცხადა "სქაი სპორტს" დირექტორთა საბჭოს წევრმა **ნიკოლა დე ტავერნომ**.

### მორიგი კოლუმბიელი პორტუში

კოლუმბიის ნაკრების თავდამსხმელი **ტეოფილო გუტიერესი** იანვარში შეიძლება "პორტუში" აღმოჩნდეს. "დრაკონებს" ფეხბურთელის მიმართ ინტერესი დიდი ხანია ჰქონდათ, მაგრამ ზაფხულში თავდასხმა მხოლოდ ბრაზილიელი **კლებერით** გააძლიერეს. მათ მოგვიანებით "ატლეტიკოში" **რადამელ ფალკაო** გაყიდეს, რამაც გუნდის შემტევი პოტენციალი საგრძნობლად შეასუსტა. სწორედ ამის გამო დაუბრუნდნენ ისინი 26 წლის თავდამსხმელის კანდიდატურას. არგენტინული პრესა წერს, რომ მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. ტეოფილოს შეძენა "ნაპოლის", "ფიორენტინას", "ინტერს" და "ბოკა ხუნიორსსაც" სურთ, თუმცა "პორტუ" ლოგიკურად მიიჩნევა ფავორიტად ამ ბრძოლაში, რადგან ამ გუნდში გუტიერესის ორი მეგობარი **ფრედი გუარინი** და **ამეს როდრიგესი** ირიცხება. ბუნებრივია, მათ შეუძლიათ თავდამსხმელს ევროპასთან ადაპტაცია გაუადვილონ. აველიანედის "რასინგის" ხელმძღვანელობა ტეოფილოს ალბათ სიამოვნებით გაყიდის, რადგან მასა და გუნდის მთავარ მწვრთნელ **დიეგო სიმეონეს** ბოლო ხანს ურთიერთობა ერთობ დაეძაბათ.

### ბოკადან ბენფიკაში

"ბოკა ხუნიორსის" 21 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **ნიკოლას კოლასომ** იანვარში შესაძლოა თავი "ბენფიკაში" ამოყოს. არგენტინული პრესა წერს, რომ "არწივების" წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ბუენოს აირესში და მათთან მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი უკვე გამართეს. გაზეთები გარიგების დეტალებზე ჯერ ვერაფერს წერენ. ფეხბურთელმა წელს "ბოკას" შემადგენლობაში 29 მატჩში 4 გოლი გაიტანა. ზაფხულზე კოლასოს გადაბირების უმთავრეს ფავორიტად ლისაბონის "სპორტინგი" მიიჩნეოდა. „ა ბოლას" ინფორმაციით, უკანასკნელებს თავის განზრახვაზე ხელი ჯერაც არ აუღიათ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის თასი. 1/16 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ...და სენსაცია?

## ვიღაც-ვიღაცები გავიცანით, რაღაც-რაღაცები გავიგეთ, მაგრამ არაფერი გაგვიკვირდა

**გერმანიის** თასის 1/16 ფინალმა ხმაურიანი სენსაციის გარეშე ჩაიარა. თუკი სამშაბათს გრანდებმა ინერვიულეს მაინც, ოთხშაბათს სანერვიულოც ფაქტობრივად არაფერი ჰქონდათ. დრამატული გამოვიდა „აინტრახტისა“ და „კაიზერსლაუტერნის“ მატჩი, რომლის ბედი 119-ე წუთზე გადაწყდა, „ბაიერნმა“ „ინგოლშტადტს“ უპრობლემოდ გადაურბინა, ბუნდესლიგის წინა ტურში რეკორდმაისტერის გამამწარებელი „ჰანოვერი“ კი „მაინცმა“ გააგდო – იმის გამო, რომ დიდიე ია კონანმა 120-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა.

### აინტრახტი–კაიზერსლაუტერნი 0:1

**გოლი:** 0:1 სუკუტა-პასუ (119)

მიუხედავად იმისა, რომ „აინტრახტი“ მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელია, ხოლო „კაიზერსლაუტერნი“ კი ელიტის, ამ გუნდებს შორის დიდი განსხვავება არ არის, რაც ოთხშაბათსაც დამტკიცდა: „ლაუტერნმა“ პირველი ბუნდესლიგიდან წინა სეზონში გავარდნილი „აინტრახტი“ 119-ე წუთზე გატანილი გოლით დაამარცხა – არადა, ყველანი პენალტების სერიისთვის ემზადებოდნენ.

თამამად შეგვიძლია, რომ „ეშმაკების“ გამარჯვებას ალოგიკური ვუწოდოთ, რადგან ძირითად დროში „აინტრახტი“ უკეთ გამოიყურებოდა. ფრანკფურტელთა რიგებში განსაკუთრებით თავდამსხმელი **ერვინ ჰოფერი** აქტიურობდა, რომელსაც მე-15 წუთზე გოლი არ ჩაუთვალეს – მსაჯმა საეჭვო თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. დამატებით დროში ორივე გუნდი გაცილებით ფრთხილად თამაშობდა და ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე უპირატესობას ფლობდა, 119-ე წუთზე კი **რიჩარდ სუკუტა-პასუმ** მომენტი გამოიყენა და „აინტრახტის“ ვეტერან მეკარე **ოკა ნიკოლოვს** ბურთი ფეხებშუა გაუტარა.

### ბაიერნი–ინგოლშტადტი 6:0

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი – რაფინია, ბოატენგი, ლუის გუსტავო, კონტენტო – ტიმოშჩუკი, პრანიჩი – თ. მიულერი (62. ოლიჩი), კროოსი (73. უსამი), ალაბა – პეტერსენი.

**გოლები:** 1:0 თ. მიულერი (33), 2:0 ალაბა (49), 3:0 პეტერსენი (53), 4:0 პეტერსენი (70), 5:0 მატიპი (82-საკ-კარში), 6:0 უსამი (90)

როგორც მოსალოდნელი იყო, „ბაიერნს“ მეორე ბუნდესლიგის საშუალოზე დაბალი დონის გუნდის დამარცხება არ გაუჭირდა – რეკორდმაისტერმა „ინგოლშტადტი“ ფაქტობრივად მეორე შემადგენლობითაც გაანადგურა. ფეხბურთელებმა, რომლებიც ბუნდესლიგაში უმეტესად სათადარიგოთა სკამს ხეხავენ ხოლმე, ძალიან კარგად ითამაშეს: **ნილს პეტერსენმა** დუბლი შეასრულა, **დავიდ ალაბამ** და **ტაკაში უსამიმ** კი თითო გოლი გაიტანეს.

### შტუტგარტი–ფრანკფურტი 3:0

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ულრაიხი – ბულარუზი, ბაუერი, მასა, მოლინარო – კვისტი, ჰაინალი (75. კუზმანოვიჩი) – ჰარნიკი, ტრაორე – კაკაუ (46. ოკაზაკი), ჰემლაინი (67. გენტნერი).

**გოლები:** 1:0 ჰემლაინი (4), 2:0 კაკაუ (38), 3:0 ტრაორე (89)

სენსაცია არც „შტუტგარტმა“ დაუშვა: შვაბებმა მეორელიგელი „ფრანკფურტი“ საკმაოდ მარტივად დაამარცხეს და თანაც, ეს გადახალისებული შემადგენლობით მოახერხეს. **ბრუნო ლაბადია** თავდამსხმელ **კრისტოფ ჰემლაინს** და გარემარბ **იბრაჰიმა ტრაორეს** ბუნდესლიგაში საერთოდ არ ათამაშებს ხოლმე, ამჯერად კი ბევრისთვის უცნობი ეს ორი მოთამაშე ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. და უნდა ითქვას, რომ ორივემ ძალიან კარგად ითამაშა – ჰემლაინმაც და ტრაორემაც გოლები გაიტანეს. ალსანიშნავია, რომ 20 წლის ჰემლაინმა გოლი ასევე რეზერვში გადასროლილი **კრისტიან მოლინაროს** ჩაწოდების შემდეგ გაიტანა.

### აუე–ნიურნბერგი 1:2

**გოლები:** 0:1 ესვაინი (64), 0:2 ვისმაიერი (68), 1:2 კიონიგი (78)

მეორელიგელ „აუესა“ და ელიტელ „ნიურნბერგის“ დუელი პირველ ტაიმში თანაბარი იყო – ფრანკებმა ვერა და ვერ შეძლეს სათამაშო უპირატესობის მოპოვება. პრინციპში, **დიტერ ჰეკინგის** შეგირდებს დიდი უპირატესობა არც შეხვედრის მეორე ნახევარში ჰქონდათ, უბრალოდ, უფრო ჭკვიანურად თამაშობდნენ და რაც მთავარია, მომენტები გამოიყენეს. „ნიურნბერგი“ 64-ე წუთზე **ალექსანდერ ესვაინმა** დააწინაურა, ზუსტად 4 წუთში კი **იულიან ვისმაიერმა** „აუეს“ მეორე გოლიც გაუტანა. მართალია, 78-ეზე **რონი კიონიგმა** სხვაობა შეამცირა, მაგრამ ქვედალიგელის თამაშს ისეთი არაფერი ეტყობოდა, რის გამოც შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „ნიურნბერგის“ მერვედფინალში გასვლას პრობლემები შეექმნებოდა.



შტუტგარტის ახალგაზრდა ფორვარდი კრისტოფ ჰემლაინი ფრანკფურტის კარში გატანილ გოლს ზეიმობს

### ჰანოვერი–მაინცი 0:0 (0:1 დ.დ)

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი – ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, პანდერი – შმიდებახი (46. შტოპელკამპი), პინტუ – შტინდლი, რაუში (99. კ. შულცი) – შლაუდრაფი (70. ია კონანი), აბდელაუ.

**მაინცი (4-1-2-1-2):** ვეტკლო – პოსპეხი, ბუნგერტი, ნოვესკი, ფათი – კირხჰოფი – კალიჯური (72. რისსე), სოტო – მალი (104. ბაუმგარტლინგერი) – ჩუპო-მოტინგი, უჯა (76. ივანშიტცი).

**გოლი:** 0:1 ივანშიტცი (93)

როგორც ჩანს, „ბაიერნთან“ მძიმე ბრძოლამ და გამარჯვებამ „ჰანოვერი“ ისე გამოფიტა, რომ **მირკო სლომკას** შეგირდებმა თასზე ცუდ ფორმაში მყოფ „მაინცს“ ველარაფერი მოუხერხეს. უპირატესობას არც ერთი გუნდი არ ფლობდა. თამაში პირველივე წუთიდან მოსალოდნელზე ზანტი გახლდათ, მაინცელთა გამარჯვება კი იმის დამსახურებაა, რომ საჭირო მომენტში **თომას ტუხელის** გუნდს უფრო გაუმართლა.

პირველ ტაიმში მაინცელები ოდნავ უკეთ გამოიყურებოდნენ, მეორე ნახევარში კი „ჰანოვერი“ თამაშობდა ასევე ოდნავ უკეთესად. რაკი ძირითად დროში ვერც ერთმა იხეირა, დამატებითი ტაიმების დანიშვნა გახდა საჭირო და დაიწყო თუ არა დამატებული დრო, „მაინცის“ გამთამაშებელმა **ანდრეას ივანშიტცმა** სტივ ჩერუნდოლოს შეცდომით ისარგებლა და **რონ-რობერტ ცილერს** ბურთი მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა. „ჰანოვერს“ თამაშის გადასარჩენად ბევრი დრო ჰქონდა და სლომკას ბიჭებიც მედგრად უტევდნენ, სულ ბოლო წუთზე კი ანგარიშის გათანაბრების იდეალური შანსი მიეცათ: „მაინცის“ კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც **დიდიე ია კონანმა** ვერ გამოიყენა – **კრისტიან ვეტკლომ** აუღო და მატჩის გმირი გახდა.

### ჰოლშტაინ კილი–დუისბურგი 2:0

**გოლები:** 1:0 კასიორი (54), 2:0 სიკორა (58)

აი, ეს კი სენსაციაა! მართალია, „დუისბურგი“ დიდი ვერაფერი გუნდია და წლებია, მეორე ბუნდესლიგაში მოლვაწეობს, მაგრამ „ჰოლშტაინ კილი“ უფრო დიდი ბედოვლათია, რადგან გერმანიის რიგით მეოთხე ლიგაში თამაშობს. ჩრდილოეთ რეგიონალლიგის ლიდერმა გაცილებით მაღალი კლასის „დუისბურგს“ აშკარად აჯობა და დამსახურებულად მოუგო. ალსანიშნავია, რომ „ჰოლშტაინ კილმა“ თასის პირველ წრეში კიდევ ერთი მეორებუნდესლიგელი, „კოტბუსი“ დაამარცხა. კლასებში განსხვავება არც ამ მატჩში იყო თვალსაჩინო: პირველი გოლის დროს „ზებრების“ მეკარე **ფლორიან ფრომლოვიტცი** შეცდა უხეშად, **სიკორამ** კი თავით გაუტანა.

### როტ-ვაის ესსენი–ჰერტა 0:3

**ჰერტა (4-2-3-1):** ბურხერტი – იანკერი, ჰუბნიკი, ფრანცი, ნოიმანი – ლუსტენბერგერი, ნიმაიერი – ებერტი (65. რონი), თორუნი (81. რუკავიტსია), ბენ-ჰატირა (46. რამოსი) – ლასოგა.

**გოლები:** 0:1 რამოსი (64), 0:2 ლასოგა (72), 0:3 რუკავიტსია (86)

**მარკუს ბაბელმა ლევან კობიაშვილთან** ერთად, ძირითადი შემადგენლობის კიდევ რამდენიმე მოთამაშე დაასვენა, მაგრამ „ჰერტას“ ესსენის „როტ-ვაისის“ განადგურება მაინც არ გაუჭირდა. თუმცა ის კი უნდა ითქვას, რომ ბერლინელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში აჩვენეს, ესსენელებზე ძლიერები რომ არიან.

### კარლსრუე–შალკე 0:2

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი – ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი – ჰიოგერი (53. ჰოლტბი), ჯონსი – ფარფანი, რაული (86. პუკი), ხურადო (61. მორავეკი) – ჰუნტელაარი.

**გოლები:** 0:1 ჰუნტელაარი (81), 0:2 მატიპი (83)

მეორე ბუნდესლიგაში ძალიან ცუდად მოასპარეზე „კარლსრუეს“ „შალკეს“ ბარიერის დაძლევა და გერმანიის თასის მერვედფინალში გასვლა ძალიან უნდოდა, მაგრამ ისედაც გაცილებით ძლიერმა გელზენკირხენულმა კლუბმა უძლიერესი შემადგენლობით ითამაშა, რის გამოც **ალექსანდრე იაშვილის** გუნდისთვის (იაშკამ სრულად ითამაშა) წარმატების მიღწევა შეუძლებელი გახდა. თუმცა „კარლსრუემ“ მაინც კარგად იბრძოლა და გოლები მხოლოდ მატჩის მიწურულსლა გაუშვა. ალსანიშნავია, რომ სანამ **ჰუნტელაარი** და **მატიპი** იხეირებდნენ, მასპინძლებს უკეთესი მომენტები ჰქონდათ – **დელრონ ბაკლის** „კარლსრუეს“ დაწინაურება ორჯერ მართებდა, ერთხელ ბურთი ძელს მოარტყა, მეორედ კი **უნერშტალმა** აუღო.

● დორტმუნდის ბორუსია

# ლევანგოლსკი!



ამ სეზონში ბორუსიას მთავარი გოლეადორი რობერტ ლევანდოვსკია

## პოლონელმა ტორესმა გატანას მოუხშირა

რაც დრო გადის, დორტმუნდის „ბორუსიას“ პოლონელი თავდამსხმელი **რობერტ ლევანდოვსკი** უფრო და უფრო თავდაჯერებული ხდება. 23 წლის ფორვარდმა, რომელსაც „პოლონელ ტორესს“ უწოდებენ, სამშაბათს, დრეზდენის „დინამოსთან“ გერმანიის თასის 1/16 ფინალურ მატჩში ანგარიში რომ გახსნა, ეს მისთვის გერმანიის ჩემპიონის რიგებში ზაფხულს აქეთ ჩატარებულ მე-15 შეხვედრაში მე-12 გოლი გახლდათ. არადა, იყო დრო, როცა ლევანდოვსკი სათადარიგოთა სკამს ხეხავდა და როცა თამაშობდა, მაშინაც ძალიან ბევრ მომენტს ვერ იყენებდა. ახლა კი დორტმუნდში „ლევანგოლსკის“ უწოდებენ!

რობერტი დორტმუნდში 2010 წლის ზაფხულში გადავიდა და მაშინ „ბორუსიამ“ „ლეხს“ მის სანაცვლოდ 4.75 მილიონი ევრო გადაუხადა. გასულ სეზონში მან 43 ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ 12 გოლი გაიტანა, ამ სეზონში კი რადიკალურად შეიცვალა.

*„ჩემი აზრით, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, - ამბობს პოლონელი გოლეადორი, - პირველი და უმთავრესი ის არის, რომ გერმანული ენა უკვე კარგად ვიცი და შესაბამისად, თანაგუნდელებს გაცილებით უკეთ ვუგებ. ამას ისიც დაემატა, რომ სეზონის დასაწყისში ჩვენი პირველი გოლეადორი ლუკას ბარიოსი დაშავდა, რის გამოც მწვრთნელმა სასტარტო შემადგენლობაში გამამწესა. როგორც ხედავთ, ნდობა გავამართლე. მიხარია, რომ ლუკასი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ძირითადში ადგილს იოლად არ დავუბრუნებ.“*

ორი აზრი არ არსებობს: ლევანდოვსკი უკვე სრულფასოვანი დორტმუნდელია.

## კელი: ჩემპიონთა ლიგაშიც უნდა ვივაჟკაცოთ!

გერმანიის თასის მერვედფინალში გასვლის შემდეგ, დორტმუნდელთა ერთადერთი სადარდებელი ჩემპიონთა ლიგაა, სადაც გერმანიის ჩემპიონი ძალიან ცუდად გამოიყურება და სამი ტურის შემდეგ, ჯგუფიდან გასვლის შანსი მინიმუმამდე შეუმცირდა. გუნდის კაპიტანი **სებასტიან კელი** კი მაინც იმედიანადაა და სჯერა, რომ „ბორუსიას“ მერვედფინალში გასვლა ჯერ კიდევ შეუძლია.

*„კრიტიკა აბსოლუტურად მისაღებია, რადგან პირველ სამ მატჩში მართლა ცუდად გამოვიყურებოდით. გასული სეზონის შემდეგ ფანები ჩვენგან ჩემპიონთა ლიგაში კარგ თამაშს ელოდნენ და ვწუხვარ, რომ ჯგუფური ეტაპის პირველ წრეში იმედები გავუცრუეთ. თუმცა დარჩენილი სამი მატჩიდან ორს საკუთარ მოედანზე ჩავატარებთ და სწორედ ჩვენი ქომაგების იმედი მაქვს. საკუთარ კედლებში ძალიან კარგად რომ ვთამაშობთ, ეს „არსენალთან“ შეხვედრაშიც გამოჩნდა, რომელიც მართალია, ფრედ დასრულდა, მაგრამ მოგებას ჩვენ ვიმსახურებდით. იმის თქმა მინდა, რომ მერვედფინალში გასვლის შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს და ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ,“* - აცხადებს 31 წლის კელი ჟურნალ „შტერნისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ დარჩენილ სამ ტურში დორტმუნდელები ჯერ „ოლიმპიაკოსს“ უმასპინძლებენ, მერე ლონდონში ჩავლენ, ბოლოს კი მარსელის „ოლიმპიკს“ მიიღებენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

Made in GERMANY

REHAU
Unlimited Polymer Solutions




ა-3ე ლუქსი რეჰაუს ლიცენზირებული მწარმოებელი
კაკელიძის 2 ☏ 245 02 05 www. fanjara.ge

● ამბები

## ბობადილია გამოჯანმრთელდა

მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ გერმანიის ჩემპიონატის მომდევნო ტურში, რომელშიც **ლუსიენ ფავრის** გუნდი „ჰანოვერს“ მასპინძლობს, ლაზარეთიდან არგენტინელი თავდამსხმელი **რაულ ბობადილია** დაუბრუნდება. ამ უკანასკნელმა ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და სრულ მზადყოფნაშია. მცირე ტრავმები აწუხებდათ **მარკო როისს** და **პატრიკ ჰერმანსაც** და როგორც მიონხენგლადბახური კლუბის სამედიცინო შტაბი იუწყება, „ჰანოვერთან“ ორივე ითამაშებს. ამრიგად, ფავრი ამ უქმეებზე მხოლოდ თავდამსხმელ **იგორ დე კამარგოს** ვერ გამოიყენებს.

## პეტრიჩის ტრავმა სერიოზულია?

„ჰამბურგის“ გულშემატკივრები **მლადენ პეტრიჩის** გამო ნერვიულობენ. 30 წლის ხორვატი თავდამსხმელი ტრავმირებულია და დიდი შანსია, რომ „კაიზერსლაუტერნთან“ ვერ იასპარეზოს. პეტრიჩი გუშინდელ ვარჯიშზე დაშავდა. თუ ხორვატმა ვერ იასპარეზა, ეს ჩრდილოგერმანული კლუბისთვის დიდი დანაკლისი იქნება, რადგან „ჰამბურგს“ ბუნდესლიგაში სულ 12 გოლი აქვს გატანილი და აქედან 4, ანუ ერთი მესამედი სწორედ მლადენის ანგარიშზეა. გერმანიის თასის 1/16 ფინალში (2:1 ტრირთან) გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ტორსტენ ფინკმა** პეტრიჩი სპეციალურად დაასვენა.

ესპანეთი. ლა ლიგა. IX ტური

# ეს ლევანტე რა ყოფილა!

## ყვითელი წყალქვეშა ნავის კაპიტნის პრობლემები



ერთი გოლი ბრაზილიელმა ვალდომ გაიტანა

ᲔᲡᲞᲐᲜᲘᲝᲚᲘ–ᲑᲔᲢᲘᲡᲘ 1:0

**ესპანიოლი (4-2-3-1):** ალვარესი - ხ. ლოპესი, რ. როდრიგესი, მორენო, დიდაკ ვილა - ფორლინი, მარკესი (56. დატოლო) - ს. გარსია, ვერდიუ, რომარიკი (86. ბაენა) - ა. ვასკესი (68. პანდიანი).

**ბეტისი (4-3-3):** კასტრო - ჩიკა, უსტარიცი, მარიო (46. ჩეჩუ დორადო), ნაჩო (76. ხ. პერეირა) - ბენატი, ირინეი, კანიასი - ხუანმა, სანტა კრუსი (53. ტოშიჩი), რ. კასტრო.

**გოლი:** 1:0 პანდიანი (74)

**გაფრთხილება:** ლოპესი, ფორლინი, პანდიანი, ვერდიუ - პერეირა, ბენატი

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 9-9; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 17-9 (5-5); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 19 000

ᲑᲘᲚᲑᲐᲝ–ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲝ 3:0

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ეკიზა, ამორებიეტა (17. სან ხოსე), აურტენეჩე - იტურასპე, ხავი მარტინესი (46. ანდერი) - სუსაეტა, დე მარკოსი, მუნიაინი (64. ტოკერო) - ფ. ლორენტე.

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - სილვიო, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - ასუნსაო, გაბი - რეიესი (57. სალვიო), დიეგო (80. კოკე), არდა (73. პიცი) - ფალკაო.

**გოლები:** 1:0 ფ. ლორენტე (68), 2:0 ფ. ლორენტე (71), 3:0 ტოკერო (75)

**გაფრთხილება:** მარტინესი, აურტენეჩე, ეკიზა - გოდინი, სილვიო, ასუნსაო, სალვიო

**კუთხური:** 10-7; **ჯარიმა:** 9-20; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 9-9 (4-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 32 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევანტე | 9 | 7 | 2 | 0 | 17-5 | 23 |
| 2. რეალი | 9 | 7 | 1 | 1 | 31-6 | 22 |
| 3. ბარსელონა | 9 | 6 | 3 | 0 | 27-4 | 21 |
| 4. ვალენსია | 9 | 5 | 3 | 1 | 12-8 | 18 |
| 5. სევილია | 9 | 4 | 5 | 0 | 10-6 | 17 |
| 6. ესპანიოლი | 9 | 5 | 0 | 4 | 8-11 | 15 |
| 7. მალაგა | 9 | 4 | 1 | 4 | 10-13 | 13 |
| 8. ბილბაო | 9 | 3 | 3 | 3 | 14-11 | 12 |
| 9. ვალეკანო | 9 | 3 | 3 | 3 | 10-11 | 12 |
| 10. ბეტისი | 9 | 4 | 0 | 5 | 10-14 | 12 |
| 11. ოსასუნა | 9 | 2 | 5 | 2 | 11-17 | 11 |
| 12. ატლეტიკო | 9 | 2 | 4 | 3 | 9-10 | 10 |
| 13. მალიორკა | 9 | 2 | 3 | 4 | 8-11 | 9 |
| 14. სარაგოსა | 9 | 2 | 3 | 4 | 9-17 | 9 |
| 15. სოსიედადი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-13 | 8 |
| 16. ხეტაფე | 9 | 1 | 4 | 4 | 8-12 | 7 |
| 17. სპორტინგი | 9 | 2 | 1 | 6 | 7-13 | 7 |
| 18. ვილიარეალი | 9 | 1 | 4 | 4 | 7-17 | 7 |
| 19. რასინგი | 9 | 0 | 5 | 4 | 6-15 | 5 |
| 20. გრანადა | 9 | 1 | 2 | 6 | 2-11 | 5 |

**ბომბარდირები:** 10 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 9 - გონსალო იგუაინი (რეალი); 6 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 5 - ხუანლუ გომესი (ლევანტე), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 4 - იმანოლ აგირეჩე (რეალ სოსიედადი), სანტი კასორლა (მალაგა), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), მიკუ (ხეტაფე), რაულ გარსია (ოსასუნა), ტომერ ჰემედი (მალიორკა), ქარიმ ბენზემა (რეალი).

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠ ზღაპარს (კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ლევანტე აღმოსავლეთის სინონიმია) არა და არ სურს დასრულება - მოკრძალებულმა ვალენსიურმა კლუბმა ლა ლიგის ისტორიაში ახალი ქვეთავი შექმნა - „ლევანტემ" ზედიზედ 7 მატჩი მოიგო და 9 ტურის შემდეგაც პირველია!

არადა, ამ ტურში **ხუან იგნასიო მარტინესის** გუნდს ძალზე გაუჭირდა მიზნის მიღწევა, თუ პირველ 8 ტურში 3 გოლი გაუშვა, ახლა ერთ მატჩში 2 მიიღო, თუმცა საოცარი სწრაფვა გამარჯვებისკენ 93-ე წუთზე დაუფასდა - 93-ე წუთზე ნახევარმცველი **რუბენ სუარესი** მივიდა ბურთთან, საჯარიმო ისე დაჰკრა, რომ ბურთი დაბალი ტრაექტორიით წავიდა „რეალ სოსიედადის" კარისკენ და მიზანსაც მიაღწია - ზღაპარი, რომელიც კინაღამ შეწყდა, გრძელდება.

„სიუტატ დე ვალენსიაზე" „ლევანტე" უკვე მდევრის როლში გამოვიდა, წინა დღეს „ბარსამ" ანდალუსიაში მოიგო და გათავხედებულ „ბაყაყებს" გადაუსწრო. თამაშიც მასპინძელთათვის არცთუ სასიამოვნოდ დაიწყო - **დანი ესტრადამ** (ამ ფეხბურთელმა ბარსელონელი **ალექსის სანჩესი** დაამტვრია გასულ თვეში) ბასკური კლუბი დააწინაურა. სტუმრები თავს ლამის „ანოეტაზე" გრძნობდნენ, განსაკუთრებით კი მცველები ყოჩაღობდნენ, ესტრადამ ხომ გაიტანა, **ალბერტო დე ლა ბელამ** და **კარლოს მარტინესმა** მასპინძელთა კარის ხარიხა ორჯერ შეაზანზარეს.

მეორე ტაიმში ისევ ის „ლევანტე" ვიხილეთ, რომელმაც ბოლო დღეებია, მთელი საფეხბურთო ევროპა აალაპარაკა - თავი ისევ მცველმა გამოიჩინა - ნანომ გაათანაბრა. მალე **ხოსე ბარკეროს** ჩამოწოდებულს თავით **ვალდო** დახვდა და ვალენსიელები წინ წავიდნენ. 87-ე წუთზე კი **ინიგო მარტინესმა** (გახსოვთ, ალბათ, ამ რამდენიმე ტურის წინ საკუთარი ნახევრიდან რომ გაიტანა გოლი) ამჯერად ახლო მანძილიდან გაათანაბრა. თითქოს, ფრე გარდაუვალი იყო, მაგრამ ფორტუნამ და რუბენ სუარესმა სხვაგვარად განსაჯეს - 3:2.

**ხუან იგნასიო** (ლევანტე): *„შვიდმატჩიანი მოგებათა სერია, რაც ჩვენ გამოგვივიდა, თითქმის შეუძლებელია ლა ლიგაში. ახლაც არ ვიცი, როგორ შევძელით ჩვენ ეს".*

სანამ იმას მოგიყვებით, თუ როგორ დაამარცხა „რეალმა" „ვილიარეალი", ვიდრე „გამარჯობას ეტყოდა" მეტოქეს, მანამდე „ყვითელი წყალქვეშა ნავის" თავკაცის, **ხუან კარლოს გარიდოს** პრობლემებზე მოგითხრობთ. მორჩა თამაში თუ არა („რეალმა" 3:0 მოიგო) „მარკამ" დაწერა, რომ გარიდოს ვეთხოვებითო, მის ნაცვლად კი „ვილიარეალში" **მიჩელი** მოდისო. არ გასულა საათიც, რომ გარიდოს მოხსნის შესახებ ცნობა კლუბის პრეზიდენტმა **ფერნანდო როიგმა** უარყო.

საქმე იმაშია, რომ „მარკამ" ჯერ კიდევ თამაშამდე დაწერა, „ვილიარეალის" თავკაცი კლუბის ხელმძღვანელებმა დაიბარეს (ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეეფერება) და ასეთი ულტიმატუმი წარუდგინესო: „ვილიარეალმა" არ უნდა დაკარგოს სახე „რეალთან" გასვლით შეხვედრაში და მოიგოს შემდეგი საშინაო მატჩი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიდო სამსახურს დაკარგავს. ან ეს ვერსიაა მცდარი, ან კიდევ „წყალქვეშა ნავის" ხელმძღვანელებმა გარიდოს „სანტიაგო ბერნაბეუზე" 0:3 „სახის არდაკარგვად" ჩაუთვალეს. ყოველ შემთხვევაში, ჩაძირული ნავის კაპიტანს (ჩემპიონთა ლიგაზე მოთამაშე გუნდი გასავარდნ ზონაშია) წყალი რომ შეუდგა, ფაქტია.

ახლა თამაშზე - პირველ ნახევარ საათში „ბერნაბეუმ" სამი გოლი იხილა, ამის მერე კი მხოლოდ ერთი საკითხი რჩებოდა ღიად - გაიტანდა თუ არა **კრიშტიანო რონალდო** ორ გოლს. დუბლით ის არა მარტო გაუსწრებდა **ლეო მესის** ბომბარდირთა დავაში (საამისოდ ერთიც ჰყოფნიდა), არამედ, პორტუგალიელისთვის ეს მე-100 გოლი იქნებოდა „ბლანკოსის" მაისურით - ერთიც ვერ გაიტანა.

გოლები თავიდანვე წვიმასავით წამოვიდა, თითოჯერ **ქარიმ ბენზემამ, კაკამ** და **ანხელ დი მარიამ** გაიტანეს. სამ წუთში ბურთი უკვე **დიეგო ლოპესის** კარის ბადეში ფართხალებდა - **სერხიო რამოსმა** თავით გაიტანა, მაგრამ მსაჯმა სწორად დააფიქსირა თამაშგარე მდგომარეობა. „რეალმა" ეს იოტისოდენადაც არ შეიმჩნია - ორიოდ წუთში დი მარიამ ულამაზესი გრძელი პასით „ვილიარეალის" დაცვა უსაქმოდ დატოვა, ბენზემამ ბურთი მკერდით ჩამოილო და ლოპესს თავზე გადაუგდო.

მალევე გაიბრწყინა კაკამ, რომელიც იმდენად კარგად თამაშობს, რომ ბრაზილიის ნაკრებში კვლავ დაუძახეს, ბენზემამ საჯარიმოს ხაზთან მოძებნა კაკა, რომელიც კარისკენ ზურგით იდგა, ნახევარმცველი ვირტუოზულად შემოტრიალდა და ცაციათი დაბალ კუთხეში გაიტანა.

მესამე გოლი „რეალმა" კონტრშეტევაზე გაიტანა, ბურთი **მარსელომ** წამოიღო ფლანგიდან, ბენზემამ კარგად მოძებნა დი მარია (ასე ვთქვათ - საგოლე პასი დაუბრუნა თანაგუნდელს) და 3:0.

მეორე ტაიმში „რეალმა", **მოურინიოს** კარნახით ტემპი დააგდო და საინტერესოც ბევრი არაფერი მოხდა. პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი კი უჩვეულოდ მშვიდი ჩანდა მოედანზე, ცხადი იყო, რომ დუბლის გატანას ის ვერ შეძლებდა.

თამაშის მერე პრესკონფერენციაზე მოურინიოს მარჯვენა ხელი, **აიტორ კარანკა** გამოცხადდა, რომელმაც აქო და ადიდა... „ლევანტე" - ბასკის განცხადებით, დღეისათვის ლა ლიგაში საუკეთესო გუნდი „ლევანტეა" და არა „ბარსა" ან „რეალი".

სარაგოსაში „ვალენსიას" 22 წლის **ხორდი ალბამ** მოაგებინა - ასე რომ, ჩემპიონატის ტოპ-ოთხეულში ორი ვალენსიური კლუბია. მატჩი უნიათო გამოდგა, ერთადერთი საინტერესო რაც მოხდა, ალბას გოლია - ხორდიმ თამაშის დასრულებამდე 8 წუთით ადრე ბურთი ბრუნოსგან მიიღო და მცველი ხუარესი და მეკარე რობერტო სახტად დატოვა - 1:0.

ცუდი ამბავი „ღამურების" ფანებს - ხორდიმ „ვალენსიასთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკება შეწყვიტა, თურმე მარცხენაფლანგელით „ბარსელონაა" სერიოზულად დაინტერესებული.

ცუდი ამბები ხდება „მალაგას" ჩილელი თავკაცის, **მანუელ პელეგრინის** თავსაც, კლუბმა მილიონები დახარჯა, მაგრამ „რაიო ვალეკანოსთან" (რომელსაც ერთ-ერთი ყველაზე მოკრძალებული ბიუჯეტი აქვს ევროპის ტოპ საფეხბურთო ქვეყნებში) - 0:2. **ხოსე სანდოვალის** გუნდი კუთხურის მოწოდების შემდეგ დაწინაურდა, საჯარიმოში ყველას **პედრო ბოტელიომ** აჯობა. პირველი ტაიმის დასრულებას 10 წუთი აკლდა, როცა ანდალუსიელთა პორტუგალიელმა მცველმა **ელიზეუმ** წითელი ბარათი მიიღო. მეორე ტაიმში თავი ვეტერანმა რაულ ტამუდომ გამოიჩინა, რომელსაც გოლი **რობერტ ტრაშორასმა** გაატანინა.

კიდევ ერთ მატჩში ხიხონის „სპორტინგმა" მოულოდნელად მოიგო ბალეარის კუნძულებზე და ბოლო ადგილს თავი დააღწია.

### ცოტაც ტაფებზე და ვალენსიურ ჩხუბზე

არასაფეხბურთო ამბები ფეხბურთელებზე - პირველი: **ლეო მესის** ყოფილი მეგობარი გოგონა, არგენტინელი მოდელი **მაკარენა ლოპესი** ამბობს, რომ ლეოს დედა ნამდვილი მონსტრია, რომ, თითქოს, იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ლეოს დედა მას ტაფით ხელში გამოეკიდა საცემრად.

ცემასა და ჩხუბზე მეორე ამბავს მოგიყვებით, მსოფლიოს ჩემპიონი **კარლოს მარჩენა** (ვილიარეალი) ვალენსიის ქუჩაში ჩხუბშია შემჩნეული. ერთ-ერთი დაზარალებული ხელს სწორედ მარჩენას ადებს, ინციდენტი პასეო ალამედას ქუჩაზე სწორედ მან დაიწყოო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



სერია A.IX ტური



ბოატენგს ნოჩერინო არ ჩამორჩა

# მილანში ჰეთ თრიკები გრძელდება

## ნაპოლიმ უდინეზეს პირველი მარცხი აგემა

ტურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შეხვედრა უდავოდ „სტადიო სან პაოლოზე" გაიმართა, სადაც „ნაპოლიმ" ჩემპიონატის ლიდერი, „უდინეზე" მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო ცხრილში „ნაპოლი" გაცილებით ქვემოთ გახლდათ, ფავორიტად მაინც ეს გუნდი იყო მიჩნეული და საბოლოოდ, გამართლდა კიდეც მოლოდინი. სამხრეთელებმა მთლიანობაში დაჯაბნეს მეტოქე და ორი უპასუხო გოლიც სრულიად დამსახურებულად გაიტანეს.

განსაკუთრებულად აქტიურად მასპინძლებმა პირველი ტაიმი ჩაატარეს და გოლებიც სწორედ ანტრაქტამდე გავიდა - ანგარიში **ესეკიელ ლავეციმ** გახსნა, ვინაც **ედინსონ კავანისგან** შესანიშნავი პასი მიიღო და ერთი შეხებით, ვარდნაში დაჰკრა ბურთს ფეხი, 1:0. გოლი მართლაც ძალზედ ეფექტური გამოვიდა და თუ არ გინახავთ, გირჩევთ რომ იხილოთ. რაც შეეხება მეორე გოლს, თავი **კრისტიან მაჯომ** გამოიჩინა, მარცხენა ფრთიდან ჩაწოდების შემდეგ, სწორედ მან დაარტყა თავური და ბურთი მეტოქის კარის ბადეში გაახვია, 2:0.

ნეაპოლელებს კიდევ არაერთი მომენტი ჰქონდათ, მარტო კავანის მინიმუმ სამჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში იშვიათი უზუსტობა გამოავლინა. მომენტები უდინელებსაც ჰქონდათ, თუმცა **მორგან დე სანქტისმა** ითამაშა ფანტასტიკურად და ყველაფერი მოიგერია, რაც მისი კარის მიმართულებით წავიდა. ზოგადად, „ნაპოლის' კიპერის ბოლოდროინდელი გარჯა ცალკე აღნიშვნის ღირსია, საოცრად ასპარეზობს და გუნდის წარმატებებში უდიდესი წვლილი შეაქვს. ნამატჩევს **ვალტერ მაძარიმ** კმაყოფილება გამოთქვა შეგირდების თამაშით:

*„თავი არ დავზოგეთ და სასურველ მიზანს ჩვეულ სტილში თამაშით მივაღწიეთ. სეზონი გრძელი და რთულია, რომელიც სტაბილურად უნდა განვვლოთ. მართალია, ყველა თამაშს ერთ დონეზე ვერ ჩაატარებ, მაგრამ ეს ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც სამი ქულის მოპოვება უბრალოდ აუცილებელი იყო. გამარჯვება ორმაგად ფასეულია ჩვენი მოწინაალმდეგის გათვალისწინებით, რომელიც დღეს ერთ-ერთი უძლიერესია სერია A-ში და პროგრესს განაგრძობს. ვფიქრობ, „უდინეზე" აუცილებლად იბრძოლებს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად".*

დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა „მილანმა", გაანადგურა რა საკუთარ მოედანზე „პარმა", 4:1. „როსონერიში" ჰეთ-თრიკების სერია გრძელდება - ამჯერად სამი გოლი **ანტონიო ნოჩერინომ** მიითვალა აქტივში და შეხვედრის უდავო გმირი გახდა. ერთი გოლი **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ანგარიშზეა, რომელიც მეკარეს შეატოვეს პირისპირ და მასაც შედეგიანი დარტყმის შესრულება აღარ გასჭირვებია. ემილიელთაგან ერთადერთი გოლი **სებასტიან ჯოვინკოს** ანგარიშზეა, რომელმაც ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი **კრისტიან აბიატის** და ბომბარდირთა დავაში **ანტონიო დი ნატალეს** გაუთანაბრდა. განსაკუთრებულად ეფექტური გახლდათ ნოჩერინოს მეორე გოლი, საჯარიმოს გარეთ მკერდზე მიიღო ბურთი და ერთი შეხებით, მიწაზე დაუშვებლად გადაგზავნა სტუმართა კარის ცხრიანში. ნამატჩევს ჰეთ თრიკის ავტორი გაოგნებული გახლდათ:

*„სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ არ ვიცი რა მოხდა და როგორ შევასრულე ჰეთ თრიკი. აქამდე სეზონში სამი გოლი თუ გამქონდა, აქ კი ანალოგიური შედეგი ერთ თამაშში ვაჩვენე. ეს საოცრებაა და ამის გასაანალიზებლად გარკვეული დრო დამჭირდება. რაც მთავარია, სამი ქულა მოვიპოვეთ და სატურნირო ცხრილში გვარიანად დავწინაურდით. ძალიან მალე, „მილანი" პირველ ადგილზე გადავა, იქ, სადაც მისი ადგილია".*

მორიგი ქულები დაკარგა „ინტერმა", დაუზავდა რა „ატალანტას" გასვლით პაექრობაში, 1:1. ბერგამოული კლუბი რომ სეზონის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენაა, ამის შესახებ არაერთხელ გვითქვამს და აღარ გავიმეორებთ, აი „ინტერი" კი უკვე თამამად შეგვიძლია შევრაცხოთ მთავარ იმედგაცრუებად. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ასეა და თუ რაიმე შეიცვლება, არც ამას გამოგაპარებთ. მიუხედავად იმისა, რომ მილანურმა გრანდმა კვლავ ვერ გაიმარჯვა, გუნდის ასპარეზობით ძალიან კმაყოფილი დარჩა როგორც **კლაუდიო რანიერი**, ისე **მასიმო მორატი**. ჩვენ, სწორედ ამ უკანასკნელს გადავცემთ სიტყვას:

*„მთლიანობაში, გუნდის თამაშით კმაყოფილი დავრჩი, რადგან მაღალ ტემპში ვითამაშეთ და გამარჯვებასაც ვიმსახურებდით. მთავარია, თამაშის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა და წარმატებები აუცილებლად მოვა. არ უნდა გავტყდეთ და ჩვეულებრივად გავაგრძელოთ ვარჯიში. დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება".*

დაახლოებით ანალოგიური განცხადება გააკეთა „ჯენოასთან" ნაგებული მატჩის შემდეგ, „რომას" მთავარმა მწვრთნელმა - მოვუსმინოთ **ლუის ენრიკეს** და შემდეგ, თამაშზეც ვიტყვით ორიოდე სიტყვას: *„დიახ, წავაგეთ, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ. დღეს უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩემი „რომაა", გუნდი, რომლის ნახვაც იტალიაში ჩამოსვლის დღიდან მსურდა. მთელი შეხვედრის განმავლობაში ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით, უნდა მოგვეგო კიდეც ეს თამაში, მაგრამ ფორტუნამ ზურგი გვაქცია და შედეგი არასაჩვენო დაფიქსირდა. უნდა გავაგრძელოთ მუშაობა და ვითარება მალე გამოსწორდება".*

ლუის ენრიკესა და მასიმო მორატის კომენტარები მართლაც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს, იტალიელი ჟურნალისტები კი ირწმუნებიან, რომ უფრო ადეკვატური ამ შემთხვევაში ესპანელი გახლავთ - „ინტერისგან" განსხვავებით, „რომა" მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას, რაზეც ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებელი ნათლად მეტყველებს: 68%-32% დედაქალაქელთა სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, გამარჯვება გენუელებს დარჩათ, თანაც უკანასკნელ წუთებზე გატანილი გოლის წყალობით. მატჩის გმირი შეცვლაზე შესული **იურაი კუჩკა** გახლავთ - 89-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მასპინძლებმა კუთხურის ჩაწოდების უფლება მოიპოვეს, შორეულ ძელთან ჩაკიდულ ბურთს სწორედ ჩეხი შუახაზელი დაუხვდა, თავური დაარტყა და გულშემატკივრები აღტაცებაში მოიყვანა. ამ გამარჯვებით „ჯენოამ" 12 ქულას მოუყარა თავი, სწორედ „რომას" გადაასწრო და მეშვიდე პოზიციაზე აინაცვლა.

**პალერმო-ლეჩე 2:0**

**პალერმო (4-3-1-2):** ცორვასი – პიზანო, სილვესტრი, ჩეტო, ბალცარეტი – მილიაჩო, ბარეტო, ასკუა (70. ბაჩინოვიჩი) – ილიჩიჩი (66. მიკოლი) - ერნანდესი, პინილია (46. ზაჰავი).

**ლეჩე (4-3-3):** ბენასი – ოდო, კაროციერი, ტომოვიჩი, მესბა – პიატი, ობოდო (65. ოლივერა), ჯაკომაცი – გროსმიულერი (86. ბერტოლაჩი), კუადრადო, კორვია (64. მურიელი).

**გოლები:** 1:0 პინილია (27-პენ.), 2:0 ერნანდესი (76).

**გაფრთხილება:** ბალცარეტი, ერნანდესი, ბაჩინოვიჩი – კაროციერი, ობოდო.

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 14(8)-12(3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 26 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 8 | 4 | 4 | 0 | 13-6 | 16 |
| 2. უდინეზე | 8 | 4 | 3 | 1 | 10-3 | 15 |
| 3. ლაციო | 8 | 4 | 3 | 1 | 12-8 | 15 |
| 4. ნაპოლი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-5 | 14 |
| 5. მილანი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-12 | 14 |
| 6. კალიარი | 8 | 3 | 4 | 1 | 9-6 | 13 |
| 7. პალერმო | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| 8. ჯენოა | 8 | 3 | 3 | 2 | 13-11 | 12 |
| 9. რომა | 8 | 3 | 2 | 3 | 9-8 | 11 |
| 10. კატანია | 8 | 2 | 5 | 1 | 10-11 | 11 |
| 11. სიენა | 8 | 2 | 4 | 2 | 7-5 | 10 |
| 12. ატალანტა | 8 | 4 | 3 | 1 | 11-9 | 9 |
| 13. ფიორენტინა | 8 | 2 | 3 | 3 | 9-8 | 9 |
| 14. კიევო | 8 | 2 | 3 | 3 | 6-7 | 9 |
| 15. პარმა | 8 | 3 | 0 | 5 | 10-17 | 9 |
| 16. ინტერი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-14 | 8 |
| 17. ბოლონია | 8 | 2 | 1 | 5 | 5-12 | 7 |
| 18. ნოვარა | 8 | 1 | 3 | 4 | 11-16 | 6 |
| 19. ლეჩე | 8 | 1 | 1 | 6 | 6-15 | 4 |
| 20. ჩეზენა | 8 | 0 | 3 | 5 | 3-10 | 3 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:**

6 - დი ნატალე (უდინეზე), ჯოვინკო (პარმა); 5 - პალასიო (ჯენოა), დენისი (ატალანტა), კლოზე (ლაციო), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

**მომდევნო ტური:**

**29 ოქტომბერი:** კატანია-ნაპოლი, რომა-მილანი, ინტერი-იუვენტუსი.

**30 ოქტომბერი:** სიენა-კიევო, უდინეზე-პალერმო, ლეჩე-ნოვარა, პარმა-ჩეზენა, ფიორენტინა-ჯენოა, ბოლონია-ატალანტა, კალიარი-ლაციო.

**ლაშა წიკლაური**

კვირის ფრაზები

### გულდაწყვეტილი დალგლიში

„ლივერპულმა" პრემიერლიგის IX ტურის მატჩში საკუთარ „ენფილდ როუდზე" „ნორვიჩს" ვერ მოუგო — 1:1. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მერსისაიდელთა თავკაცმა, „კოპის მეფე" **კენი დალგლიშმა** თქვა: *„რასაკვირველია, ჩვენ ძალიან გულდაწყვეტილნი ვართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სეზონის მიმდინარეობისას იქნება ისეთი თამაშებიც, სადაც ამაზე ცუდად ვიასპარეზებთ და გავიმარჯვებთ".*

### უბრალოდ მრცხვენია

„მანჩესტერ იუნაიტედი" მანჩესტერულ დერბიში „სიტისთან" 1:6 დამარცხდა — თან, „ოლდ ტრაფორდზე" (!), რაც ისტორიული ფაქტია ისტლენდელთათვის. ამ შეხვედრის შემდეგ „იუნაიტედის" დაზაფრულმა თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** ასე განაცხადა: *„უბრალოდ მრცხვენია, ეს ჩემს კარიერაში ყველაზე საშინელი მარცხია. გაძევებამ ჩვენზე ძალიან იმოქმედა — 1:0-ის „ამოქაჩვა" შეიძლებოდა, მაგრამ როგორც კი ჯონი ევანსი გაგვიგდეს, იმწამსვე მივხვდი, რომ ნაგებული გვქონდა, მაგრამ ასე მწარედ თუ დავმარცხდებოდით, არ მეგონა".*

### უკეთ თამაშიც შეგვეძლო

მიუხედავად იმისა, რომ ოთხშაბათ საღამოს „მილანმა" მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა „პარმასთან" (4:1), მილანელთა თავკაცმა **მასიმილიანო ალეგრიმ** მაინც მონახა უკმაყოფილების საბაბი: *„ჩვენ უბრალოდ ფანტასტიკური შეხვედრა ჩავატარეთ, მაგრამ ზოგიერთ მომენტში უკეთ თამაშიც შეგვეძლო. მთავარი მაინც მოგება იყო, რათა ჩვენი ძალების კიდევ უფრო გვერწმუნა. ახლა ჩემპიონატში ისეთი სიტუაციაა, რომ შენი კონკურენტები მაქსიმალურად უნდა ჩამოიტოვო. როდესაც ჩემი ფეხბურთელები ასე თამაშობენ, მეტოქე მეტ საგოლე მომენტს ჰქმნის ჩვენს კართან, მაგრამ შორიდან დარტყმის საშუალებას იშვიათად თუ ვიძლევით. რაც შეეხება ნოჩერინოს, მისი ჰეთ თრიკი ძალზე გაგვიხარდა — ის ინდომებს, ცდილობს და ჯერჯერობით ყველაფერი ხუთიანზე გამოსდის".*

### ბეკენბაუერი: ბარსას მეტოქე ბარსაა

გერმანული ფეხბურთის ლეგენდა **ფრანც ბეკენბაუერი** ამბობს, რომ ერთადერთი, ვინც შეიძლება „ბარსელონა" ტახტიდან ჩამოაგდოს, ეს ისევ და ისევ თავად კატალონიური გრანდია. *„მათი მთავარი კონკურენტი საკუთარი თავებია. „ბარსამ" თავისი გულშემატკივარი ბევრ მოგებას მიაჩვია და საკმარისია, ერთი ფრე ითამაშონ, ეგრევე სწყინთ. თუმცა ვაღიარებ, რომ ამჟამად „ბარსელონა" საუკეთესო გუნდია — სწორედ მათი მოთამაშეების დამსახურებაა ევრო 2008-ზე და 2010 წლის მუნდიალზე ესპანეთის ნაკრების გამარჯვება. კატალონიურ გრანდში თამაშობს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი* ***ლიონელ მესი.*** *მისი ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე შეიძლება მატჩის ბედის გადაწყვეტა".*

**კვირის მატჩი**

ეს არის მანჩესტერული დერბი, რომელშიც, ზემოთაც მოგახსენეთ, „სიტიმ" „იუნაიტედი" მისსავე მოედანზე 6:1 (!) გაანადგურა. შემდეგ კი კომენტარი უკვე ზედმეტია...

**კვირის გმირი**

**ხავი ვარასი!** „სევილიას" კიპერი „ბარსელონასთან" (0:0) შეხვედრაში მთელი მატჩი დამაჯერებლად იდგა, ფანტასტიკურ სეივებს ანხორციელებდა და მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მესის პენალტიც კი აუღო! სწორედ ამიტომ, ჩვენ ვარასს კვირის გმირად შევრაცხავთ.

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

● ძიუდო.
მსოფლიოს აბსოლუტური პირველობა

# ტიუმენი უქართველებოდ და ქართველებით




### ეს მარიუს ვიზერის ნოვაციაა

ამ უქმეებზე რუსეთის ტიუმენის ძიუდოს სასახლე ძიუდოისტთა მსოფლიოს აბსოლუტურ პირველობას უმასპინძლებს, თუმცა იქ ჩვენი ფალავნები არ გამოვლენ. წაუსვლელობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ შეჯიბრება არაა სალიცენზიო სტატუსის და ოლიმპიურ რეიტინგში ქულებს არ იძლევა. ამდენად, წასვლა ფულის არცთუ გამართლებული ხარჯვაც იქნებოდა და არც იმ დონის მძიმეწონოსნები გვყავს, მთლად გამარჯვების თუ არა, თუნდაც მედლამდე მისვლის და მაღალი საპრიზო ფონდიდან გარკვეული წილის მიღების იმედი მაინც რომ გვქონდეს. ამიტომ მონაწილეობა იმთავითვე არც იყო მოსალოდნელი, თუმცა მთავარი მიზეზი მაინც ის გვგონია, რომ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენები რუსეთის ტერიტორიაზე ასპარეზობას ერიდებიან. ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, ეს ტურნირი მაინც იმსახურებს ძიუდოს ქართველი ქომაგის ყურადღებას. მით უფრო, რომ იქ სხვა ქვეყნების სახელით მოჭიდავე ქართველები გამოდიან.

მსოფლიოს აბსოლუტური პირველობა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის და პირადად ახლანდელი პრეზიდენტის, რუმინელ **მარიუს ვიზერის** ნოვაციაა. ადრე ეს შეჯიბრება დანარჩენ შვიდ ოლიმპიურ წონით კატეგორიებთან ერთად იმართებოდა (აბსოლუტური არ შედის ოლიმპიადის პროგრამაში), ბოლო წლებში კი ცალკე ატარებენ (გამონაკლისი მხოლოდ შარშან დაუშვეს). ეს ჯერ კიდევ მანამ დაიწყეს, ვიდრე მსოფლიოს პირველობებზე წონაში ერთი ქვეყნიდან ორი მონაწილის გამოყვანას დაუშვებდნენ, მიზანი კი იმ მძიმეწონოსნებისთვის შანსის მიცემა იყო, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ხვდებოდნენ. თან ალღოიანმა და მენეჯმენტის კარგი უნარით დაჯილდოებულმა ვიზერმა ეს შეჯიბრება უფრო შოუდ ჩაიფიქრა, რამაც თავიდან იმდენად ვერა, მაგრამ დროთა განმავლობაში ნამდვილად გაამართლა - თანდათან დაიხვეწა, გაიზარდა საპრიზო ფონდი, გაჩნდა სარეკლამო-სატელევიზიო ინტერესი და სულ უფრო სოლიდურ ტურნირად ყალიბდება. ეგაა, ცოტა შეუფერებელ ვადებში იმართება - მსოფლიოს პირველობის შემდეგ, როცა სპორტსმენებს ფორმის პიკი გადავლილი აქვთ და რელაქსაციის, ძალების აღდგენის პერიოდს გადიან სამომავლო სეზონისთვის. დასაწყისში ამიტომ ვერ მოიხვეჭა დიდი პოპულარობა და მაშინ მასში მართლაც მეორე-მესამეხარისხოვანი ძიუდოისტები მონაწილეობდნენ. საპრიზო ფონდის გაზრდამ (წლევანდელი 158 000 დოლარია!) ინტერესიც გაზარდა. შედეგად, ტიუმენის შეჯიბრების ორგანიზატორები უკვე ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონებს ითვლიან, მონაწილეთა სიძლიერე კი ნებისმიერი ასპარეზობის ავტორიტეტის განმსაზღვრელია.

### თეა და ილიაც იქ იქნებიან

წინასწარი მონაცემებით, ტიუმენში 54 სპორტსმენი იჭიდავებს - 36 ვაჟი და 18 ქალი. მათ შორის ორი ქართველიც იქნება - რუსეთის სახელით მოასპარეზე ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის მედალოსანი **თეა დონლუზაშვილი** და ევროპისა და მსოფლიოს ორ-ორგზის გამარჯვებული, ბერძენთა ოლიმპიური ჩემპიონი **ილიას ილიადისი**, რომელსაც ტიტულების გარდა უნიკალური მიღწევითაც გადაუწყვეტია მსოფლიო ძიუდოს ისტორიაში შესვლა - გაეჯიბროს ფიზიკურად მასზე დიდწონიან გიგანტებს. ტიუმენის ტატამზე იჭიდავებენ აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონები, ბელარუსი **იჰარ მაკარაუ,** იაპონელი **კეიჯი სუძუკი** (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონიცაა), მონგოლი **ნაიდან ტუვშინბაიარი,** უზბეკი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი **აბდულო ტანგრიევი,** იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი **დაიკი კამიკავა,** ქალთა შორის - ჩინელი მსოფლიოს 6-გზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ვენ ტონგი,** იაპონელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **მიკა სუგიმოტო** და მისი თანაგუნდელი, მსოფლიოს ორგზის მედალოსანი **მეგუმი ტაჩიმოტო,** სლოვენიელი მსოფლიოს ვერცხლის და ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი **ლუსია პოლავდერი,** მსოფლიოსა და ოლიმპიადის კუბელი პრიზიორი **იდალის ორტისი,** ევროპის ხუთგზის ჩემპიონი და მსოფლიოს სამგზის მედალოსანი ფრანგი **ანე-სოფიე მონდიერე** და კიდევ არაერთი სახელოვანი ათლეტი. ძლიერი გუნდით იქნება წარმოდგენილი რუსეთიც - ვაჟთა შორის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ალექსანდრ მიხაილინი, ანდრეი ვოლკოვი, ასლან კამბიევი** და ტიუმენელთა ჯილა, ადგილობრივი ფალავანი **მიხაილ პროხინი** იჭიდავებენ, ქალებში კი დონლუზაშვილის გარდა, ევროპის ორგზის ჩემპიონი **ელენა ივაშენკო, ეკატერინა შერემეტიევა** და **ნატალია სოკოლოვა** გამოვლენ. ამჯერად ტრავმის გამო ვერ იასპარეზებს **დმიტრი სტერხოვი.** ტიუმენის ტატამზე ვერც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, სადღეისოდ პლანეტის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭიდავეს, ფრანგ **ტედი რინერს** ანუ „ტედი-დათვს", როგორც მას ქომაგებმა სიყვარულით შეარქვეს, იხილავენ.

შარშან საერთაშორისო ფედერაციამ ერთადერთი გამონაკლისი დაუშვა და აბსოლუტური პირველობა ძველებურად სხვა წონებთან ერთად ჩაატარა ტოკიოში. მაშინ მძიმეში უკვე გაჩემპიონებული რინერი მასპინძელ კამიკავასთან მსაჯთა ძალზე საეჭვო გადაწყვეტილებით დამარცხდა და ისე განიცადა, ეს მთასავით კაცი და მისი მწვრთნელი გულამომჯდარნი ტიროდნენ.

### რა ჩაიტანეს 20 ჩემოდნით იაპონელებმა?

ტიუმენში იაპონელთა მომცრო გუნდი ყველაზე ადრე ჩაფრინდა საკმაოდ გრძელი გზით და ადგილობრივ ჟურნალისტთა გაკვირვებაც გამოიწვია - მათ ბარგში თურმე 20 ჩემოდანი შედიოდა, რომელშიც ინვენტარი, საკვები თუ ჩვენი რუსი კოლეგებისთვის გამოუცნობი სხვა იაპონური საიდუმლო რამე-რუმეები შედიოდა. ერთადერთი, რისთვისაც ისინი მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ, ეს ციმბირული გვიანი შემოდგომაა - ტიუმენში ჯერჯერობით თოვლი არაა, მაგრამ თოვლჭყაპია და საკმაოდ ცივა. სუძუკიმ აღნიშნა კიდეც, ძალიან ცივა და დაახლოებით ისეთი ამინდია, როგორიც იაპონიის ჩრდილოეთის კუნძულ ჰოკაიდოზეო. *„შეუძლებელია, ვინმეს მოსწონდეს ასეთი ამინდი. ყოველ შემთხვევაში, მე არ მიყვარს. შეჯიბრებამდე მთელი სამი დღეა და ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ გავცივდეთ, ავადმყოფობა დაანგრევს მთელ ჩვენს გეგმებს. იაპონიაში ტყუილად არ მივაჩნივართ ფავორიტებად - დარწმუნებით შემიძლია, გითხრათ, რომ აქ მოსაგებად ჩამოვედით"* - განაცხადა სუძუკიმ. *„მე არასოდეს გავმხდარვარ მსოფლიოს ჩემპიონი და მინდა, ეს წოდება ახლა მოვიპოვო"* - თანაგუნდელს მხარი აუბა მეგუმი ტაჩიმოტომაც.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ მედალოსნები საკმაოდ დიდ პრემიებს მიიღებენ - გამარჯვებული 25 ათასი დოლარით დაჯილდოვდება, ვერცხლის მედალოსანი - 15 ათასით, ბრინჯაოს მედალოსნები კი 10-10 ათასს მიიღებენ.

**ირაკლი თავაძე**

● კურაში



# ტერმეზული ბრინჯაო ქართველებს

უზბეკურმა ჭიდაობა კურაშმა ათი წლისწადია, საერთაშორისო სარბიელისკენ გაიკაფა გზა და მნიშვნელოვანი შეჯიბრებებიც ტარდება. დასტურად მსოფლიოს მე-8 ჩემპიონატიც გამოდგება, რომელსაც ამ დღეებში ტერმეზმა (უზბეკეთი) უმასპინძლა. გულშემატკივრებით გადაჭედილ სტადიონზე 64 ქვეყნის 400-მდე ფალავანმა მოიყარა თავი, მათ შორის საქართველოს 3 წარმომადგენელიც იყო - გიორგი ბიჩელაშვილი და გიორგი იაძე +81 კილოში ცდიდნენ ძალებს. ორივე სპორტსმენმა წარმატებით განვლო გზა ნახევარფინალამდე, სადაც მათი წინსვლა შუააზიელებმა შეაჩერეს: ბიჩელაშვილმა ყაზახ იზატულო ჯამშედთან წააგო, იაძეს კი უზბეკმა შუხრატჯონ არსლონოვმა სძლია. ტაშკენტელმა ფალავანმა ფინალშიც იყოჩაღა და ჩემპიონობა მოიპოვა, ჯამშედი მეორე ადგილზე გავიდა, ქართველ ფალავნებს - ბიჩელაშვილსა და იაძეს ბრინჯაოს მედლები ერგოთ.

73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა **დავით ობგაიძე,** მაგრამ იგი სტარტზევე დამარცხდა მასპინძელთან და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ჩემპიონატის მეორე დღეს უზბეკეთის პრეზიდენტის სახელობის მე-10 საერთაშორისო ტურნირიც (საპრიზო ფონდი 20 ათასი ამერიკული დოლარი) გაიმართა აბსოლუტურ ფალავნობაში. ბიჩელაშვილმა პირველივე შეხვედრა გაფრთხილებით დათმო იაპონელ იუჟი ონიშისთან, რომელმაც 100 კილოში მსოფლიოს ჩემპიონატის „ბრინჯაო" დაიმსახურა, იაძემ კი მეოთხედფინალში წააგო ირანელ რახნამა ხოშტთან და მე-5 ადგილზე გავიდა. ფინალურ პაექრობაში ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორმა, ძიუდოისტმა აბდულო ტანგრიევმა (უზბეკეთი) ონიშის აჯობა და მთავარი პრიზი დაისაკუთრა.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: მარჯვენიდან - გიორგი ბიჩელაშვილი, გიორგი იაძე და დავით ობგაიძე**

● რეგიონი

# გოგი გზირიშვილის მემორიალი


გიორგი (გოგი) გზირიშვილი

საგარეჯოში შესანიშნავ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი - სისტემატიურად ტარდება გამოჩენილი საგარეჯოელი მოჭიდავეების სხვადასხვა რანგის სახელობითი თუ მემორიალური ტურნირები.

ერთ-ერთი სახელოვანი მოჭიდავე, რომლითაც სამართლიანად ამაყობენ საგარეჯოელები, იყო ლეგენდარული ფალავნის, შალვა გზირიშვილის ვაჟი - საკავშირო პირველობის პრიზიორი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში (ქვემძიმე წონა) გიორგი (გოგი) გზირიშვილი, რომლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ამ დღეებში ჩატარდა საგარეჯოს საჭიდაო დარბაზში. მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, ამბროლაურის, კასპის, მცხეთის, დმანისის, ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, თბილისის გლდანის რაიონის და გივი კარტოზიას სახელობის ჭიდაობის სკოლის წარმომადგენლები ჭაბუკთა ორ ასაკობრივ ჯგუფში (1997-1999; 2000-2002წწ.).

ქვემოთ გაგაცნობთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს.

#### 2000-2002 წლებში დაბადებულები

**20კგ:** 1. გიორგი ნაჭყებია, 2. გიორგი იორამაშვილი, იგორ აფციაური (სამივე - თბილისი), შალვა ლუაშვილი (ყვარელი).

**24კგ:** 1. დავით ქაქალაშვილი (ყვარელი), 2. ზელიმხან მარგოშვილი (ახმეტა), 3. ოთარი ასთავიშვილი (საგარეჯო), იგორ ბერიძე (აჭარა).

**30კგ:** 1. გიორგი ელბაქიძე (ამბროლაური), 2. ნიკოლოზ გოგრიჭიანი (ამბროლაური), 3. ლაშა ჩახმახაშვილი (საგარეჯო), ზუბაილ გაჯიევი (ყვარლი);

**27კგ:** 1. თორნიკე ქათამაძე (აჭარა), 2. გიორგი ზალიკანიანი (ამბროლაური), 3. ლუკა ქარჩხაძე (აჭარა), შალვა შათირიშვილი (საგარეჯო).

**33კგ:** 1. ვლადიმერ გამყრელიძე, 2. გიორგი ცხვირავაშვილი (ორივე - ამბროლაური), 3. ნიკა შანავა (თბილისი), გოგი მელაშვილი (ამბროლაური).

**36 კგ:** 1. ლევან წიფიანი (აფხაზეთი), 2. ვლადიმერ კაკოშვილი (თბილისი), შალვა მელაშვილი (ამბროლაური), გიორგი ბერძენიშვილი (თბილისი).

**+36კგ.** 1. გივი გოგბერიშვილი (ამბროლაური), 2. ირაკლი ბედიაშვილი ( საგარეჯო), 3. ჭაბუკი გამყრელიძე (ამბროლაური).

#### 1997-1999 წლებში დაბადებულები

**29კგ:** 1. თორნიკე ასაბაშვილი, მაგომედ მადამაგამედოვი (ორივე - ყვარელი) 3. გიორგი შათირიშვილი (საგარეჯო), ილია ჭუჭულაშვილი (დედოფლისწყარო).

**32 კგ:** 1. ზალუმხან საიდოვი (ყვარელი), 2. ბაჩო არველაძე (თბილისი), 3. მუხრან ჭინჭარაძე (აჭარა), ნიკა ბიკაშვილი (დედოფლისწყარო).

**35კგ:** 1. რომან აფციაური (თბილისი), 2. გიორგი ნატროშვილი (დედოფლისწყარო), 3. მაგომედ სასულოვი (ყვარელი), გიორგი კარტიევი (დედოფლისწყარო).

**38კგ:** 1. გოგა მამიაური (თბილისი), 2. რატი კილანავა (აფხაზეთი), 3. დავით მახარაშვილი (თბილისი), თორნიკე ილურიძე (კასპი).

**42კგ:** 1. მიხეილ ბოჭორიძე (საგარეჯო), 2. ხაბიბ გაჯიევი (ყვარელი), 3. ალეკო ელიაშვილი (თბილისი).

**46კგ:** 1. გელა ქოქიაშვილი, 2. ალეკო სულაშვილი (ორივე - დედოფლისწყარო), 3. მუჰამედ წუწაშვილი (ახმეტა), გენადი ტატურაშვილი (კასპი).

**50კგ:** 1. გოჩა ყიფშიძე (აჭარა), 2. რობერტ დინგაშვილი (ყვარელი), 3. ნიკა კენჭაძე, თორნიკე ცხვირავაშვილი (ორივე - ამბროლაური).

**54კგ:** 1. მედა ქაშიაშვილი (გურჯაანი), 2. გიორგი ჭადიძე (თბილისი) 3. ნოდარ დიასამიძე (აჭარა), სტეფანე ტატალაშვილი (თბილისი).

**58კგ:** 1. ირაკლი მენთეშაშვილი, 2. მამუკა არაბული, 3. გიორგი პავლიაშვილი (სამივე - დედოფლისწყარო), ნიკა ბულულაშვილი (კასპი).

**66კგ:** 1. ზაურ ბერაძე (თბილისი), 2. გიგა შიოშვილი (საგარეჯო), 3. ბესლან ყუშტარაშვილი (ახმეტა), მიხეილ შათირიშვილი (საგარეჯო).

**+66კგ:** 1. გივი მაჭარაშვილი (მცხეთა, მას გადაეცა მთავარი პრიზი.), 2. ლევან ბოჭორიძე (საგარეჯო), 3. ზურაბ ურთაშვილი (მცხეთა), დავით კობახიძე (თბილისი).

*- საგარეჯოს გამგეობის, საკრებულოს, პარლამენტის წევრის ზაზა გულიკაშვილის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, ადგილობრივი კომპლექსური სპორტსკოლის ერთობლივი ძალისხმევით საგარეჯოში შეიქმნა მოჭიდავეთა მომზადებისა და სხვადასხვა შეჯიბრების მასპინძლობის საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ახალი თაობების დაოსტატებას და საერთოდ, საქართველოში ჭიდაობის წინსვლას - გვითხრა ვეტერანმა საგარეჯოელმა მოჭიდავემ, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა* ***ბიჭიკო მარიდაშვილმა.***

შეჯიბრებას ესწრებოდა ლეგენდარული ფალავანი **ლევან თედიაშვილი.** ტურნირმა გამოავლინა პერსპექტიული ნორჩი მოჭიდავეები: **გივი მაჭარაშვილი** (მცხეთა), **თორნიკე ასაბაშვილი** (ყვარელი), **მიხეილ ბოჭორიძე** (საგარეჯო) და სხვები.

**თენგიზ კობიაშვილი**
საგარეჯოდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდორ ჰოკეი



# ირანმა ქუთაისში ინავარდა

ამ დღეებში საქართველოს ირანის ქალ ჰოკეისტთა ეროვნული ნაკრები სტუმრობდა. ირანელებმა ინდორ ჰოკეიში ჩვენებურ გუნდებთან სამი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს და საქართველო კარგ განწყობაზე დატოვეს. პირველი შეხვედრა სტუმრებმა ოზურგეთის სპორტის სასახლეში „ჩოხატაურის“ წინააღმდეგ ჩაატარეს. სპეციფიკურ სპორტულ ეკიპირებასა და ჩადრებში შემოსილმა სტუმრებმა ადგილობრივებში დიდი დაინტერესება გამოიწვიეს და შეხვედრას საკმაოდ ბევრი მაყურებელი დაესწრო. ირანელები ნამგზავრი და გადაღლილები იყვნენ, ამიტომ მათი სურვილით პირველ მატჩში 15-15-წუთიანი ტაიმები ითამაშეს. დაძაბული შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. ამის შემდეგ, ირანელთა 21 ქალისგან შემდგარმა დელეგაციამ ქუთაისში გადაინაცვლა და იქაურ სპორტის სასახლეში „ბათუმი“ დიდი ანგარიშით 10:0 დაამარცხა. ბოლო მატჩი ირანელებმა საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარეს. შეხვედრა ქართველების უპირატესობით დაიწყო და ანგარიშიც მათ გახსნეს, თავი **თამუნა სუპატაშვილმა** გამოიჩინა. აზიელებმა ანგარიში პირველივე ტაიმში გაათანაბრეს, შესვენების შემდეგ კი კიდევ სამი გოლი გაიტანეს და 4:1 გაიმარჯვეს.

ირანელები საქართველოში სტუმრობით კმაყოფილი დარჩნენ და საპასუხოდ, მომავალი წლის მარტისთვის ჩვენი ეროვნული გუნდი თავიანთ სამშობლოში მიიწვიეს. საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის **ავთანდილ თევდორაძის** თქმით, ირანელთა მარცხის ძირითადი მიზეზი დიდი ასაკობრივი სხვაობა და გამოცდილების ნაკლებობა იყო და დასძინა: „*ირანელები აზიის ჩემპიონატში თამაშობენ და იქ ისეთ გუნდებთან იღებენ გამოცდილებას, როგორიც პაკისტანი და ინდოეთია. თანაც, მათი ჰოკეისტების საშუალო ასაკი 26-27 წელია. ჩვენი ნაკრები კი ძირითადად 15-17 წლის გოგონებით არის დაკომპლექტებული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე შევიკრიბეთ, ირანი კი ამხანაგური შეხვედრებისთვის კარგად მომზადებული ჩამოვიდა*“.

ბოლოს გაცნობებთ, რომ ნოემბერში ინდორ ჰოკეიში ქალთა და ვაჟთა შორის საქართველოს თასის გათამაშება ჩატარდება. მატჩები ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ჭადრაკი

# მეექვსეზე ჩამოქვეითდნენ

ქოჯაელში (თურქეთი) გრძელდება 16-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადა. გუშინ მე-6 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. საქართველოს ნაკრები, რომელიც ხუთი ტურის შემდეგ სამეულში იყო, რუსეთის გუნდთან დამარცხდა - 1,5:2,5. **ირაკლი ბერაძე დანიილ დუბოვს** დაუზავდა, **შალვა ნადირაშვილმა ურიი ელისეევს** სძლია, მესამე-მეოთხე დაფებზე კი **გუგა ბურდულმა** და **ნინო ხომერიკმა ვლადისლავ ტერენჯიევთან** და **კონსტანტინ ნიკოლოგოვსკისთან** წააგეს.

გუშინ ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: აზერბაიჯანი-სომხეთი 2.5:1.5, ირანი-ჩეხეთი 4:0, ყაზახეთი-მალაიზია 2.5:1.5, სლოვაკეთი-ინდოეთი 0:4.

ექვსი ტურის შემდეგ მეწინავეთა სატურნირო მდგომარეობა: სომხეთი (4 მოგება, 0 ფრე, 2 წაგება)-17.5, რუსეთი (5,0,1)-17, ირანი (4,1,1)-16, აზერბაიჯანი (4,2,0)-15.5, ინდოეთი (3,1,2)-15.5, **საქართველო** (4,0,2)-15 ქულა.

დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: სომხეთი-ირანი, ინდოეთი-რუსეთი, **საქართველო-აზერბაიჯანი,** თურქეთი (თეთრები, 14)-ყაზახეთი (14), მალაიზია (13,5)-შვეიცარია (13,5), სირია (13)-თურქეთი (წითლები, 12,5), ჩეხეთი (12)-ინგლისი (12.5).

შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**



მარცხნიდან: ირაკლი ბერაძე, შალვა ნადირაშვილი, გუგა ბურდული, ნინო ხომერიკი

ჩოგბურთი

# ტატიშვილი მეოთხედფინალშია

21 წლის **ანა ტატიშვილი** (88) ფრანგულ პუატიეში ყოჩაღობს, სადაც საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი (100 ათასი დოლარი) მიმდინარეობს. პირველ წრეში ჩვენებურმა მსოფლიოს ყოფილ მე-11 ჩოგანს, **ალიზ კორნეს** (საფრანგეთი, 94) აჯობა - 0:6, 6:2, 6:4. მეორე წრეში ქართველმა საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულ იტალიელს, **ნასტასია ბურნეტს** (226) მოუგო, რომელმაც პირველ წრეში მსოფლიოს 46-ე ჩოგანი **ლუსი ჰრადეჩკა** (ჩეხეთი) გამოთიშა ასპარეზობიდან. ქართველმა ორ სეტში იმარჯვა - 6:1, 7:5 და ახლა მეოთხედფინალში რუს **რეგინა კულიკოვას** (132) დაუპირისპირდება.



ანა ტატიშვილი

ანთალიაში (თურქეთი) მცირე საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს (10 ათასი დოლარი). პირველ წრეში მე-3 ნომრად განთესილმა **ეკა გორგოძემ** (413) შვეიცარიელ **ვიქტორია გოლუბიჩს** მოუგო - 6:3, 6:0. მე-4 ნომრად განთესილი **სოფიო ქვაცაბაია** (467) კი ჰოლანდიელ **სინდი ბურგერთან** დამარცხდა - 6:7 (3), 4:6. გორგოძემ მერვედფინალშიც იმარჯვა - ბულგარელი **იულია სტამატოვა** გამოთიშა ასპარეზობიდან - 7:5, 6:3. ახლა მისი მეტოქე უკრაინელი **მარინა ზანევსკაა** (456).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# ჩვენი ჯუმბერი

მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ყველა ჩვენთაგანისათვის შენი გარდაცვალება.

მას მერე ორმოცი დღე გავიდა და ჯერ კიდევ ოდნავაც არ გაგვნელებია გულისტკივილი და წუხილი. შენ დაგვაკლდი თითოეულ ჩვენგანს - დიდსა და პატარას. ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანი იყავი შენი ღირსებითა და სიკეთით ჩვენო ყურადღებიანო, გულითადო ძმაო და მეგობარო. თუ სადმე კეთილი საქმე კეთდებოდა ჩვენ ირგვლივ, შენ იყავი პირველი წამომწყები და მოთავე. ახლაც ვფიქრობთ შენი მეგობრები და ახლობლები, მოჭიდავეთა დიდი ოჯახი, საიდან გაგაჩნდა ამდენი სითბო და სიყვარული, თანაბრად რომ უნაწილებდი ნებისმიერ ჩვენგანს, ნათესავებს, ახლობლებს, ნაცნობთა უდიდეს წრეს შენს საყვარელ სამშობლოში თუ საზღვარგარეთ. ყველას უყვარდი, ყველა გიყვარდა მთელი გულწრფელობით.

ნაღდი კაცი იყავი, პუნქტუალური და უტყუარი, მეგობრობისათვის თავდადებული.

გიყვარდა სოფელი, ქართული ტრადიციები და რიტუალი, შენი ნამღერი და გიტარაზე დაკრული ახლაც ჩაგვესმის, ცრემლებამდე განვიცდით უშენობას.

თითქოს გრძნობდი ავბედითი დღის მოახლოებას და ყველაფერს, რაც კი გასაკეთებელი გქონდა და ფიქრობდი, ცდილობდი დროულად მოგესწრო, ყველასთვის ბედნიერება და სიამოვნება მიგენიჭებინა.

მოასწარი სიკვდილის წინ შენს მშობლიურ შხივანაში ჩასვლა, ახლობლების მონახულება, შემდეგ ზღვაზე ქობულეთში ჩასვლა მეგობრებთან, რომელთა გარეშე შენ არ შეგეძლო თუნდაც ერთი დღე გაგეძლო. ზღვა სიხარული ჩაიტანე ბიჭებთან, იქაც იურიამულე შენებურად, გული იჯერე. 75 წლისა და ექვსი თვისამ დაბადების დღე გადაიხადე, იმ ღამეს დაიძინე და ყოვლისშემძლე სიკვდილმა გადაგიყვანა იმქვეყნად. დაძინებულს შეგიჩერდა გულისცემა, წახვედი ისე, რომ არავინ შეგიწუხებია. დაგვტოვე დანაღვლიანებული, თვალცრემლიანი უამრავი მეგობარი, ძვირფასი ოჯახი: შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, მოყვრები, მოჭიდავეთა საყვარელი ოჯახის დიდი თუ პატარა.

კაცურად იცხოვრე, შენი მედლის ორივე მხარე თანაბრად ბრწყინავდა - ჩემპიონობისა თუ მოქალაქეობრივი პათოსის. ძალიან დაგვაკლდი.

დაგვილოცნიხარ იმქვეყნიურ უსასრულო გზაზე. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, შეგინდოს, სასუფეველი დაგიმკვიდროს.

ფსკ „დინამო“
ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი

სპორტული ნარდი. კონტაქტები



# თბილისი და სალონიკი მეგობრდებიან

**კოსტანტინოს კოსმიდისი** საქართველოში დაიბადა და გაიზარდა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა 25 წელიწადი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში იმუშავა ინჟინრად. რვა წელიწადია, ოჯახთან ერთად სალონიკში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც სპორტული ნარდისა და სხვა სამაგიდო თამაშების ფედერაცია ჩამოაყალიბა. ნოსტალგიის გასაქარვებლად და საქართველოსთან ურთიერთობის გასამტკიცებლად სწორედ სპორტული ნარდი აირჩია. ინტერნეტით მოძებნა და შეეხმიანა საქართველოს ნარდის ასოციაციის პრეზიდენტ **თემურ ქურციკიძეს,** სალონიკელ თანამოაზრეებთან ერთად თბილისს ეწვია და ბერძნულ რესტორან „როდოსში“ პირველი ამხანაგური საერთაშორისო მატჩიც გაიმართა ქართველ და ელადელ მონარდეთა შორის. მასპინძელთა სპორტულ ღირსებას იცავდნენ დედაქალაქის ნარდის ფედერაციის პრეზიდენტი, პარლამენტარი **ბეჟან ხურციძე,** სენიორებში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **ომარ დვალი,** ცნობილი მსახიობი **იმედა კახიანი** და სხვები.

შეჯიბრებები ოთხ ნომინაციაში გაიმართა. **ნარდი საერთაშორისო წესებით:** ბეჟან ხურციძე-გიორგიოს მანამასიდისი 11:10, ომარ დვალი-კოსტანტინოს კოსმიდისი 7:3. **მოკლე ნარდი:** სოფო ვასაძე-მადონა სავიდი 6:7, სოფო გოდუაძე-იზოლდა სარიდი 3:7, იმედა კახიანი-ემანუელ პილავოვი 8:3, დავით დათოშვილი-იური სარიდი 6:7. **გრძელი ნარდი.** ომარ დვალი-კონსტანტინოს კოსმიდისი 9:4. **წყვილები.** იმედა კახიანი, არტურ ზადიკიანი-იური სარიდი, მანუელ პილავოვი 5:2.

თემურ ქურციკიძემ და კონსტანტინოს კოსმიდისმა შეჯიბრების მონაწილენი სამახსოვრო პრიზებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

სტუმრებმა მასპინძლები გაისად საპასუხო ვიზიტით სალონიკში მიიწვიეს.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ქართული კლუბები ევროჩელენჯზე

# შევერკინოთ, არმია?



**საქართველოს ჩემპიონი „არმია“ ევროჩელენჯის გათამაშებაში 8 ნოემბერს ჩაერთვება. პირველ ტურში ქართველები გერმანიის „გოტინგენს“ უმასპინძლებენ. ამ ორი გუნდის გარდა B ჯგუფში ითამაშებენ ჰოლანდიის ჩემპიონი „ლეიდენი“ და თურქეთის „ბეშიქთაში“, რომელშიც ამერიკელი ვარსკვლავი დერონ უილიამსი თამაშობს.**

ფიბა-ევროპის ოფიციალურ საიტზე ჟურნალისტმა **ჯეფ ტეილორმა** A ჯგუფის შემდეგ მიმოიხილა ევროჩელენჯის B ჯგუფი, რომელშიც ქართული „არმიის“ პარალელურად ლაპარაკია მის მეტოქეებზე. ვფიქრობთ, ეს პუბლიკაცია ქართველ მკითხველსაც დააინტერესებს:

„ამ ჯგუფზე ბევრია საწერი, რადგან ძალიან საინტერესო გუნდები არიან თავმოყრილნი.

დავიწყოთ იქიდან, რომ სწორედ აქ ითამაშებს 2008 წლის ოლიმპიური ჩემპიონი **დერონ უილიამსი.** იგი თურქულ „ბეშიქთაშში“ NBA-ს ლოკაუტის დასრულებამდე დარჩება. დერონმა და მისმა ახალმა მეგობრებმა სეზონი მძიმედ დაიწყეს - ევროთასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი მატჩის ჯამში ბელგიის „მონსთან“ დამარცხდნენ და ევროთასის ნაცვლად ევროჩელენჯზე მოხვდნენ.

„გოტინგენს“ შეუძლია იამაყოს, რომ ორი სეზონის წინ ევროჩელენჯი მოიგო. თუმცა მაშინდელი გუნდიდან შემადგენლობაში ერთადერთი კალათბურთელი დარჩა - **მაიკლ მიკსი**, რომელიც „იისფრებში“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობს.

ქართული „არმიაც“ ანგარიშგასაწევი გუნდი იქნება, რადგან მიმდინარე სეზონის წინ არაერთი ძლიერი კალათბურთელი დაიმატა.

„ლეიდენმა“ კი შარშან ჰოლანდიის ჩემპიონატი მოიგო და ევროჩელენჯზე ჯგუფიდან გასვლის პრეტენზიაც ექნება.

## გოტინგენი

როგორც აღვნიშნეთ, გერმანული „გოტინგენი“ საგმირო სეზონის შემდეგ მთლიანად შეიცვალა. ორი წლის წინათ გუნდი დატოვა ევროჩელენჯის 2010 წლის ფინალური ოთხეულის საუკეთესო კალათბურთელმა **ტეილორ როჩესტიმ.** მწვრთნელი, **ჯონ პატრიკი** ამ ზაფხულს „გოტინგენიდან“ „ვიურცბურგში“ გადავიდა. მისი ადგილი დაიკავა **სტეფან მიენაკმა**. გუნდის თავკაცმა 2010 წლის შემდეგ „გოტინგენში“ დააბრუნა 23 წლის გამთამაშებელი **ლუის დეილი**, რომელმაც წლევანდელი ბუნდესლიგა ეფექტურად დაიწყო: 20 ქულა „ლუდვიგსბურგს“ ჩაუგდო, 21 - „ბაიერნს“.

8 ოქტომბერს ტრავმა მიიღო და გუნდს ექვსი კვირით გამოაკლდა ახალგაზრდა გამთამაშებელი **ნიკო ადამჩაკი.** არის კიდევ ერთი დანაკლისი - 10 ოქტომბერს იმედისმომცემმა **ჯოშ სლეიტერმა** განაცხადა, რომ პირადი მიზეზებით გუნდის დატოვება სურდა.

სანაცვლოდ „გოტინგენის“ ხელმძღვანელობამ აიყვანა გამოცდილი გამთამაშებელი **კაილ ბეილი,** რომელიც გასული სეზონის შემდეგ გუნდიდან წავიდა, თუმცა ოქტომბრის შუაში კვლავ „იისფრებს“ დაუბრუნდა. ამ ამბით ძალიან გახარებული იყო მთავარი მწვრთნელი **მიენაკი:**

- ბეილის გამოცდილება გუნდს ძალიან დაეხმარება. მან იცის, როგორ უნდა სწრაფად თამაში და როგორ უნდა უხელმძღვანელოს დაცვას მოედნის მთელ პერიმეტრზე. იგი სლეიტერის შემცვლელად არ აგვიყვანია, დავიმატეთ კაილ ბეილი, რომელიც ჩვენს გუნდს ძალიან სჭირდებოდა.

## ბეშიქთაში

„მონსთან“ ევროთასის საკვალიფიკაციოში წაგების გამო „ბეშიქთაშს“ რეაბილიტაცია სჭირდებოდა, რაც თურქეთის ჩემპიონატში დამაჯერებელი თამაშით მოახერხა. ფაქტია, რომ გუნდში უამრავი ვარსკვლავია შეკრებილი: **დერონ უილიამსი, მარსელიუს კემპი, ზორან ერცეგი** და თურქი ცენტრი **სემიჰ ერდენი**, რომელსაც „მონსთან“ არ უთამაშია.

- ბელგიური კლუბის წინააღმდეგ ცუდად გამოვიყურებოდით. ეს ჩვენთვის დიდი გაკვეთილი იყო, რის შემდეგაც მაქსიმალური კონცენტრირება დაგვჭირდება, რათა იმ შედეგს მივაღწიოთ, რაც დასახული გვაქვს, - ამბობს სემიჰ ერდენი.

„ბეშიქთაშის“ ერთ-ერთი მთავარი პლუსი მთავარი მწვრთნელი **ერგინ ატამანია,** რომელიც მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტია. თუ იგი „მონსთან“ წაგებით გაწბილებული იყო, ხალისით ლაპარაკობდა თურქეთის ჩემპიონატში „ბანდირმასთან“ (107:69) მატჩზე:

- თურქული ლიგა ეფექტური მოგებით გავხსენით. მართალია, დაცვაში თავიდან ცოტა მოვისუსტეთ, მაგრამ საბოლოოდ ამ კომპონენტში გუნდის გარჯით უკმაყოფილო არ ვარ. ევროჩელენჯისთვის კიდევ მოვუმატებთ. აუცილებლად უნდა შევეხო დერონ უილიამსის თამაშს, რომელმაც შესანიშნავად იცის, როგორ წამოახტუნოს ფანები სკამებიდან.

სხვათა შორის, უილიამსი თურქეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

## არმია

საქართველოს ჩემპიონ „არმიაზე“ ბევრს ვერ ვიტყვით, მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ გუნდში არაერთი კარგი ახალწვეულია: NBA-ს წარმომადგენელი **სანდიატა გეინსი,** რომლიც „ნიუ ჯერსის“ წევრია და საქართველოში ლოკაუტის დასრულებამდე ითამაშებს; გუნდშია პუერტორიკოელი **გილერმო დიასი**; ნორჩოპინგის „დოლფინსის“ მძიმე ფორვარდი **იოაკიმ კიელბომი**; ფორვარდ-ცენტრი **უილ ტომასი** და კარგი მსროლელი **ჯერემი რიჩარდსონი,** რომელიც გასულ სეზონში „ვალენსიას“ ღირსებას იცავდა და ევროლიგის მეოთხედფინალში ხუთი მატჩის ჯამში ასპარეზობას გამოთიშა მადრიდის „რეალი“.

## ლეიდენი

ჰოლანდიელები გასულ სეზონში დაწყებულ მოგებათა სერიის გაგრძელებისთვის ემზადებიან, თუმცა შიდა ჩემპიონატი მთლად ეფექტურად ვერ დაიწყეს (3 მოგება, 2 მარცხი).

„ლეიდენში“ დაბრუნდა **არვინ სლაგთერი,** გამთამაშებელი, რომლმაც სექტემბერში ტრავმა მიიღო. თუმცა სადღეისოდ მწყობრშია და გუნდს ჰოლანდიის ჩემპიონატში ეხმარება.

ასეთივე სიტუაციაშია მძიმე ფორვარდი **პატრიკ ჰილმანი**, რომელმაც მხარის ტრავმა მოიშუშა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

## შიდა ჩემპიონატები

ზედიზედ ორი მოგების შემდეგ „ლეიდენმა“ ჰოლანდიის ჩემპიონატში მდგომარეობა გაიუარესა და 3 მოგების წილ 2 წაგება აქვს.

„გოტინგენმა“ ბუნდესლიგის გახსნით მატჩში მწარე მარცხი იწვნია „ოლდენბურგისგან“. ხუთი ტურის შემდეგ გოტინგენელებს მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვთ.

„ბეშიქთაშმა“ თურქეთის ჩემპიონატი „ბენდირმასთან“ 38-ქულიანი გამარჯვებით გახსნა. მეორე მატჩი კი „კარშიაკასთან“ (ესეც ევროჩელენჯის მონაწილეა) გასვლაზე მოიგო 100:93.

საქართველოს ჩემპიონატში „არმიამ“ პირველი მატჩი ჩაატარა და „დინამო“ დამაჯერებლად დაამარცხა - 90:53.

## ვის იმედად?

„გოტინგენის“ მთავრი მექულე **პარის ჰორნია.** ეს გამთამაშებელი ნიუ იორკის „სენტ ჯონსის“ უნივერსიტეტში გამოიწვრთნა და წლეულს გერმანიის ჩემპიონატის პირველივე ტურში 28 ქულა ჩააგდო (7-დან 5 სამქულიანი).

არმიელმა **უილ ტომასმა** გასულ სეზონში ევროჩელენჯის ფინალურ ოთხეულში ითამაშა. იგი ბელგიის „ოოსტენდეს“ ღირსებას იცავდა და საშუალოდ 12.1 ქულასა და 6.6 მოხსნას აგროვებდა. „ოოსტენდემ“ ევროჩელენჯი მესამე ადგილზე დაასრულა.

„ბეშიქთაშის“ ერთ-ერთი მთავარი მექულე კემპია. ეს მსროლელი ევროთასის საკვალიფიკაციო ეტაპზე საშუალოდ 21 ქულას აგროვებდა, თამაშიდან 33-ჯერ სტყორცნა და 17 ჩააგდო.

ჰოლანდიური „ლეიდენი“ **ჯევონ შეპარდის** იმედზეა. ეს კანადელი ბომბარდირი გასულ წელს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე გამოირჩა. ნაციონალური გუნდის მაისურით იგი მარ დელ პლატაში (არგენტინა) საშუალოდ 9.4 ქულას აგროვებდა. თამაშიდან 46-დან 21 ტყორცნა გამოიყენა. კანადის ნაკრებმა შეჯიბრება მეექვსე ადგილზე დაასრულა.

## იცოდით?

„გოტინგენის“ არენა „ლოკპეილზე“ 2010 წელს ევროჩელენჯის ფინალური ოთხეულის მატჩები ჩატარდა. მას მერე გუნდმა დარბაზი შეიცვალა და დღეს „სპარკასენ-არენაზე“ თამაშობს, რომელიც 3 447 მაყურებელს იტევს.

## ისტორიის თვალით

„ბეშიქთაში“ ევროტურნირებზე ბოლო 14 წელია ზედიზედ თამაშობს. დასკვნითი ორი სეზონი გუნდმა ევროთასზე გაატარა, თუმცა ჯგუფურ ეტაპზე ღირებულ წარმატებას ვერ მიაღწია. საუკეთესო შედეგი „ბეშიქთაშს“ 2005 წელს ჰქონდა, როცა ფიბა-ევროპის ლიგაზე მეოთხედფინალი ითამაშა.

1994-95 წლების სეზონში კორაჩის თასზე თბილისის ასკ გამოვიდა. ეს გუნდი დიდი ხნის შესვენების შემდეგ განახლდა და ევროსარბიელს დაუბრუნდა. კლუბის ქომაგებისთვის ყველაზე დასამახსოვრებელი გასული სეზონი იყო, როცა „არმიამ“ საქართველოს თასი, სუპერთასი და ჩემპიონობა მოიპოვა.

„ლეიდენმა“ გასულ წელს ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო ეტაპზე თურქულ „კარშიაკასთან“ წააგო. თუმცა მას მერე ჰოლანდიის ჩემპიონობა მოიპოვა და წლეულს ევროჩელენჯზე ჯგუფში მოხვდა. კლუბის ისტორიაში საუკეთესო შედეგი სწორედ 2011 წელს მოპოვებული ჰოლანდიის ჩემპიონობა იყო.“

**ვაჟა სიმონიშვილი**



უილიამსი ბეშიქთაშის მაისურით



გოტინგენი



ლეიდენი

მხარდაჭერა

# არმიის ახალი სპონსორი




საკალათბურთო კლუბ "არმიას" გენერალური სპონსორი სასტუმროების საერთაშორისო ქსელი "ჰოლიდეი ინი" გახდა. ამასთან დაკავშირებით დღეს "არმიის" წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს. კლუბის პრესსპიკერმა **გიო ხუციშვილმა** გუნდის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და სასტუმროების ქსელს სპონსორობისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე "ჰოლიდეი ინის" გენერალურმა დირექტორმა **ვალერი ჩიხორიამ** საკალათბურთო კლუბ "არმიას" გვერდში დგომა აღუთქვა და ევროჩელენჯის ტურნირში წარმატებული ასპარეზობა უსურვა.

"არმია" ევროჩელენჯის პირველ თამაშს 8 ნოემბერს გერმანულ "გოტინგენთან" სპორტის სასახლეში ჩაატარებს.

**„არმიის“ პრესსამსახური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან


მარცხნიდან: დავით ზირაქაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი აბუსერიძე და გიორგი ნიჟარაძე

# მწვრთნელთა შტაბი აუცილებლად შეიცვლება

## ჯერ აშშ და კანადა, მერე არგენტინა

ახალი ზელანდიიდან, სადაც ახლახან მსოფლიოს თასის გათამაშება დასრულდა, თბილისში დაბრუნდა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე**, რომელიც „ბორჯღალოსანთა" გამომგზავრების შემდეგ „კივების ქვეყანაში" დარჩა და IRB-ს მაღალჩინოსნებთან და სხვადასხვა ქვეყნის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან საქმიან შეხვედრებს მართავდა. ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ, სავარაუდოდ, მსოფლიოს რაგბის შეჯიბრებათა სტრუქტურებში და თავად ქართულ რაგბიში, ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. თუმცა, უფრო დაწვრილებით ყოველივეს შესახებ რაგბის კავშირის პრეზიდენტი თავად გვიამბობს:

- ისე მოხდა, რომ დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში ოქლენდში, ერთ სასტუმროში მომიწია ცხოვრებამ ელიტური სარაგბო ქვეყნების ხელმძღვანელებთან. ცხადია, ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არაფრით იქნებოდა და უამრავი საქმიანი შეხვედრა გავმართეთ.

საქართველოს ნაკრების თამაშმა ერთმნიშვნელოვნად მაღალი შეფასება დაიმსახურა. ყველა მკაფიოდ აღნიშნავდა ჩვენი გუნდის პროგრესს. IRB-ს მაღალჩინოსნები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ რაგბის კავშირის წვლილს ამ საქმეში და მუდამ იმაზე მიუთითებდნენ, როგორი დამოკიდებულებაა რაგბისადმი ჩვენს ქვეყანაში, რომ სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთად ზრუნავს მის განვითარებაზე. IRB-ს ასამბლეაზე საქართველო დაასახელეს მაგალითად, თუ როგორ შეიძლება წარმატებულად განახორციელო ინვესტიციები.

ყოველივე ეს კარგია, მაგრამ მიმაჩნია, რომ დროზე უნდა დავივიწყოთ და კრიტიკულად მივუდგეთ ჩვენს საქმიანობას, ვიფიქროთ იმაზე, რა შეცდომები დავუშვით.

**- მაინც, რა შეცდომები დაუშვა რაგბის კავშირმა თავის საქმიანობაში?**

- ეს ჯერ კიდევ გასაანალიზებელია. ძალიან ბევრი გვაქვს საფიქრალი, რა გავაკეთეთ სწორად და რა ვერა ნაკრების მზადების პროცესში, საკადრო პოლიტიკაში. ეს აუცილებელია, რათა შემდეგი ოთხი წელიწადი ზუსტად დავგეგმოთ, იგივე შეცდომები რომ არ გავიმეოროთ.

ჩვენი კონკურენტები პროგრესირებენ და ეს პროცესი კიდევ უფრო გაგრძელდება. ჩვენ უნდა მოვახერხოთ მკვეთრი ნახტომით წინ წაწევა და 2015 წლის მსოფლიოს თასზე სულ სხვა მიზნებით და ამბიციებით გავემგზავროთ. ერთი მეტოქის დამარცხება და დანარჩენებთან ღირსეულად თამაში საკმარისი აღარ იქნება.

**- ყველას ძალიან აინტერესებს, შეიცვლება თუ არა სქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბი?**

- მწვრთნელთა შტაბში ცვლილებები აუცილებლად იქნება. გადაწყვეტილებას ახალი წლის დადგომამდე მივიღებთ.

**- ძალიან ბევრი სპეციალისტი ალაპარაკდა ევროპის ექვსი ერის გაფართოების აუცილებლობაზე...**

- ექვსი ერის გათამაშებაში მონაწილეობა არ არის ჩვენი თვითმიზანი. ის დიდხანს არ გაფართოვდება. ექვსი ერი არ ექვემდებარება IRB-ს. ეს არის კომერციული სტრუქტურა, რომელიც საკმაოდ დიდ ფულს იზიდავს.

რეალურად რომ შევხედოთ მდგომარეობას, ჩვენთვის აუცილებელია რაც შეიძლება მეტი ვითამაშოთ მეორე დონის გუნდებთან. ამის თაობაზე სამსჯელოდ იანვარში შევიკრიბებით, სავარაუდოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

თუმცა, უკვე გადაწყვეტილია, რომ 2012 წლის ივნისში საქართველოს ნაკრები ორ შეხვედრას გამართავს სტუმრად აშშ-სა და კანადის ნაკრებებთან. 2013 წლის ივნისში კი, არგენტინის რაგბის კავშირმა დაგვპატიჟა მათთან საასპარეზოდ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს მათი ინიციატივაა, მათთვის ეს არავის დაუვალებია. ტურნე რომ ნაყოფიერი გამოვიდეს, გამორიცხული არ არის, მეზობელ ურუგვაისაც ვეწვიოთ და ამ ქვეყნის ნაკრებსაც ვეთამაშოთ.

ამასთან, აუცილებლად გვექნება ტესტების რამდენიმე თამაში ნოემბერში, თუმცა მეტოქეთა ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის.

**- ნაკრებისთვის დატვირთული სეზონი, ცხადია, კარგია, მაგრამ ივნისში საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერების პრობლემა ისევ ხომ არ იჩენს თავს?**

- დიახ, მაგრამ პრობლემას მოგვარება უნდა. საჭირო იქნება დამატებითი საკმაოდ სერიოზული თანხები, რათა ამ მორაგბეებს კომპენსაციის სახით მოტივაცია გავუჩინოთ.

ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ შემდეგ ოთხ წელიწადში ყველაფერი მიმართული იქნება იქითკენ, რომ ნაკრები მსოფლიოს თასისთვის სრულ მზადყოფნაში იყოს. მუდმივად გაგრძელდება ექსპერიმენტები. აუცილებლად უნდა წამოვწიოთ წინ ახალგაზრდა მორაგბეების ჯგუფი, აუცილებელია ნაკრებში კონკურენცია გაიზარდოს და თუ აქამდე, ნაკრების წევრებს 50 მორაგბიდან ვარჩევდით, ეს რიცხვი ასამდე მაინც უნდა ავწიოთ.

**- IRB-ს მაღალჩინოსნები საქართველოში ვიზიტისას დაგვპირდნენ, რომ მომდევნო ციკლში, საქართველოს რაგბის კავშირს დახმარების ოდენობას გაუზრდიდნენ...**

- ეს ალბათ 2013 წლიდან მოხდება, რადგან სწორედ ამ დროს შეიცვლება ოფიციალურად ჩვენი სტატუსი. საქართველოს რაგბის კავშირი ერთი საფეხურით მაღლა აინაცვლებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშება ფინანსურად მომგებიანი არ აღმოჩნდა. 2007 წელს საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასთან შედარებით თანხა 50-60 მილიონი დოლარით ნაკლები შევიდა. ეს, ცხადია, მომავალ დაფინანსებაზე გავლენას იქონიებს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მუშაობით კმაყოფილნი არიან და, სავარაუდოდ, დაფინანსება 2013 წლიდან მაინც გაგვეზრდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ახალი თაობის წარმომადგენელი

# პირველ მწვრთნელზე ბევრია დამოკიდებული

„აიაში" ბევრი ახალგაზრდა მორაგბეა, რომლებმაც მიმდინარე ჩემპიონატში თავი კარგად გამოიჩინეს. მათ შორისაა 19 წლის მეორეხაზელი **გიორგი ჩიტეიშვილი.** 110 კგ წონისა და 190 სმ სიმაღლის მორაგბე „აიას" სკოლის აღზრდილია და მთავარ გუნდში წლეულს ასაკობრივი გუნდიდან გადაიყვანეს. დღეს სწორედ მას წარმოგიდგენთ.

*„პატარაობისას ძიუდოზე დავდიოდი. ცნობილი მწვრთნელი, ორი ოლიმპიური ჩემპიონის* ***დავით ხახალეიშვილისა*** *და* ***ირაკლი ცირეკიძის*** *აღმზრდელი* ***ომარ მერაბიშვილი*** *მავარჯიშებდა, თუმცა, ძიუდოზე დიდხანს არ მივლია. რაგბის თამაში ქუთაისში, რაგბის სპეციალიზირებულ სკოლაში* ***დავით გორდულაძესთან*** *დავიწყე. პირველ მწვრთნელზე ბევრი რამაა დამოკიდებული. მან რაგბის ანბანი შემასწავლა და სპორტის ეს სახეობა შემაყვარა. შემდეგ* ***ზაზა თხელიძესთან*** *გავაგრძელე ვარჯიში. შრომა არასდროს დამზარებია, საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობდი. გარჯა დამიფასდა და წლეულს ასაკობრივიდან მთავარ გუნდში გამიყვანეს."*

გიორგი ჩიტეიშვილთან ერთად „აიაში" მისი რამდენიმე თანატოლი და თანაგუნდელიც მოხვდა. ახალგაზრდა მორაგბეები ქუთაისურ გუნდს კარგად შეეწყვნენ და მას ახალი ენერგია შესძინეს.

*„აიას" ასაკობრივი გუნდიდან წლეულს ჩემ გარდა* ***ტარიელ ჩხიკვაძე, ლევან თხელიძე, ბექა არაბიძე, გიორგი ცირეკიძე, გიგა კუხიანიძე*** *და* ***ზურაბ ძნელაძე*** *გადმოიყვანეს. ვფიქრობ, რეგულარულ ჩემპიონატში ურიგოდ არ გვიასპარეზია და გუნდის წარმატებაში მცირეოდენი წვლილი ჩვენც შევიტანეთ."*

ახალგაზრდა მორაგბეს ქუთაისურ გუნდში არაერთი გამოცდილი მოთამაშე დახვდა, რომელთა გვერდითაც ოსტატობა დახვეწა და გამოცდილებაც შეიძინა.

*„აია" ძალიან მეგობრული გუნდია, ერთი ოჯახივით ვართ. ვეტერანები ახალგაზრდებს გვერდში გვიდგანან და გამოცდილებას გვიზიარებენ. ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება მინდოდა და ეს მოვახერხე. მწვრთნელები ნდობას მიცხადებენ და მეც ვცდილობ, რომ მათი იმედები გავამართლო. უმაღლეს ლიგაში ეს ჩემი სადებიუტო სეზონია და აქ თამაშით დიდ გამოცდილებასაც ვიღებ.*

გიორგიმ მიმდინარე ჩემპიონატში რამდენიმე მატჩი ჩაატარა და ყველაზე სასიამოვნოდ თბილისში, „ლოკომოტივთან" მოგებული მატჩი დაამახსოვრდა:

*„ასეთ ძლიერ გუნდთან პირველად ვთამაშობდი და ძალიან გამიხარდა, როცა დაძაბულ ბრძოლაში მეტოქეს 21:18 ვძლიეთ. ეს დღე არასდროს დამავიწყდება. გასულ შაბათს „არმიასთან" ჩატარებული მატჩიც დასამახსოვრებელი იყო. მართალია, წავაგეთ, მაგრამ ძალიან საინტერესო თამაში გამოვიდა. თანაც, მატჩს 3000- მდე მაყურებელი დაესწრო, ამდენი გულშემატკივრის წინაშე კი პირველად ვითამაშე".*

გიორგი სამომავლოდ უცხოეთში თამაშზე ფიქრობს და თავისი საოცნებო გუნდიც ჰყავს, თუმცა იქამდე სხვა მიზნები აქვს:

*„ძლიერ უცხოურ კლუბში თამაში ყველა ქართველი მორაგბის ოცნებაა. ჩემი სასურველი გუნდი ფრანგული „მონპელიეა", თუმცა იქამდე საკმაოდ შორია...ჯერ საქართველოს ჩემპიონატში უნდა დავამტკიცო, რომ კარგი რაგბის თამაში შემიძლია. ახლა ყველაზე მეტად „ლოკომოტივთან" მომავალ დაპირისპირებაზე ვფიქრობ. ფინალში გასვლა და ჩემპიონობის მოპოვება გვინდა და ეს უნდა მოვახერხოთ. უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს.*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან


გიორგი ჩიტეიშვილი

● მსოფლიოს თასის ექო

# აურზაური ჰენრის გამო

მსოფლიოს თასის მფლობელის, ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გრემ ჰენრი** თანახმაა, ინგლისის რაგბის კავშირთან ითანამშრომლოს. თუმცა მას არ უთქვამს, რომ „პომების" მთავარი მწვრთნელის **მარტინ ჯონსონის** შეცვლა უნდა.

ბუნებრივია, მსოფლიოს თასზე მიღწეული გამარჯვების შემდეგ ჰენრი დიდების მწვერვალზეა, მაშინ, როცა საფრანგეთის ნაკრებთან მეოთხედფინალში მარცხის გამო ჯონსონს ინგლისში ალმაცერად დაუწყეს ყურება.


გრემ ჰენრი

*„დიახ, მსურს ინგლისის რაგბის კავშირთან თანამშრომლობა. არავის ადგილის დაკავებას არ ვაპირებ. უბრალოდ, მინდა ადამიანებს დავეხმარო.*

*ცხადია, ამაყი ვარ იმით, რასაც „ოლ ბლექსთან" ერთად მივაღწიე, მაგრამ ახლა მინდა მწვრთნელებისა და მოთამაშეების განვითარებაზე, გარემოს დაცვაზე, კულტურაზე და მსგავს თემებზე ვიზრუნო. ეს ძალიან, ძალიან მინდა.*

*ვერაფრით მოვიწონებ იმას, რომ მწვრთნელს მედიისა და გულშემატკივრების ზეწოლის შედეგად, პირველივე წარუმატებლობის შედეგად ცვლიან. მწვრთნელის შეცვლა ხშირად არ არის შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი."* - თქვა გრემ ჰენრიმ „დეილი ტელეგრაფთან" საუბრისას.

ამასობაში კი ახალი ზელანდიის რაგბის კავშირი ჰენრის შემცვლელს ეძებს. სავარაუდოდ კანდიდატი ოცია, თუმცა ორი ყველაზე სასურველი, თავიდანვე გამოირიცხა. უელსის ნაკრების ახალზელანდიელმა თავკაცმა **უორენ გეთლენდმა** ახალი კონტრაქტი 2015 წლის ბოლომდე გააფორმა. „ვოლაბების" მწვრთნელი **რობი დინსი** კი ავსტრალიაში 2013 წლის ბოლომდე რჩება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



# შაკი: თუ დამჭირდა, ბარკლის ტელევიზიიდან გამოვაგდებ...

გასულ კვირას შაკილ ო'ნილი მანჰეტენს ესტუმრა, სადაც კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით წარმოგვიდგინა თავისი საკალათბურთო ნიჭი. ის ფარიდან ხსნიდა ბურთს, კალათში ტენიდა, ჯარიმებს აგდებდა... თანაც ამას ისე კარგად აკეთებდა, რომ ბევრმა იკითხა: ლეგენდარული ცენტრი ლოკაუტის დასრულების შემდეგ NBA-ში დაბრუნებას ხომ არ აპირებსო.

სამწუხაროდ, არა. ეს მხოლოდ ვირტუალური შაკი იყო, რომლის მოქმედებებსაც რეალური შაკი მართავდა. ეს ყველაფერი EA Sports-ის ახალი თამაშის - NBA JAM-ის პრეზენტაციაზე მოხდა. ღონისძიების დასრულების შემდეგ, ტელეარხ TNT-ის ანალიტიკოსი დათანხმდა მცირე ინტერვიუს „ნიუ იორკ თაიმსის" მიმომხილველ ჯო ბრეშიასთან.

**- შაკ, გაკვირვებული ხართ იმით, რომ "ლეიკერსში" თქვენი ყოფილი თანაგუნდელი დერეკ ფიშერი მოთამაშეთა პროფკავშირის პრეზიდენტი გახდა?**

- სულაც არა. ის ყოველთვის გამორჩეული და ჭკვიანი ბიჭი იყო. გონება ძალიან უჭრიდა. და ბუნებრივია, ჩვენზე მეტად ინტელიგენტი გახლდათ. იმედი ვიქონიოთ, დერეკი დაეხმარება ორივე მხარეს კონსენსუსის მიღწევაში და საბოლოოდ, ზავი დაიდება დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

**- რას ფიქრობთ იმ აგენტების სტრატეგიაზე, რომლებიც მოთამაშეთა ინტერესებს წარმოადგენენ?**

- ეს არის სიტუაცია, რომელიც არ შეიძლება არ გაღიზიანებდეს. აგენტებს ყოველთვის ყველაფრის კონტროლი სურდათ. ამიტომაც ვურჩიე ყველა მოთამაშეს თვალი ადევნონ საკუთარ აგენტებს და შეეცადონ გაიგონ, რას აკეთებენ ისინი. მნიშვნელოვანია იცოდნენ – მათი მოქმედება ჯიბის გასქელებას ემსახურება თუ მოთამაშეების კეთილდღეობას.

**- რას ფიქრობთ საერთო მოგების თანაბრად განაწილებაზე, რომელსაც კლუბების მფლობელები სთავაზობენ, მაგრამ მოთამაშეები უარს ამბობენ?**

- სიმართლე გითხრათ, სინამდვილეში რთული გასაგებია, რას ნიშნავს ეს ციფრები.

**- თქვენს თაყვანისმცემლებს აინტერესებთ – დაგითმობთ თუ არა TNT-ზე დროს ჩარლზ ბარკლი?**

- პირდაპირ გეტყვით: მე ვაპირებ საკუთარი საეთერო დროის მიღებას. გადასალებ მოედანზე მათ ისევე მივმართავ, როგორც ამას საკალათბურთო მოედანზე ვაკეთებდი. თუ საჭირო იქნება, ბარკლის ტელევიზიიდან კატასავით გამოვაგდებ.

**- ამბობენ, კობი ბრაიანტი იმის გამო გაკრიტიკებდათ, რომ ვარჯიშებისადმი აგდებული დამოკიდებულება გქონდათ. არ გინდათ რამე უპასუხოთ?**

- არა. მე არ მჭირდებოდა ვარჯიშები. გადახედეთ ჩემს კარიერას – ის თავად მეტყველებს ყველაფერზე. მე NBA-ის ფინალური სერიის სამგზის უძვირფასესი მოთამაშე ვარ.

**- თუ ახალი სეზონი მაინც ჩატარდა, ვინ მიგაჩნიათ ჩემპიონობის პრეტენდენტად?**

- "მაიამი" აუცილებლად შეეცდება რეაბილიტაციას – ისინი კიდევ უფრო ძლიერები იქნებიან. "ბოსტონიც" ბევრს იმუშავებს საკუთარ თავზე. იქაურ "ბებრებს" კიდევ შერჩათ ძალები. "ორლანდოც" და "ლეიკერსიც" ამ სიაში არიან.

**- ვისი თამაში განიჭებთ სიამოვნებას?**

- ჯეიმსის, უეიდის, დურანტის... კალათბურთელი, რომლის თამაშის ცქერა მართლაც ყველაზე მეტად მიყვარს – ბლეიკ გრიფინია.

**- ისევ გსურთ საკუთარი გუნდი გყავდეთ?**

- დიახ. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა ამ გუნდს ნიუარკში გადავიყვან. ჯერ არ მილაპარაკია მერთან ამის შესახებ, მაგრამ ვმუშაობ ამ საკითხზე (იცინის). ვიცი, რომ ნიუარკს შეუძლია NBA-ის გუნდის შენახვა, ამიტომაც მინდა ერთ-ერთი ვიყო იმათგან, ვინც ამ ქალაქს გააბედნიერებს.

**- სამართალდამცავ ორგანოებში თქვენი კარიერა არ შედგა?**

- ვაპირებ ვიბრძოლო ფლორიდას შტატში ლეიკ ქაუნთის შერიფის თანაშემწის პოსტის დასაკავებლად.

**- ფიქრობთ, კალათბურთი რომ არ აგერჩიათ, სამართალდამცავი გახდებოდით და ამ გზას გაყვებოდით?**

- დიახ. სავარაუდოდ, გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტი გავხდებოდი.

**- კალათბურთელის კარიერიდან რომელია ყველაზე სასიამოვნო მოგონება?**

- ასეთი მომენტი არ არსებობს, რადგან თითქმის ყოველთვის სიამოვნებას ვიღებდი ცხოვრებისგან.

**- ყველაზე უარესი მოგონება?**

- "დეტროიტთან" წაგება 2004 წლის ფინალში ("ლეიკერსმა" 1:4 დათმო "პისტონზთან" ფინალური სერია).

**- ნანობთ თუ არა რამეს?**

- არა. ოღონდ, მცირედით მწყინს ის ფაქტი, რომ ტრავმის გამო 200-ზე მეტი შეხვედრა გამოვტოვე.

**- ამჟამად რა კომპოზიციები გაქვთ ჩატვირთული თქვენს iPod-ში?**

- ლილ უეინი, ჯეი ზი და კენი უესტი.

# ლოკაუტი სრულდება?

## გუშინდელი 15-საათიანი მოლაპარაკებები ეფექტური ყოფილა

გუშინ, ოკეანის გაღმა NBA-ის კლუბების მფლობელთა და მოთამაშეთა პროფკავშირის მორიგი შეხვედრა გაიმართა. რამდენიმე ამერიკული ინტერნეტ-გამოცემა იუწყება, რომ ამჯერად, დაპირისპირებულმა მხარეებმა მოპარაკებებისას შესამჩნევ პროგრესს მიაღწიეს, CBS Sports კი პირდაპირ წერს, რომ ლიგა და პროფკავშირი ძალიან მიუახლოვდნენ ახალ კორექტიურ ხელშეკრულებაზე ხელმოწერას.




იტყობინებიან, რომ მფლობელები, შესაძლოა, დათანხმდნენ საერთო შემოსავლიდან მოთამაშეებისთვის 51.5 პროცენტის დათმობაზე. ასევე მოგვარებადი ჩანს სხვა სისტემური საკითხები.

*„დღეს მხარეებმა მოლაპარაკებების პროცესში უდიდეს პროგრესს მიაღწიეს. კვირის ბოლოს, კლუბების მფლობელებსა და მოთამაშეთა პროფკავშირს შეეძლებათ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება"*, - ამბობს Sports Illustrated-თან კომენტარში მოლაპარაკებების ერთ-ერთი მონაწილე.

მოგვიანებით შეხვედრის შედეგებზე მხარეების ლიდერებმაც ილაპარაკეს.

*„ვერ ვიტყვით, რომ ძალიან შესამჩნევ პროგრესს მივაღწიეთ, მაგრამ გარკვეულწილად წინ წავიწიეთ სისტემური პრობლემების მოგვარებაში"*, - განაცხადა პროფკავშირების პრეზიდენტმა **დერეკ ფიშერმა**.

*„ეჭვგარეშეა, რომ ეს შეხვედრა უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე წინა. სერიოზულ პროგრესს მივაღწიეთ უმიშვნელოვანეს საკითხებში"*, - ასეთი კომენტარი მისცა გუშინდელ 15-საათიან მოლაპარაკებებს NBA-ის კომისრის თანაშემწემ **ადამ სილვერმა**.

თავად ლიგის კომისარი **დევიდ სტერნი** პოზიტიური ტენდენციების გამო სიხარულს არ ჩქარობს: *„სანამ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას ხელს არ მოვაწერთ, კომპრომისზე ლაპარაკი ნაადრევად მეჩვენება. არ შემიძლია შევაფასო, რამდენად წინ წავიწიეთ მოლაპარაკებების პროცესში"*.

# ტურნე კვირას იწყება



ლებრონ ჯეიმსი

ცნობილი გახდა NBA-ის ვარსკვლავების მიერ დაგეგმილი ექვსმატჩიანი მსოფლიო ტურნეს დეტალების შესახებ. რაც მთავარია, გაირკვა იმ მოთამაშეების სრული სია, რომლებიც ამ ტურნეში მიიღებენ მონაწილეობას.

ესენი არიან: **კობი ბრაიანტი, დუაიტ ჰოვარდი, დუეინ უეიდი, კევინ დურანტი, კრის ბოში, ბლეიკ გრიფინი, პოლ პირსი, კევინ ლავი, ამარე სტაუდმაიერი, კრის პოლი, კევინ გარნეტი, ტაისონ ჩენდლერი, რაჟონ რონდო** და **კრის კამანი**.

პირველი საჩვენებელი შეხვედრა 30 ოქტომბერს პუერტო რიკოს დედაქალაქ სან ხუანში გაიმართება. შემდეგ ორ მატჩს პირველ და სამ ნოემბერს ლონდონის „O2-არენა" უმასპინძლებს. შემდეგ ვარსკვლავები ჩინეთში გადაინაცვლებენ და 6 ნოემბერს მაკაოში ითამაშებენ. ტურნე კი ავსტრალიის ქალაქ მელბურნში 8 და 9 ნოემბერს დაგეგმილი ორი მატჩით დასრულდება.

როგორც ხედავთ, სიაში არ არიან ლებრონ ჯეიმსი და კარმელო ენტონი, რომლებმაც ადრე თანხმობა განაცხადეს ტურნეში მონაწილეობაზე. ვარაუდობენ, რომ მათ ლოკაუტის პერიოდში ოჯახთან უფრო მეტი დროის გატარება გადაწყვიტეს, აგრეთვე იმედი აქვთ, რომ ლოკაუტი მალე დასრულდება.

უფრო ადრე ტურნეში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს **დერიკ როუზმა** და **რასელ უესტბრუკმა**.

# ალენს NBA უნდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანმა ვარსკვლავმა ალენ აივერსონმა NBA-ში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. ის აცხადებს, რომ მზად არის ლიგის ნებისმიერ გუნდში თამაშზე. გარდა ამისა, ალენმა თავის კომენტარში ბოლო წლებში სუსტი გამოსვლის მიზეზებიც დაასახელა.


ალენ აივერსონი

*„ამაში ჩემი ბრალი არაფერია. ჩემი გოგონა სერიოზულად იყო ავად, თან ძალიან განვიცდიდი მეუღლესთან გაყრას. ფსიქოლოგიურად მზად არ ვიყავი სათამაშოდ. ბოლო ორი წელი ძალიან რთული იყო ჩემთვის. ახლა კი მზად ვარ დასაბრუნებლად. ნებისმიერ გუნდში ვისურვებდი თამაშს"*, - ამბობს აივერსონი Yahoo! Sports-თან ინტერვიუში.

■ ■ ■

ამასობაში, ბოლონიას „ვირტუსს" კიდევ ერთმა ვარსკვლავმა უთხრა უარი კონტრაქტზე. იტალიურმა კლუბმა ვერ შეძლო **კობი ბრაიანტის** გადაბირება, გუშინ კი მისმა ყოფილმა წევრმა, **მანუ ჯინობილიმ** შეუთვალა უარი.

არგენტინელი ამჟამად სამშობლოში იმყოფება და 11 ნოემბერს გაემგზავრება სან ანტონიოში, სადაც სათამაშო ფორმის შესანარჩუნებლად თანაგუნდელებთან - **ტიმ დანკანთან** და **ტიაგო სპლიტერთან** ერთად ივარჯიშებს.

# ლიტვამ განაცხადი შეიტანა

ლიტვის კალათბურთის ფედერაციამ ოფიციალური განაცხადი შეიტანა FIBA-ში მომავალ ზაფხულს ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირის მასპინძლობის მისაღებად. შეგახსენებთ, რომ ამ შეჯიბრებაში 12 გუნდი ოლიმპიადის ბოლოს სამი საგზურისთვის იბრძოლებს. ტურნირი 2012 წლის 2-8 ივნისს ერთ-ერთი მონაწილის მოედანზე უნდა გაიმართოს.

ლიტვის გარდა, კვალიფიკაციის ჩატარების სურვილი გამოთქვეს რუსეთმა, მაკედონიამ, პუერტო რიკომ და ვენესუელამ. განაცხადების მიღების ვადა 31 ოქტომბერს იწურება. იმ ქვეყანამ, რომელიც ტურნირის მასპინძლობის უფლებას მიიღებს, საერთაშორისო ფედერაციას 4 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს, აგრეთვე უზრუნველყოს 12 მონაწილე გუნდის ცხოვრება, კვება და ტრანსპორტირება. ასევე მის ხარჯზეა მსაჯების მომსახურება და სხვა საორგანიზაციო საკითხები.

ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირის ადგილი 10-11 დეკემბერს FIBA-ის კონგრესზე გაირკვევა. კვალიფიკაციაში მონაწილეობენ: მაკედონია, ლიტვა, რუსეთი, საბერძნეთი, დომინიკის რესპუბლიკა, პუერტო რიკო, ვენესუელა, ახალი ზელანდია, ანგოლა, ნიგერია, იორდანია და კორეა.

ოლიმპიადაზე მონაწილეობა უკვე გარანტირებული აქვთ: ბრიტანეთს, აშშ-ს, ესპანეთს, საფრანგეთს, არგენტინას, ბრაზილიას, ავსტრალიას, ტუნისსა და ჩინეთს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური

### A ჯგუფი

**ქ. ლაბორალი–კანტუ 81:69**

26:27, 18:17, 17:15, 20:10

კ-ლ: ტელეტოვიჩი (22), ბიელიცა (17), ერტელი (11), სერაფინი (10+7 მოხსნა).

კ: მიჩოვი (14+5 პასი), შეკიჩი (13), შერმადინი (11+5 მოხსნა), მაცარინო (9).

### B ჯგუფი

**ცსკა–ბამბერგი 94:74**

24:14, 23:16, 24:22, 23:22

ც: კრსტიჩი (19), ვორონცევიჩი (13+5 მოხსნა), კირილენკო (12+6 პასი), გორდონი (9), კაუნი (9), ტეოდოშიჩი (8+4 პასი).

ბ: პლიაისი (17), ჯენკინსი (15), ტაკერი (10+6 მოხსნა), რობერტსი (9), სუპუტი (8).

**ზაგრები–პანათინაიკოსი 62:81**

14:24, 8:21, 11:16, 29:20

ზ: მეი (23+9 მოხსნა), მულაომეროვიჩი (15), პანჩიჩი (6).

პ: სატო (13+7 მოხსნა), კალატესი (12+6 მოხსნა), სმიტი (12), ბატისტი (10), იასიკიავიჩიუსი (8), ლოგანი (8).

### C ჯგუფი

**ეფესი–შარლერუა 79:80**

15:24, 17:14, 24:22, 23:20

ე: ილიასოვა (21+6 მოხსნა), კინსი (14+6 მოხსნა), ვუიაჩიჩი (12+6 მოხსნა), ბარაცი (11), კუკო (10), ილიევსკი (9+8 პასი).

შ: გრინი (18), მალეტი (14+5 მოხსნა), ბეგინი (13), ჰემილტონი (12+7 პასი), შენგელია (8+8 მოხსნა+4 პასი).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# მონრეალმა ნავსი გატეხა



მონრეალი-ფილადელფია

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სამი მატჩი გაიმართა, სამივე კანადის ტერიტორიაზე. „მონრეალ კანადიენსმა", როგორც იქნა, შეწყვიტა წაგებათა სერია, რომელიც ექვს მატჩს უდრიდა. კანადურმა კლუბმა ბოლო 70 წლის განმავლობაში ყველაზე უარესი სტარტი აილო - რვა მატჩში მხოლოდ ერთი მოგება ჰქონდა.

„მონრეალმა" ნავსი ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ გატეხა - „ფილადელფია" ამ შეხვედრას რვიდან ხუთი მოგებით შეხვდა. ანგარიშიც სწორედ სტუმრებმა გახსნეს - ჩეხმა ვეტერანმა **იარომირ იაგრმა** ბოლო ორ მატჩში მესამე გოლი გაიტანა და „ფილადელფია" დააწინაურა.

ამის შემდეგ გოლებს მხოლოდ მონრეალელები იტანდნენ. გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი ახალგაზრდა **მაქს პასიორეტიმ** შეიტანა, რომელმაც დუბლი გაიფორმა და ერთი შედეგიანი პასი შეასრულა. გარდა ამისა, „ფილადელფიას" განადგურებაში მონაწილეობა მიიღეს **კამალერიმ, კოსტიცინმა** და **უებერმა**. ორ-ორი საგოლე პასი ჩაიწერეს აქტივში **ჯოშ ჯორჯესმა** და **დავიდ დეშარნემ**.

„კოლორადო ეველანში" ალბერის პროვინციას ეწვია და თანადივიზიონელ მტერს „კალგარი ფლეიმზს" დაუპირისპირდა. შარშან, კანადური კლუბი ექვსჯერ შეხვდა „კოლორადოს" და ხუთჯერ მოუგო, თანაც ერთ-ერთი „ეველანშის" ისტორიაში შევიდა, როგორც ანტირეკორდი, რადგან „ზვავებმა" რვაშაიბიანი სხვაობით წაგება მოახერხეს - 1:9. ასე რომ, სტუმრები ორმაგი მოტივაციით გადიოდნენ ყინულზე. მოტივაცია "კალგარისაც" ჰქონდა, რომელმაც "მონრეალის" მსგავსად ჩააგდო სეზონის სტარტი და ახალი ლიდერების დაწევას ცდილობს.

მასპინძლები არ დააფრთხო პირველმა გაშვებულმა გოლმა და **რენე ბურკის** დუბლისა და ახალბედა **რომან ჰორაკის** წარმატებული თამაშის წყალობით შეწყვიტეს "კოლორადოს" სტუმრად ექვსმატჩიანი მოგებათა სერია.

ერთადერთი კანადური კლუბი, რომელმაც იმ საღამოს ვერ მოიგო, სტენლის თასის შარშანდელი ფინალისტი "ვანკუვერ კენაქსი" იყო. მან შინ 0:3 წააგო "სენტ ლუისთან", რომლისთვისაც ეს იყო ზედიზედ მესამე გამარჯვება. შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **ალექსანდრ სტინმა**, რომელმაც დუბლი ჩაიწერა აქტივში. ორი საგოლე პასი მოდის **კევინ შატენკირიკის** ანგარიშზე.

არ დავივიწყოთ მეკარეების თამაში: **იაროსლავ ჰალაკის** შემცვლელმა **ბრაიან ელიოტმა** 32 დარტყმა მოიგერია და კარიერაში მეათე "შატაუტი" შეასრულა. სხვათა შორის ეს ელიოტის მეოთხე მოგებაა სეზონში. ცუდად არც **რობერტო ლუონგოს** დუბლიორს **კორი შნაიდერს** უთამაშია – მან 28 დარტყმა მოიგერია, მაგრამ თავისი გუნდი მაინც ვერ გადაარჩინა.

**მონრეალი-ფილადელფია 5:1**

1:1, 2:0, 2:0

**გოლები:** 0:1 იაგრი-3 (მ. კარლი-4, ჰარტნელი-4), 1:1 ი.უებერი-2 (დეშარნე-3), 2:1 ა. კოსტიცინი-3 (შპაჩეკი-1, პასიორეტი-5), 3:1 პასიორეტი-3 (ჯორჯესი-4, სუბანი-3), 4:1 პასიორეტი-4 (პლეკანეცი-4, ჯორჯესი-5), 5:1 კამალერი-3 (დეშარნე-4, ე. კოული-2).

**კალგარი-კოლორადო 4:2**

1:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ქუინსი-2 (პ. შჩასტნი-5, ე. ჯონსონი-6), 1:1 ჰორაკი-1 (ტანგეი-7, იგინლა-2), 2:1 სტემპნიაკი-1 (ჰორაკი-2, ჰაგმანი-3), 3:1 რ. ბურკი-4 (ბაბჩუკი-2, ბოუმისტერი-2), 3:2 რაიან უილსონი-1 (ლანდესკოგი-2, ვინიკი-2), 4:2 რ. ბურკი-5 (ო. იოკინენი-5, მოსი-2).

**ვანკუვერი-სენტ ლუისი 0:3**

0:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 სტინი-4 (შატენკირკი-3, არნოტი-5), 0:2 სტინი-5 (დ'აგოსტინი-2, ბეკსი-2), 0:3 ბერგლუნდი-3 (შატენკირკი-4, ოში-4).

ფიგურული სრიალი

# ისტორიული ნახტომი



ბრენდონ მროზი

პირველად ფიგურული სრიალის ისტორიაში სპორტსმენს ჩაუთვალეს ნახტომი – ოთხმაგი ლუტცი, რომელიც ოფიციალურ ტურნირზე შესრულდა. მისი ავტორი გახდა ამერიკელი **ბრენდონ მროზი**, ვინც ოთხმაგი ლუტცი 16 სექტემბერს, ამერიკულ კოლორადო-სპრინგში გამართულ ტურნირზე შეასრულა – წერს მოციგურავეთა საერთაშორისო საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი. ამასთან არ ზუსტდება, რატომ ჩაუთვალეს მხოლოდ თვენახევრის შემდეგ მროზს ეს ნახტომი.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ტურნირებზე რეგულარულად ასრულებენ ოთხმაგ ნახტომებს, თუმცა 16 სექტემბრამდე ოთხმაგი ლუტცი არავის გამოსვლია. ამ ნახტომის შესრულებას ცდილობდნენ ამერიკელი **მაიკლ ვაისი** და რუსი **ევგენი პლიუშჩენკო**, მაგრამ არ გამოუვიდათ. დღეისთვის ვარჯიშებზე ამ ილეთს სტაბილურად იყენებს რუსი **ვლადისლავ სეზგანოვი**, თუმცა ოფიციალურ ტურნირებზე მისთვის არ მიუმართავს.

20 წლის მროზი 2009 წელს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა და იქ მეცხრე ადგილი დაიკავა. "უფროსების" კატეგორიაში გადასვლამდე მას იუნიორთა ბევრი გრანპრი აქვს მოგებული.

ამბები

ჰოკეი

## ახალბედა შინ დააბრუნეს

"ოტავა სენატორზის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, შვედეთში დააბრუნოს წლევანდელ დრაფტში მეექვსე ნომრად არჩეული ფორვარდი **მიკა ზიბანეჯადი**. კანადური კლუბის შეფების აზრით, ეს მოთამაშე ჯერ არ არის მზად ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სათამაშოდ, ამიტომაც უმჯობესი იქნება თუ ერთ წელს შინ ითამაშებს და შემდეგ დაბრუნდება კანადაში.

*"ჩვენ ეს ნაბიჯი გამართლებულად მიგვაჩნია. მიკას მომავალი განვითარებისთვის შინ დაბრუნება ოპტიმალური ვარიანტი იქნება. მას შვედეთში ვაგზავნით, რათა პროგრესი გააგრძელოს და შემდეგ პირველი ან მეორე შემტევი სამეულის წევრობისთვის იბრძოლოს.*

*NHL-ის პირველ მატჩებში ზიბანეჯადი ცდილობდა არ დაეშვა შეცდომები, ამიტომაც ავიწყდებოდა მეტოქის კართან შემოქმედებითი თამაში"*, - მიაჩნია "ოტავას" გენერალურ მენეჯერს **ბრაიან მიურეის**.

შვედმა ფორვარდმა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ცხრა მატჩის გამართვა მოასწრო და მხოლოდ ერთი შედეგიანი პასი მიითვალა.

ჩოგბურთი

## ჩელენჯერის რჩეულები

სეზონის შემაჯამებელი ტურნირი მხოლოდ ATP-ის ტურში არ ტარდება. ანალოგიური შეჯიბრება ე. წ. „ჩელენჯერის" სერიაშიც იმართება და გუშინ ცნობილი გახდა იმ ჩოგბურთელთა გვარები, რომლებიც წლის მთავარ ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

ამ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს: პორტუგალიელმა **რუი მაშადომ**, სლოვაკმა **მარტინ კრიჟანმა**, ისრაელელმა **დუდი სელამ**, ამერიკელმა **ბობი რეინოლდსმა**, გერმანელებმა **მატიას ბახინგერმა, ანდრეას ბეკმა** და **სედრიკ-მარსელ შტებემ**. ტურნირის ბოლო, მერვე მონაწილე გახდა ბრაზილიელი **ტომაშ ბელუჩი**, რომელმაც უაილდ ქარდი მიიღო.

ტურნირი 16-20 ნოემბერს ბრაზილიის ქალაქ სან პაულუში გაიმართება. საპრიზო ფონდი 220 ათას დოლარს უდრის.

## ისინი ფინალში ითამაშებენ

ფედერაციის თასზე რუსეთის ქალთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა იმ ჩოგბურთელთა გვარები დაასახელა, რომლებიც 2011 წლის 5-6 ნოემბერს, მოსკოვში ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ ფინალურ მატჩში მიიღებენ მონაწილეობას.

რუსების კაპიტანმა შამილ ტარპიშჩევმა სეზონის გადამწყვეტი მატჩისთვის ნაკრებში გამოიძახა მსოფლიოს მეექვსე ჩოგანი **ვერა ზვონარევა, ანასტასია პავლიუჩენკოვა** (15), **სვეტლანა კუზნეცოვა** (19) და **მარია კირილენკო** (27).

რუსეთი და ჩეხეთი ფედერაციის თასის ისტორიაში მეხუთედ შეხვდებიან ერთმანეთს. ამ მომენტისთვის ანგარიში საყაიმოა – 2:2.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2012** | |
| **UNDER 17** | |
| ბელგია-აზერბაიჯანი | 1:0 |
| უკრაინა-ხორვატია | 0:1 |
| **იტალია** | |
| პალერმო-ლეჩე | 2:0 |
| **ესპანეთი** | |
| ესპანიოლი-ბეტისი | 1:0 |
| ბილბაო-ატლეტიკო | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კარტახენა-დეპორტივო | 2:1 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| დორდრეხტი-ალკმაარი | 2:3 |
| ნიიმეგენი-ვოლენდამი | 1:0 |
| იგლზი-ფეიენოორდი | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ბელენენსეში-ჟილ ვისენტე | 2:1 |
| **დანიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ნორდსილანდი-მიდტიულანდი | 1:0 |
| როსკილდე-კიოგე | 0:0 დ.დ. 1:2 |
| ბრონდბიუ-კოპენჰაგენი | 0:3 |
| **ნორვეგია** | |
| ოლესუნდი-სტაბეკი | 2:0 |
| **შვედეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| ანგელჰოლმი-სირიანსკა | 2:1 |
| **შვეიცარია** | |
| ლუცერნი-ლოზანა | 2:0 |
| ქსამაქსი-იანგ ბოიზი | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| გენჩლერი-ქაისერი | 1:0 |
| შივასი-მერსინი | 1:0 |
| ბეშიქთაში-ფენერბაჰჩე | 2:2 |
| მანისა-ანკარაგიუჯუ | 2:0 |
| **რუსეთი** | |
| ზენიტი-ვოლგა | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| გაზოვიკი-შინიკი | 1:2 |
| ურალი-დინამო (ბრ) | 0:0 |
| ალანია-ლუჩ ენერგია | 1:0 |
| გაზპრომი-სკა ენერგია | 2:0 |
| ჩერნომორეცი-ენისეი | 1:1 |
| ფაკელი-ტორპედო (ვ) | 2:1 |
| ხიმკი-ნ. ნოვგოროდი | 1:2 |
| ტორპედო (მ)-მორდოვია | 1:1 |
| ბალტიკა-კამაზ | 0:1 |
| **ბულგარეთი** | |
| ლოკომოტივი (პ)-ჩერნო მორე | 1:0 |
| ვიდიმა-სვეტკავიცა | 1:0 |
| ჩერნომორეცი-მინიორი | 1:0 |
| კალიაკრა-ბოტევი | 0:0 |
| **ბელორუსია** | |
| ბატე-ვიტებსკი | 2:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| **კაცები** | |
| გალათასარაი-უნიქს | 64:68 |
| მონტეპასკი-ოლიმპია | 79:57 |
| ბარსელონა-პროკომი | 88:61 |
| ნანსი-ბილბაო | 87:73 |
| ოლიმპიაკოსი-ფენერბაჰჩე | 81:74 |
| რეალი-მილანი | 85:78 |
| მაკაბი-პარტიზანი | 70:66 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავტომობილისტი-სიბირი | 0:2 |
| ბარისი-მეტალურგი (ნ) | 3:1 |
| ტრაქტორი-ამური | 3:1 |
| ტორპედო-დინამო (რ) | 3:2 (ბ) |
| დინამო (მ)-ცსკა | 2:0 |
| ლევ პოპრადი-სკა | 0:4 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ფრედრიკშავნი | 1:2 |
| ოლბორგი-ოდენსე | 2:3 (ო) |
| ჰერლევი-სონდერიისკი | 0:7 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვანი-ტრენჩინი | 3:0 |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-საიპა | 5:2 |
| ჰპკ-ჰიფკ | 1:2 |
| ბლუზი-კალპა | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| კლადნო-ზლინი | 1:0 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-მოდო | 3:2 (ბ) |
| ტიმრა-აიკ | 3:4 (ბ) |
| ფრიოლუნდა-ბრინასი | 5:1 |
| შელეფტეო-ფერიესტადი | 2:3 (ბ) |
| იურგორდენი-ჰვ71 | 2:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. სტ. პეტერბურგი** | |
| ბოგომოლოვი-კოლშრაიბერი | 6:4, 3:6, 7:5 |
| სელა-**ლაიოვიჩი** | 6:2, 2:6, 1:6 |
| ტურსუნოვი-**სტარაჩე** | 2:6, 4:6 |
| **ჩილიჩი**-დევარმანი | 5:7, 6:1, 6:3 |
| **ტიპსარევიჩი**-ბერერი | 6:3, 2:0 უარი |
| **სეპი**-ანდრეევი | 6:3, 6:0 |
| **ATP. ვენა** | |
| **ჰაასი**-ბედენე | 4:6, 6:4, 6:1 |
| შტეპანეკი-**ბრანდსი** | 4:6, 6:7 |
| ტიმი-**დარცისი** | 2:6, 2:6 |
| **მალისე**-ფონინი | 6:7, 6:3, 6:3 |
| გარსია ლოპესი-**მელცერი** | 5:7, 1:6 |
| **ცონგა**-ნიემინენი | 3:6, 6:1, 3:1 უარი |
| **WTA. სტამბოლი** | |
| **აზარენკა**-ნა ლი | 6:2, 6:2 |
| **კვიტოვა**-ვოზნიაცკი | 6:4, 6:2 |
| ზვონარევა-**ა. რადვანსკა** | 6:1, 2:6, 5:7 |

TV პროგრამა

**28 ოქტომბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. X ტური. ბილბაო-ატლეტიკო.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. IX ტური. პალერმო-ლეჩე.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. X ტური. აიაქსი-ფეინორდი.
**16:00** ესპანეთის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
**17:00** იტალიის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ესპანეთის ჩემპიონატი. X ტური. რეალი-ვილიარეალი.
**21:00** გადაცემა - გოლი.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. ფრაიბურგი-ლევერკუზენი (LIVE).
**00:30** იტალიის ჩემპიონატი. X ტურის წინ
**00:01** ესპანეთის ჩემპიონატი. XI ტურის წინ
**01:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტურის წინ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-ინტერი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ოკლაჰომა-დენვერი.
**13:50** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**15:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-რომა.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ცურვა. მსოფლიოს თასი. ბერლინი. გერმანია.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:40** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ოკლაჰომა-დენვერი.
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
**12:10** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**13:00** ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. 1/8 ფინალი. ვულვერჰემპტონი-მანჩესტერ სიტი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ვენა. ავსტრია.
**22:30** ცურვა. მსოფლიოს თასი. ბერლინი. გერმანია.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**17:40** რუსეთის ჩემპიონატი (LIVE).
**22:25** გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ლევერკუზენი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**16:40** რუსეთის ჩემპიონატი. რუბინი-როსტოვი (LIVE).
**19:00** რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-ნალჩიკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:15** ATP-ის ტური. სანკტ-პეტერბურგი. 1/4 ფინალი. რუსეთი (LIVE).
**18:00** WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).

**SPORT+**

**16:40** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. რუბინი-როსტოვი (LIVE).
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. სანკტ პეტებურგი. რუსეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**18:00** ჩოგბურთი. WTA-ის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**12:00** ამერიკული ფეხბურთი. NCAA. ნორთვესტერნი-პენსილვანია (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი


შუმახერი და ფეტელი

# ვარსკვლავები ბოლოდროინდელ ტრაგედიებზე

ფორმულა 1-ის წამყვანი პილოტების თქმით, **დენ უელდონისა** და **მარკო სიმონჩელის** ტრაგიკული დაღუპვის მიუხედავად, რბოლებისადმი მათი სიყვარული არ განელდება. თუმცა ისინი აღიარებენ, რომ ბოლო ორი კვირა მათი სპორტისთვის ძალიან ნაღვლიანი იყო.

*„ბოლო ორი კვირა საშინელი იყო ავტომოტოსპორტისთვის,* - მიაჩნია **სებასტიან ფეტელს**. - *დენ უელდონის ავარიაზე მაშინვე შევიტყვე, როგორც კი კორეიდან დავბრუნდი. გასულ კვირას კი შინ ვიყავი, ტელევიზორში ვუყურებდი მოტოგრანპრის რბოლას და ვიხილე მარკოს ავარია.*

*ახლო მეგობრები არ ვყოფილვართ, მაგრამ ვიცნობდი. წელს გავიცანით ერთმანეთი. ძალიან რთული იყო მისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ლოდინი, რადგან ცნობილია: თუ მოლოდინი იწელება, ეს ცუდის ნიშანია.*

*ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად რისკზე მივდივართ, როცა ავტომობილის ან ველოსიპედის საჭესთან ვჯდებით. მაგრამ ჩვენ გვიყვარს რბოლები და ყოველთვის იმედი გვაქვს, რომ არაფერი მოხდება.*

*გვიყვარს საქმე, რომელსაც ვაკეთებთ და მზად ვართ გარკვეულ რისკზე წავიდეთ, მაგრამ ჩემი აზრით, უნდა ვიზრუნოთ უსაფრთხოების ამაღლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკას დაგვიწყებენ ზედმეტად უსაფრთხო ბოლიდების გამო. დაუშვებელია რბოლების დროს არსებობდეს ისეთი პირობები, როგორიც ინდიკარში ან მოტოგრანპრიში არსებობს.*

*იმედი ვიქონიოთ, რომ მსგავსი არაფერი მოხდება, მაგრამ ვიცით, რომ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება".*

**ლუის ჰემილტონმა** განაცხადა, რომ ამასწინდელმა ტრაგედიამ მხოლოდ გაამძაფრა ის ნაღვლიანი გრძნობა, რაც წლის დასაწყისში ჰქონდა კარტინგში მისი ყოფილი მწვრთნელის **მარტინ ჰაინსის** გარდაცვალების გამო.

*„ბოლო რამდენიმე თვე მართლაც ტრაგიკული იყო,* - განაცხადა ლუისმა. - *მოწმენი გავხდით კრისტიან ბაკერუდის დაღუპვის, რომელიც შესანიშნავი პილოტი იყო. ახლა კიდევ ორი მრბოლელი დავკარგეთ... ასევე გარდაიცვალა მარტინ ჰაინსი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ჩვენს სპორტში და მე პილოტად ჩამოყალიბებაში დამეხმარა.*

*ჩემი აზრით, როცა ასეთი რამ ხდება, ფიქრობ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებზე. არ მახსენდება, რომ ფორმულა 1-ში გადასვლის შემდეგ მარტინისთვის მადლობის თქმის საშუალება მქონოდა. დროულად უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ მადლობა ვუთხრათ ადამიანებს, რომლებიც ჩვენთვის ძვირფასები არიან".*

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** მიიჩნევს, რომ ფორმულა 1 ვერ გახდება აბსოლუტურად უსაფრთხო და როცა ავარია ხდება, ბევრი რამ იღბალზეა დამოკიდებული: *„რბოლებში გამოსვლისას ხიფათზე არ ვფიქრობთ. პირველ რიგში, გვიყვარს მანქანის მაქსიმალურ სიჩქარეზე აყვანა. სწორედ ამისკენ ვისწრაფვით.*

*ჩემი აზრით, ცხოვრების არც ერთ სფეროში არ არის შესაძლებელი სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გეთანხმებით, რომ რბოლებში რისკი უფრო მაღალია, ხოლო ის სისწრაფე, რაც ფორმულა 1-შია, ალბათ, არც ერთ სხვა სერიაში არ არსებობს.*

*მიუხედავად ამისა, უსაფრთხოების დონე შესამჩნევად ამაღლდა. თუ ახალ ავტოდრომებს გადავხედავთ, შევამჩნევთ გავარდნის ფართო ზონებს, რომელიც უმაღლეს სტანდარტებს აკმაყოფილებს. და თუ რაიმე მაინც მოხდება, ეს ბედის ბრალი იქნება. ადრე თუ გვიან, ყველას მოგვიწევს ბედთან შეხვედრა.*

*ბუნებრივია, ძალიან ამაღელვა იმან, რაც ბოლო ორ კვირას დაღუპულ პილოტებს შეემთხვათ, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთია ცხოვრება".*

ბობსლეი

# სახიფათო სპორტი

გერმანიის ქალაქ ვინტერბერგში ბობსლეიში ვარჯიშის დროს ხერხემლის მოტეხილობა მიიღო ბრიტანელმა ქალმა ბობსლეისტმა **სერიტა შოუნმა**. სპორტსმენი ადგილობრივ კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც მას ოპერაცია გაუკეთეს. შოუნის მდგომარეობა მძიმე, მაგრამ სტაბილურია.

ავარიის გარემოებების შესახებ არაფერია ცნობილი. შოუნი ორადგილიანი ეკიპაჟის წევრია, რომლის მესაჭე **ფიონა ჰარისონი** გახლავთ. ამ უკანასკნელმა თავის ტრავმა მიიღო და ისიც საავადმყოფოშია მოთავსებული. მისი მდგომარეობა ნაკლებად მძიმეა.

ვინტერბერგში ბობსლეისტები ბრიტანეთის ჩემპიონატისთვის ემზადებოდნენ, რომელიც სწორედ ამ ქალაქში დღეს იწყება.

22 წლის შოუნი ადრე შვიდჭიდში გამოდიოდა, მაგრამ ბობსლეიში გადავიდა. 2011-12 წლების სეზონში ის ევროპის თასზე უნდა გამოსულიყო, სეზონის ბოლოს კი მსოფლიოს თასის ეტაპზე ასპარეზობა ჰქონდა ჩაფიქრებული. 25 ოქტომბერს მან თავის „ტვიტერზე" დაწერა: *„რამდენიმე ავარია გადავიტანე, მაგრამ ჯერ ცოცხალი ვარ!"*

ჩოგბურთი

# არის ორი ნახევარფინალისტი

WTA-ის წლის შემაჯამებელ ტურნირზე ორი ნახევარფინალისტი გაირკვა. ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ** „თეთრ ჯგუფში" ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო და გაინალდა შემდეგ ეტაპზე თამაში.

ბელარუსი როლან გაროსის ჩემპიონ **ნა ლის** ხვდებოდა და დიდი უპირატესობით აჯობა ჩინელს - 6:2, 6:2. აზარენკამ თითო პარტიაში ორ-ორი ბრეიკი გააკეთა, მეტოქეს კი ერთი საკუთარი გეიმიც არ დაუთმო.

ასევე ნახევარფინალში ითამაშებს „წითელი ჯგუფის" წევრი **პეტრა კვიტოვა**. უიმბლდონის ჩემპიონმაც იოლად მოუგო თავისი გუშინდელი შეხვედრა მსოფლიოს პირველ ჩოგან **კაროლინ ვოზნიაცკის** - 6:4, 6:2.

პირველ სეტში ჩეხმა სასტარტო გეიმში გააკეთა ბრეიკი და დამაჯერებლად მიიყვანა პარტია გამარჯვებამდე, მეორე სეტში კი ორი ბრეიკის აღება შეძლო და ისევ არ დაუთმო მეტოქეს საკუთარი გეიმი. უფრო მეტიც, დანიელმა მთელი მატჩი ისე წარმართა, რომ ერთი ბრეიკ-პოინტი არ აუღია.

დღის მესამე მატჩში **აგნიეშკა რადვანსკამ** რუსი **ვერა ზვონარევა** დაამარცხა და თუ დღეს კვიტოვას მოუგებს, ნახევარფინალში გავა. თუმცა პოლონელს ჩეხთან წაგების შემთხვევაშიც ექნება შანსი - ამ შემთხვევაში სამ ჩოგბურთელს შორის სეტებისა და გეიმების შეფარდება დაითვლება.

**WTA Championships**

სტამბოლი (თურქეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 4 900 000 დოლარი

**წითელი ჯგუფი**

**პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან) 6:4, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-ვერა ზვონარევა (რუს) 1:6, 6:2, 7:5.

**თეთრი ჯგუფი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-ნა ლი (ჩინ) 6:2, 6:2.


აგნიეშკა რადვანსკა


მარიას ყვირილს აუკრძალავენ

# ყვირილი უნდა აიკრძალოს

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA), შესაძლოა, ბრძოლა დაიწყოს კორტზე ჩოგბურთელების ყვირილის წინააღმდეგ. როგორც აღმოჩნდა, თამაშის დროს გაუთავებელი წამოყვირებები არა მხოლოდ მაყურებელს, არამედ თავად სპორტსმენებსაც აღიზიანებთ.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირის დროს, ფაქტობრივად პირდაპირ დაადანაშაულა **მარია შარაპოვა** და **ვიქტორია აზარენკა** არაპატიოსან თამაშში.

*„ვფიქრობ, ზოგიერთი მოთამაშე შეგნებულად მიმართავს კორტზე ყვირილს,* - განაცხადა დანიელმა. - *ისინი ამას ვარჯიშებზე არ აკეთებენ, მაგრამ, როცა ოფიციალურ მატჩზე გადიან, განწირულ ყვირილს იწყებენ. ვფიქრობ, ოფიციალურმა პირებმა უნდა შეწყვიტონ ეს უმსგავსობა".*

*„ძალიან ხმაურიანი წამოძახილების გამო მეტოქეს ჩოგანზე ბურთის დარტყმის ხმა არ ესმის,* - ხსნის ვოზნიაცკი. - *ხმა ისეთი ძლიერია, რომ გგონია მოწინააღმდეგეს დარტყმა ძალიან ძლიერი გამოუვიდა, სინამდვილეში კი ბურთი ნელა მოფრინავს. გადამწყვეტ მომენტებში, შესაძლოა, ასეთი ყვირილი შველით ამ ჩოგბურთელებს ნერვიულობასთან გასამკლავებლად".*

ვოზნიაცკი ამ ინტერვიუში, პრაქტიკულად ღია ტექსტით ლაპარაკობს შარაპოვასა და აზარენკაზე. რუსი 100 დეციბელის დონეზე ყვირის, აზარენკას წამოძახილი უფრო „ჩუმია", სამაგიეროდ, ხანგრძლივი.

WTA-ის პრეზიდენტმა **სტეისი ალასტერმა** პირობა დადო, რომ შეისწავლის ამ საკითხს. *„გულშემატკივრების აზრს ყოველთვის ვუსმენ და ვხედავ, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი ითხოვს ყურადღება მივაქციოთ ამ პრობლემას,* - განაცხადა ალასტერმა. - *ასე რომ, გავითვალისწინებთ მათ აზრს და შესაძლოა, ზომებსაც მივიღებთ. ასეთ შემთხვევაში უნდა დავიწყოთ ახალგაზრდა ჩოგბურთელებისგან".*

# ჯოკოვიჩი ბაზელშია

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** შვეიცარიაში ჩავიდა, სადაც ბაზელის ტურნირისთვის მზადება დაიწყო. ეს შეჯიბრება მომავალ ორშაბათს დაიწყება. ვარჯიშებამდე ნოვაკმა ქალაქში გაისეირნა და შემდეგ "ტვიტერზე" ამ გასეირნების შთაბეჭდილებები გაანდო გულშემატკივრებს.

*"ბაზელში ჩავფრინდით და ქალაქში გასეირნება გადავწყვიტეთ. ჩვენთვის მოულოდნელად, ერთ-ერთ ქუჩაზე განსაცვიფრებელი რამ აღმოვაჩინეთ.*

*მუსიკის ლეგენდები - კარლოს სანტანა, ფრედი მერკური, ჯიმი ჰენდრიქსი ერთად ვნახე... ბრწყინვალე გრაფიტია, ბრავო იმ ბიჭებს, ვინც ეს შექმნა... მიკ ჯაგერს ანეკდოტიც კი მოვუყევი. მას მოეწონა"*, - დაწერა ჯოკოვიჩმა.

*"სხვათა შორის, სიხარულით გამცნობთ, რომ ვარჯიშების დროს არაფერი აღარ მაწუხებს"*, - დაამატა კლასიფიკაციის პირველმა ნომერმა.


ჯოკოვიჩი ანეკდოტს ჰყვება

# ფედერერი პარლამენტში


როჯერ ფედერერი

ლეგენდარულმა შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** საჭირო რაოდენობის ხმები დააგროვა შვეიცარიის პარლამენტში მოსახვედრად. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ "დიდი სლემის" ტურნირების 16-გზის ჩემპიონს არც კი წამოუყენებია თავისი კანდიდატურა საპარლამენტო არჩევნებში. საქმე ისაა, რომ შვიცის კანტონის პატარა ქალაქ ვოლერაუს 132-მა ამომრჩეველმა ბიულეტენებში კანდიდატთა გვარები გადახაზა და იქ ჩოგბურთელის გვარი ჩაწერა.

მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ამომრჩეველს ნებისმიერი ადამიანისთვის შეუძლია ხმის მიცემა, რომელიც აღნიშნული კანტონის ტერიტორიაზე ცხოვრობს.

თავად ფედერერს ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია მისი პოლიტიკაში უნებლიედ წასვლის შესახებ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**